დრო

№278 (12 348) **28** ნოემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული და კალაძე?

კალაძის გამო, ბენიტესი მეპატრონეებს აუჯანყდა 5

გამაგებინოს ჭოპიოლერამ...

ხიზანიშვილის ორი კითხვა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს: საკუთარი სურვილით არ მათამაშა, თუ ვინმემ ურჩია?... 3

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ახალკაცი:

ჭოპიოლერის ახალი კონტრაქტი ფორმალობაა 3

გვახსოვდეს ჩერნოგორიელი ვუჩინიჩი

ბარსელონა მანჩესტერი რომა ინტერი სევილია არსენალი მერვედფინალში

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის მთავარმეგოლემ გუშინ კიევის დინამო ჰეთ-თრიკით ასიამოვნა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ტექნიკური შედეგები 16

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება. ჯგუფური ტურნირი. VI ტური

ჭიათურა უსკანდალოდ ვერ დასრულდა

ხუციშვილმა (10) და დინამომ ლოკომოტივთან გაილაღეს

დავით ყიფიანის თასის ჯგუფური რაუნდი გუშინ დასრულდა. თითქმის ყველა მატჩი საინტერესო გამოვიდა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მოვლენები ყველაზე საინტერესოდ ჭიათურაში განვითარდა, სადაც მატჩის ბოლოს შეხლა-შემოხლა მოხდა. "მაღაროელი" ერთადერთი პირველლიგელია, რომელმაც საქართველოს თასის მეოთხედფინალში გაიღწია. სხვა შეხვედრებში კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ფავორიტებმა იოლად იმარჯვეს, საერთო ჯამში კი უნდა ითქვას, რომ მეოთხედფინალში ყველა გუნდი დამსახურებულად გავიდა.

A ჯგუფი

27 ნოემბერი. თბილისი.
ამერი. 200 მაყურებელი

ამერი–სპარტაკი 2:0

1:0 ტატანაშვილი (19), 2:0 ტატანაშვილი (29)
ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი (46. კობაური), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე (68. ა. ალავიძე), ბოლქვაძე (46. მესხი), დეკანოსიძე, დიდავა, ჯელაძე, ტატანაშვილი
სპარტაკი: კოდალაევი, კეტაშვილი (46. დათუნაშვილი), პარამონოვი, ქემოკლიძე, მამუკაშვილი (46. თექთუმანიძე), ხიდეშელი, ივანიშვილი, კუპრეიშვილი, გოგოხია, დარბაიძე (69. კ. ავალიანი), ტატაევი

ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, მხოლოდ ჯგუფის პირველადგილოსანი უნდა გამოევლინა. ამის მიუხედავად, ორივე გუნდის მწვრთნელმა წამყვან ფეხბურთელთა დასვენებაზე უარი თქვა და მოედანზე საუკეთესო ძალები გაიყვანა. ერთი ეგ იყო, "ამერს" დისკვალიფიკაციის გამო **რევაზ გოცირიძე** აკლდა, რომლის ღირსეული შემცვლელის პოვნაც არ გაძნელებულა. ჩემპიონატის გასულ ტურში ახალციხეში თასის მფლობელებმა ხუთკაციანი ნახევარდაცვით ითამაშეს და ამჯერადაც ასე იყო.

"ამერის" უპირატესობა პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა. გლდანელებმა შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყეს და მეტოქე მალევე შეაწუხეს. **გიორგი ჩიხრაძის** გუნდის ერთადერთი ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი** იყო, რომელმაც ათწუთიან მონაკვეთში "სპარტაკს" ორჯერ გაუტანა და მატჩის ბეები ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. ტატანაშვილს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ 72-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმი ნაკლებ სანახაობრივი გამოდგა, "სპარტაკს" თამაშის გადარჩენის რეალური შანსი არ ჰქონია და ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ჯგუფის მეორე მატჩში "მესხეთმა" ჯგუფის აუტსაიდერ "ტორპედოსთან" არაფრისმომცემი გამარჯვება მოიპოვა.

ტორპედო–მესხეთი 0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ამერი	6	5	0	1	18-4	15
2. სპარტაკი	6	4	0	2	9-4	12
3. მესხეთი	6	3	0	3	7-7	9
4. ტორპედო	6	0	0	6	1-20	0

B ჯგუფი

27 ნოემბერი. ეროვნული.
100 მაყურებელი

დინამო–ლოკომოტივი 7:2

1:0 მერებაშვილი (4. ოდიკაძის პასით), 2:0 ხუციშვილი(11), 3:0 მერებაშვილი (17. აკირემის პასით), 3:1 ჩაგელიშვილი (39. ქუხილავას პასით), 4:1 მერებაშვილი(60. აკირემის პასით), 5:1 ოდიკაძე (65), 6:1 დიღმელაშვილი (69. ხუციშვილის პასით), 6:2 ჩაგელიშვილი(81), 7:2 დიღმელაშვილი(87. თომაშვილის პასით)
დინამო: ოვონო - შ. კაშია (77. თომაშვილი), ზელიჩი, კრშკო, დობეში - ოდიკაძე, ხმალაძე (25. კობახიძე), დიღმელაშვილი, მერებაშვილი (71. ფეიქრიშვილი) - ხუციშვილი, აკირემი
სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, გ. კაშია, ფირცხალავა, ვანაძე
ლოკომოტივი: **გვარამაძე - ა. კობიაშვილი, ფოფხაძე, გ. კვახაძე, ქუხილავა - ბერიძე, ლაღაძე, ბუდაღაშვილი, გულორდავა (82. მ. ჟღენტი) - დ. ჩაგელიშვილი, მიქაძე (61. იმედაძე)**
სათადარიგოები: ცერცვაძე, ხოხონიშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, მალიჩავა, ტიკურიშვილი
არბიტრი: **გ. კიკაჩეიშვილი**

...ასეთი მოტივირებული „დინამო" დიდი ხანია, არ გვახსოვს! გუშინ **დუშან უპრინის** შეგირდებს მოედანზე ყველაფერი გამოსდიოდათ და ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა ცოტა გულშემატკივარმა გოლების ფოიერვერკი იხილა. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნებოდა, თითქოსდა, „დინამო" თავის სიძლიერისა და მაღალი კლასის დამტკიცებას, ცოტა არ იყოს, „გაბრაზებული" აპირებდა. თანაც, იმ მეტოქესთან, სამი დღის წინათ ჩემპიონატში მეტისმეტად მედგარი წინააღმდეგობა რომ გაუწია. შეგახსენებთ, იმ მატჩში „ლოკომოტივს" სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური ფავორიტისთვის ძვირფასი ქულები რომ წაერთმია. გუშინ კი „დინამომ" შეხვედრის პირველიდან ბოლო წუთებამდე მეტოქეს შეტევების რისხვა დაატეხა და ერთი-მეორეზე ლამაზი შვიდი გოლი რომ გაიტანა, ამდენივეს თუ არა, სამი-ოთხის „დამატებაც" შეეძლო. თანაც, დინამოელთა გოლები მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა: გააზრებული, მრავალსვლიანი კომბინაციებიც ვიხილეთ და ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალური გაბრწყინებაც. აი, თუნდაც **მიხეილ ხუციშვილის** გოლი რად ღირდა - „დინამოს" ლიდერმა 30 მეტრიდან „მოჭრილი" დარტყმით რომ გაუტანა გამოცდილ **დავით გვარამაძეს**. სასიამოვნოა, რომ გოლის გემო „დინამოს" კაპიტანმაც გაიხსენა: **დავით დიღმელაშვილმა** ერთი ბურთი ახლო მანძილიდან გაიტანა, მეორე კი - მოხდენილი თავური დარტყმით. აღარაფერს ვამბობთ სამი გოლის ავტორზე **გიორგი მერებაშვილზე,** კიდევ ორი ჩინებული შანსი რომ გაუშვა ხელიდან. სხვათა შორის, მერებაშვილი ამ გუნდების სამი დღის წინანდელ შეხვედრაშიც გამოირჩა: მაშინ „მხოლოდ" ორი გოლი გაიტანა. ანუ, ამ უნივერსალმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ერთი და იმავე მეტოქის კარში სამ დღეში ხუთი გოლი გაიტანა. არადა, ამ ფაქტზე ყურადღებას შემთხვევით არ ვამახვილებთ: მერებაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და შეუცვლელი წევრი იყო. თუმცა, რუს თანატოლებთან მატჩში მონაწილეობა არ მიუღია - ამის ოფიციალურ მიზეზად ტრავმა დასახელდა!.. ისე, მსგავსი რამეები არ უნდა გაგვიკვირდეს. უკვე მივეჩვიეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში (ხანდახან - ეროვნულშიც) ისეთ ფეხბურთელებსაც იძახებენ, თავიანთ კლუბებში ძირითადში რომ ვერ ხვდებიან. თუმცა, ეს სხვა თემაა და ისევ გუშინდელ უხვგოლიან შეხვედრას დავუბრუნდეთ. მით უმეტეს, კინაღამ მთავარი დაგვავიწყდა - „დინამოს" ჯგუფური ეტაპის დასაძლევად ფრეც აწყობდა, მაგრამ მეტოქე არ დაინდო და ჩემპიონატის მატჩებისთვის მშვენიერი გაწყობაც შეიქმნა. რაც შეეხება „ლოკომოტივს", თასზე ამ გუნდს არანაირი მოტივაცია არ ჰქონდა და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ „დინამოსგან" განსხვავებით ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ **გიორგი კიკნაძემ** ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა. ალბათ, სწორი გათვლაც იყო - პირველი წრის დასკვნითი ორი მატჩი „ლოკომოტივს" ხომ უშუალო კონკურენტებთან აქვს („ბათუმთან" და ცხინვალის „სპარტაკთან"). სამაგიეროდ, რამდენიმე ახალგაზრდას მიეცა თავის გამოჩენის შანსი და ეს, უპირველეს ყოვლისა, **დავით ჩაგელიშვილზე** ითქმის - „ლოკომოტივის" ჭაბუკი ფორვარდის ორივე გოლი ერთი-მეორეზე ეფექტური იყო.

დაბოლოს, ამ უხვგოლიანი მატჩის კიდევ ერთ უცნაურობაზეც, ჰო, უკვე უცნაურობაზე მეტად გვეჩვენება ის ფაქტი, როცა ჩვენთან მატჩი ყვითელ-წითელი ბარათების გარეშე ჩაივლის. თუმცა წესით, არც უნდა გაგვკვირვებოდა - ორივე გუნდს ხომ ჩემპიონატში პრინციპული შეხვედრები ელის. აი, სათასო მატჩების წინ კი პირიქით ხდებოდა...

27 ნოემბერი. ჭიათურა.
ცენტრალური. 1 000 მაყურებელი

მაღაროელი–ვიტ ჯორჯია 1:1

1:0 ბრეგვაძე (39), 1:1 ადამაძე (80)

ბოლო ტურის ცენტრალურ შეხვედრას ექსცესის გარეშე არ ჩაუვლია. სანამ ამ ამბავზე ვიტყოდეთ, ორიოდე სიტყვით თვით მატჩს შევეხოთ. როგორც იცით, მასპინძლებს ფრეც ჰყოფნიდათ, სტუმრებს კი მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. "მაღაროელის" გოლმა "ვიტ ჯორჯია" უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, თუმცა თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ვეტერინარებმა ანგარიში გაათანაბრეს და სამეოთხედფინალო შანსი შეინარჩუნეს. დადგა 88-ე წუთი და არბიტრმა **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** არასპორტული საქციელისთვის ერთბაშად ორი ჯორჯიელი, **ბერიაშვილი** და მეკარე **მიქაბერიძე** გააძევა. თვითმხილველთა თქმით, ამ უკანასკნელს მოედნის დატოვებისას "მაღაროელის" ერთ-ერთ წარმომადგენელთან შელაპარაკება მოსვლია, რასაც ორმხრივი გუნდური ჩხუბი მოჰყოლია. მატჩის დასრულება მოხერხდა, სტუმრები მსაჯობით უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამდნენ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	6	4	1	1	16-8	13
2. მაღაროელი	6	3	2	1	6-3	11
3. ვიტ ჯორჯია	6	3	1	2	13-7	10
4. ლოკომოტივი	6	0	0	6	3-20	0

C ჯგუფი

ოლიმპი–ბათუმი 1:0

მერანი–ბორჯომი 1:2

ამ ჯგუფში ბოლო ტურის წინ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ყველა გუნდი ინარჩუნებდა. "ბორჯომს" მეოთხედფინალში გასვლა ფაქტობრივად ამ ტურამდეც დაბევებული ჰქონდა, მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილის დაკარგვის შიშით, **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდები შეთხელებული შემადგენლობის მიუხედავად, თბილისში ბოლომდე დაიხარჯნენ, გამარჯვებისთვის იბრძოლეს და მიზანსაც მიაღწიეს.

"ოლიმპს" შინ "ბათუმთან" ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ რუსთაველებმაც სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში და მეოთხედფინალში მეორე ადგილიდან შეაბიჯეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბორჯომი	6	4	0	2	9-7	12
2. ოლიმპი	6	3	1	2	6-5	10
3. ბათუმი	6	2	1	3	3-5	7
4. მერანი	6	1	2	3	3-4	5

D ჯგუფი

27 ნოემბერი. ზესტაფონი.
ცენტრალური. 14:00

ზესტაფონი–დილა 3:0

1:0 იონანიძე (33), 2:0 ხიდეშელი (45), 3:0 ხიდეშელი (85)
ზესტაფონი: **რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, შ. ღონღლაძე, ხიდეშელი, ლობჟანიძე, ჟონატასი, კ. ჩხეტიანი, ვიეირა (79. კესანი), ნ. კვასხვაძე (66. ბიტოო), გ. ნუგ. ჭელიძე, იონანიძე (68. საცერაძე)**
დილა: **კეჩხუაშვილი, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ტლაშაძე, ლომიძე (54. იჩქითი), შერმადინი (59. კურტანიძე), ლ. თურმანიძე (68. ი. თაყაძე), ბ. ჩიტაია**

კახეთი–მგლები 1:2

"ზესტაფონისა" და "დილას" წევრებს სანერვიულო აღარაფერი ჰქონდათ, გასარკვევი მხოლოდ პირველადგილოსანილა იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ფეროელებმა გორელებს იოლად სძლიეს და მეოთხედფინალში შედარებით სუსტ გუნდს შეხვდებიან.

"ზესტაფონს" საკმაო ტევადი სათადარიგოთა სკამი აქვს და **თემურ მახარაძემ** რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის შანსი, ჩემპიონატის მატჩებში თამაში იშვიათად რომ უნევთ. მათ მწვრთნელის ნდობა სრულად გაამართლეს. **ზურაბ იონანიძემ** მორიგი გოლი მიითვალა, განსაკუთრებით გამოსარჩევი კი ბუნებრივია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის, **გიორგი ხიდეშელის** დუბლია.

თელავური შეხვედრა "კახეთსა" და "მგლებს" ვერაფერს შეჰმატებდა და მეტოქეებმაც გადახალისებული შემადგენლობებით ითამაშეს. კლასით გაცილებით მაღლა მდგომი ზუგდიდელების გამარჯვება გასაკვირი ნამდვილად არაა. "მგლები" ჯგუფურ ეტაპზე ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა, შინ "ზესტაფონსაც" მოუგო, მაგრამ "დილასთან" დაკარგულმა ქულებმა რვა საუკეთესო გუნდს მიღმა დატოვა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	6	4	1	1	16-6	13
2. დილა	6	3	2	1	10-6	11
3. მგლები	6	3	1	2	11-10	10
4. კახეთი	6	0	0	6	3-18	0

მეოთხედფინალური მატჩები გაისად გაიმართება, წილისყრის თარიღი სავარაუდოდ, დგეს დადგინდება. ერთი ჯგუფიდან გასულები ერთმანეთს არ შეხვდებიან. პირველი კალათა (პირველადგილოსნები): ამერი, დინამო, ბორჯომი, ზესტაფონი.

მეორე კალათა (მეორეადგილოსნები): სპარტაკი, მაღაროელი, ოლიმპი, დილა.

გია ტუხაშვილი, ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ახალკაცი:
ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელება ფორმალობაა!

ახალი ხელშეკრულება დეკემბერში გაფორმდება და მას ვადა 2009 წლის ბოლომდე ექნება. თუ მუნდიალზე გავალთ, კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება...

გერმანულმა სპორტულმა გამოცემა „კიკერმა" გუშინ საქართველოს ნაკრებსა და მის მთავარ მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერს** მოზრდილი სტატია მიუძღვნა. მასალა „კიკერის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და მისი ავტორი **თომას ბიოკერია**, სტატიის სათაური კი ასეთი გახლავთ: „ტოპმიოლერი კონტრატს აგრძელებს. მიზანი: 2010 წლის მუნდიალზე ასპარეზობა!"

ჰერ ბიოკერი წერს, რომ ტოპმიოლერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ ხელშეკრულებას დეკემბერშივე გააფორმებს და რომ ახალ კონტრაქტს ვადა 2009 წლის ბოლომდე ექნება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტოპი ჩვენს გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანს, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება. ამ ინფორმაციის დასტურად გერმანელ ჟურნალისტს სფფ-ის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცის** სიტყვები მოჰყავს, რომელიც ამბობს: „ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელება მხოლოდ ფორმალობაა."

„კიკერთან" საუბრისას ახალკაცი ასევე აცხადებს, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი და ერთადერთი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობა იქნება. „წილისყრის შედეგებმა ქართველი გულშემატკივრები ოპტიმისტურად განაწყო. მომდევნო ციკლში ისინი გუნდისგან გაცილებით მეტს მოელიან," – აცხადებს ახალკაცი და იქვე ამატებს, - „ფავორიტი, რა თქმა უნდა, იტალიის ნაკრებია. ვფიქრობ, ჩვენ შეგვწევს იმის უნარი, რომ მეორე ადგილისთვის ვიბრძოლოთ და მიზანს მივაღწიოთ. მერე კი, იღბალი დაგვჭირდება იმისათვის, რომ ფლეი ოფში ძალიან ძლიერ მეტოქეს არ შევხვდეთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი შესაძლებელია."

იმავე მასალაში „კიკერის" კორესპონდენტი წერს: „ახალკაცს არანაირი პრობლემა არა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ტოპმიოლერი „კაიზერსლაუტერნის" მრჩეველი გახდა." სფფ-ის პრეზიდენტის კომენტარი კი ასეთია: „სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ტოპმიოლერი, ცხადია, აზრს დამეკითხა. ასე რომ, შეუთანხმებლად არ უმოქმედია. მე კარგად მესმის მისი – ტოპმიოლერს ძალიან უყვარს „კაიზერსლაუტერნი" და უნდა, რომ დაეხმაროს. ამაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მიუღებელი არაფერია."

გოტფრიდ ლენცი | ზურაბ ხიზანიშვილი

ორი კითხვა კლაუს ტოპმიოლერს
ხიზანიშვილი ბლექბერნში რჩება

საქართველოს ნაკრების მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერს** ურთიერთობა კიდევ ერთ ფეხბურთელთან, **ზურაბ ხიზანიშვილთან** გაუფუჭდა. შოტლანდიასთან საშინაო მატჩში მწვრთნელმა ხიზანიშვილი კაპიტნად გაამწესა და ვინ იფიქრებდა, რომ მათ შორის უსიამოვნო სიტუაცია წარმოიშობოდა. ტოპმიოლერმა ხიზანიშვილს ყატართან და ლიტვასთან მატჩებისთვის დაუძახა, მაგრამ მხოლოდ ყატართან ითამაშა. ლიტვასთან თამაშის წინ ორი ადრე ვიგებთ, რომ ხიზანიშვილი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს, თუმცა გაირკვა რომ მიზეი სულ სხვა რამ ყოფილა. ზურას ინგლისში შევეხმიანეთ ამ საკითხზე...

- ლიტვასთან თამაშამდე ორი დღით ადრე გავიგე, რომ ძირითადში არ ვიქნებოდი. ამის მიზეზი არავის უთქვამს. მოვიტყუე ვითომ ტრავმა მაქვს და ამ მიზეზით წამოვედი შეკრებიდან. არ შემეძლო ნაკრებში დარჩენა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.

- გამოდის პრეტენზიები მწვრთნელის მიმართ გაქვს?

- მას ასეთი კითხვები მინდა დავუსვა: რატომ არ დამაყენა შემადგენლობაში ლიტვასთან მატჩში? ჩემი უთამაშებლობა თავისი გადაწყვეტილება იყო?

- ისე ხო მარ ხარ განაწყენებული, რომ ნაკრებში თამაშზე უარს იტყვი?

- ჯერ მწვრთნელმა ამიხსნას რატომ არ მათამაშა და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ. ნაკრებში თამაში ყოველთვის ძალიან მიხაროდა.

- „ბლექბერნში" რა ხდება. საუბარი კონტრაქტის იყო...

- ნაკრების თამაშებით გამოწვეული პაუზისას, მარკ ჰიუზმა 2011 წლამდე გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი. გადაწყდა, რომ მეც „ბლექბერნში" დავრჩები, ალბათ, 2011 წლამდე. ზუსტად ვერ გეტყვით როდის გაფორმდება ახალი ხელშეკრულება, მაგრამ საკითხი გადაწყვეტილია.

დავით თავართქილაძე

როგორ დატრიალება ქართული ფეხბურთის ჩარხი?

სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეჟიმი აღარ არსებობს და მსოფლიოს ჩემპიონატიც მაგიტომ ტარდება იქ 2010 წელს.

საქართველოს იქ მოხვედრის შანსი, რა თქმა უნდა, აქვს, იმიტომ, რომ ფიფა-უეფას წევრია და შესარჩევ ეტაპზე აუცილებლად ითამაშებს.

საქართველოში არ არის აპარტეიდის რეჟიმი და არც ნელსონ მანდელა გვყოლია ოდესმე. ჩვენთან სულ სხვა ამბებია.

ახლა საკითხავი ის არის, როდის გააფორმებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალ კონტრაქტს **კლაუს ტოპმიოლერთან**.

დავუშვათ, კონტრაქტი მალევე, 5 იანვრამდე გაფორმდა. ასეთ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციას ვერ ექნება იმის გარანტია, მიიღებს თუ არა დოტაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გერმანელი მწვრთნელის და მისი შტაბის ჯამაგირისთვის. შესაბამისად, ვერც ტოპმიოლერს ექნება იმის გარანტია, რომ ხელფასს უპრობლემოდ აიღებს.

ახლა ისიც დავუშვათ, რომ კონტრაქტი 5 იანვრამდე არ გაფორმდა. არა გვგონია, საქართველოს გაისიდან ისეთი პრეზიდენტი ჰყავდეს, ვინც ქართულ ფეხბურთზე ასე თუ ისე მაინც არ იზრუნებს, მაგრამ თუ პრეზიდენტი შეიცვლება, ალბათ შეიცვლება დამოკიდებულებაც ფეხბურთის ფედერაციისადმი.

მოკლედ, თუ 5 იანვარს ქვეყნის პრეზიდენტი შეიცვლება, მარჩიელობისთვის ნაირგვარი ვარიანტები გვექნება. მანამდე კი საინტერესო ის არის, როდის გაფორმდება ახალი კონტრაქტი ტოპისთან - წლეულს თუ გაისად.

შესარჩევში საქართველოს მეტოქეებზე ყბა რომ მოვალოთ, ბევრს მაინც ვერაფერს გამოვადნობთ. მხოლოდ იმიტომ, რომ ჯგუფში ორი გრანდი არ გვყავს, ჩვენი შანსები ვერგაიზრდება.

ისეც მომხდარა, საქართველო საერთოდ უგრანდო ჯგუფში მოხვედრილა, მაგრამ ბოლო ადგილზე გასულა. ასე დაგვემართა ევრო 2000-ის შესარჩევში.

ნილისყრამ არ გვარგუნა ისეთი უსუსური მეტქეცი, ექვს ქულას იოლად რომ მოინაგრებ. ფარერები, სან მარინო, ლუქსემბურგი, ანდორა - ნუგბარი გუნდები საქართველოს აღარ ერგო.

და რისი იმედი აქვს საქართველოს? დავიწყოთ თავიდან - თუ 5 იანვარს არაფერი შეიცვლება, ფედერაცია ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება არ გაუჭირდება.

ტოპმიოლეის ხელობას ჯერ არ უჩანს კარგი პირი საქართველოს ნაკრებისთვის. ნაკრებს არ აქვს საკუთარი ხელწერა, მაგრამ აქვს გამონათებები, ჰყავს კარგი ფეხბურთელები და ნიჭიერი ახალგაზრდები.

გუნდის სამზარეულოში კი ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს. ზოგადად, ტოპმიოლერს თბილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს ფეხბურთელებთან, მაგრამ საქართველო და მისი ნაკრები ძალიან სპეციფიკურია სამუშაოდ და ადამიანებთან ურთიერთობისთვის. ტოპი ვალდებულია, ყველაფერ ამას თავი გაართვას, მაგრამ გამოუდის კი ეს? მწვრთნელს გარკვეული პრობლემები შეექმნა გოგიტა გოგუასთან, გიორგი ლომაიასთან, მიხეილ აშვეთიასთან, ლადო ბურდულთან, ახლა ზურაბ ხიზანიშვილთან...

შესაძლოა, ფეხბურთელებმა დააშავეს რაღაც, მაგრამ ფაქტია, უთანხმოება თუ წყენა სამზარეულოში არ დარჩენილა.

ტოპმიოლერს ნორმალური ურთიერთობა აქვს მასმედიასთან, მაგრამ ძალიან უჭირს, ჟურნალისტები დაარწმუნოს იმაში, რომ სწორი გზით მუშაობს საქართველოს ნაკრებში. ასეთ შემთხვევაში, მედია ვერ იქნება ეფექტური პარტნიორი ვერც ტოპმიოლერისთვის და ვერც მისი განვრთნილი ნაკრებისთვის. არადა, ასეთი პარტნიორი ყველასთვის საჭიროა.

საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს ლიდერი არც მოედანზე და არც მოედნის მიღმა. როცა **თემურ ქეცბაია** თამაშობდა ნაკრებში, მოედანზე ის მართლაც ლიდერი იყო, მაგრამ გუნდს ყოჩი სტადიონის მიღმაც სჭირდება - ვარჯიშებზე და შეკრებებზე.

ლიდერი განსაკუთრებით საჭიროა საქართველოს ეროვნული ნაკრების მსგავსი გუნდებისთვის, სადაც ფეხბურთელებს ვილაცამ უნდა შემოუძახოს, გაამხნევოს, უკარნახოს და მაგალითი მისცეს. განვლილ შესარჩევში საქართველოს რამდენიმე ისეთ მატჩში მოეცარა ხელი, რომელშიც ტაქტიკურად ნორმალურად ითამაშა, ტაქტიკური წუნიც ბევრი არ ჰქონია, მაგრამ ლიდერის თუ ლიდერების არყოლის გამო ვერ იმარჯვა.

საქართველოს ნაკრები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული გუნდი თუნდაც თავისი ოპტიმალური შემადგენლობით. ტოპი ბევრ რამეში და ბევრ ფეხბურთელში გაერკვია, მაგრამ მისთვის ეს პროცესი ასევე გაგრძელდება.

გაგრძელდება ქომაგის ნერვიულობაც, რომელმაც არ იცის, რა მოხდება 5 იანვარს, როგორ დატრიალდება ქართული ფეხბურთის ჩარხი.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ლევან ცქიტიშვილი (7) ლიტვასთან მატჩში

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან

ნაკრებში ყველა საჭირო ფეხბურთელი უნდა იყოს

ცოტაც და ევროპაში სატრანსფერო პერიოდი დაიწყება. ლევან ცქიტიშვილის ბუნდესლიგურ "კაიზერსლაუტერნში" მოსალოდნელი ტრანსფერრის იცით ალბათ. ეროვნული გუნდის წევრს ამაზე და კიდევ არაერთ საინტერესო საკითხზე ვესაუბრეთ.

- საუბარი ნაკრების ბოლო ორი მატჩის შეფასებით დავიწყოთ, ყატარში მოვიგეთ, შინ ლიტვასთან დავმარცხდით...

- ყატარში კარგი თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ მოვიგეთ. ასეთ გუნდებთან უნდა მოიგო. რაც შეეხება ლიტვას, თავის მართლებას ნამდვილად არ დავინყებ და მართალი გითხრათ, ბევრი არც არაფერი მაქვს სათქმელი. უბრალოდ ერთს ვიტყოდი, ჩვენი დღე არ იყო.

- განვლილ შესარჩევ ციკლში მხოლოდ 10 ქულა ავიღეთ. რეალურად კიდევ შეგვეძლო რამდენიმე ქულის აღება?

- ჩვენი ნაკრების განვლილ მატჩებს თვალი რომ გადავავლოთ, ჩემი აზრით უკრაინასა და შოტლანდიაში ურიგოდ არ გვითამაშია. ამ მატჩევებში წაგებას არ ვიმსახურებდით. ამ ორ შეხვედრაში სულ მცირე 2 ქულა მაინც უნდა აგვეღო. ლიტვაშიც ფრეს მაინც ვიმსახურებდით... სამწუხაროდ, 10 ქულა არცერთ შესარჩევ ციკლში არ გვეყოფა...

- და რა იყო წარუმატებლობის მიზეზი?

- მიზეზი ბევრი იყო. ჯერ ერთი ნაკრებს თამაში არ ჰქონია, მინიუმუმ 3-4 ფეხბურთელი არ დაგვკლებოდა. ამას გარდა კლაუს ტოპმიოლერი ახალ გუნდს აშენებს და ამას დრო სჭირდება.

- მწვრთნელს სურს გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავითY ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბოს. ამ ვარიანტსა და თავად ტოპმიოლერის საქმიანობაზე რას ფიქრობ?

- ეს მისი კომპეტენციაა და ამაში არ ჩავერევი. დრო გამოაჩენს ყველაფერს. ტოპმიოლერს თავისი ხედვა და გეგმა აქვს და მას ახორციელებს. თუმცა ვფიქრობ არც ისაა გამართლებული, ვინმემ რომ თქვას იაშვილი ნაკრებს აღარ სჭირდებაო. ყველა უნდა იყოს ნაკრებში მუჯირიც, ხიზანიშვილიც უნდა დაბრუნდეს და მაშინ გვექნება მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის შანსი. ხიზანიშვილზე ახლა გავიგე და გაოცებული დავრჩი. არ ვიცი რა ხდება.

- ზურა შენთან ერთად ვარჯიშობდა და თავად რა შეატყვე, რამდენად სერიოზული იყო მისი ტრავმა?

- ეს ჩემზე უკეთ ზურამ იცის. რისი თქმაც უნდა თავად იტყვის. კომენტარი მათ უნდა გააკეთონ ვისი კომპეტენციაცაა. ჩემი კომენტარი აქ უადგილოა.

- იმანაც კი გაიუღერა ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფერო არააო...

- არა, ასე არაა. ნაკრებში ჯანსაღი სიტუაციაა. საკუთარ თავზე ვამბობ, ნაკრების ფეხბურთელი რომ ვარ და არ გამომიძახებენ, რა თქმა უნდა მეწყინება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფერო არაა. ახალგაზრდები მოდიან, ნიჭიერები და მათაც უნდა მიეცეთ შანსი, მაგრამ ნაკრების გამოცდილი წევრების დავიწყებაც არ შეიძლება. საქართველოს ნაკრები მოხვდეს მსოფლიო ჩემპიონატზე და ნაკრებში კი არა, სულ აღარ ვითამაშებ ფეხბურთს. თუ ასაკზეა საქმე, ერთ-ერთი ასაკოვანი მე ვარ და ყოველთვის მზად ვარ ახალგაზრდას გზა დავუთმო. როცა კი მეტყვიან, იმ წუთში წავალ ნაკრებიდან.

- წილისყრის შედეგებზე რას იტყოდი?

- მეხუთე კალათაში ვიყავით და აქედან გამომდინარე წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო ვერ ვიქნები. ისეთი ჯგუფია, რომ ყველასთან შეიძლება თამაში და იტალიის გარდა მეტ-ნაკლებად ყველა თანაბარი დონის გუნდია. იტალია ფავორიტია და ამაში არავინ შეგვედავება. ბულგარეთს ქულა დააკლდა ევროპის ჩემპიონატზე გასასავლელად. ბულგარეთის ნაკრები აღმავლობის გზაზეა. თბილისში ბულგარელები 2:1 რომ დავამარცხეთ, დღევანდელი გუნდი იმ ნაკრებზე ნაკლები არაფრითაა. ირლანდია კარგი გუნდია. კვიპროსმაც საკმაოდ მოუმატა. ეს გუნდი შინ ყველასათვის საშიშია. ჩერნოგორია ბევრს გაამწარებს.

- ფიქრობ რომ ჩვენს ნაკრებს მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეუძლია?

- ნინა შესარჩევივით ნაკრებს ტრავმების გამო ერთბაშად 3-4 ფეხბურთელი ყველა თამაშში თუ არ დააკლდება, ვიბრძოლებთ. ეროვნულში ყველა საჭირო ფეხბურთელი უნდა იყოს და მართლა შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლისთვის ვიბრძოლოთ.

- ახლა შენს ტრანსფერზე ვთქვათ. რა ვითარებაა "კაიზერსლაუტერნში" გადასვლასთან დაკავშირებით?

- გერმანული კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბარი მქონდა. ახლა აგენტის ზარს ველოდები. შეიძლება რამდენიმე დღეში გავფრინდე, შესაძლოა იანვარში. ყველაფერს გაარკვევს ჩემი აგენტი და ამ დღეში დამიკავშირდება.

- შენი აგენტი ვინაა?

- ხორვატია, აუგბისტნიჩიჩი, მაგრამ დიდი ხანია გერმანულ ტრანსფერებზე მუშაობს.

- საუბარი იყო "შტურმზეც", მაგრამ ბოლო ხანს შენყდა, რატომ?

- ტოპმიოლერს ძალიან უნდა "კაიზერსლაუტერნში" წამიყვანოს და ალბათ, ამიტომ. თუმცა ვიცი "შტურმს" კვლავაც უნდა ჩემი დამატება.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ბექა გოცირიძესთან

რუსეთი სულ სხვა სტიმულია

გოცირიძეს უკეთესობის სჯერა: მახარაძეს ხომ ვერ ვეტყვი, მათამაშე-მეთქი?!

მეორე გოლი რუსეთის ნაკრებს გოცირიძემ (10) გაუტანა

საქართველოსა და რუსეთის მატჩის დროს, ერთი პატარა შეცდომა მოხდა: მეორე გოლის ავტორად, ბექა გოცირიძის ნაცვლად, თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი სანდრო კობახიძე დასახელდა. რუსული მედია მეორე (და მეტად ლამაზი) გოლის რეალური შემოქმედის გვარს არ ასახელებდა. არადა, „ზესტაფონის" 19 წლის თავდამსხმელი რუსული ფეხბურთის მომავალ ვარსკვლავებს მთელი მატჩის განმავლობაში ნერვებს უშლიდა, რამაც ქართულ ფილმ „სერენადაში" რამაზ გიორგობიანის გმირი გაგვახსენა.

ის მეორე გოლი კი მართლა ულამაზესი იყო - გოცირიძე საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა, მერე ცენტრისკენ გადაინია და უკვე მარცხენა კუთხიდან შეაგდო, თანაც, გზად ოთხი მცველიც ჩამოიტოვა. არაა დასამალი - ბექას გული წყდება, ასეთი გოლი რომ „ჩამოართვეს". გოცირიძესთან საუბარიც სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ:

- რა თქმა უნდა, გული მწყდება. ვიცი, რომ მთელი რუსული მედია გოლის ავტორის ვინაობას შეცდომით ავრცელებს. გოლსაც გააჩნია! ეს იყო გოლი რუსეთის კარში! მაგრამ რა ვუყოთ? ხომ ვიცი, რომ ნაღდად მე გავიტანე. შეცდომას ვერ გამოვასწორებთ. ისე, მთავარი მაინც სხვა იყო: მე რომც არ გამეტანა, შეხვედრა მთელმა გუნდმა მოიგო და ცოტა უხერხულიცაა ჩემი წვლილის გამორჩევა.

- უცნაურია, რომ ორივე ბურთი უთამაშებელმა თავდამსხმელებმა - გოცირიძემ და ბარაბაძემ გაიტანეთ. რა ხდება შენს თავს? რატომ ჩნდები იშვიათად „ზესტაფონის" ძირითადში?

- რა გითხრათ... ეს მთლიანად მწვრთნელის პრეროგატივაა. „ზესტაფონი" ძლიერი გუნდია და შესაბამისად, თავდასხმაშიც კონკურენციაა. მახარაძეს ხომ ვერ ვეტყვი, მათამაშე-მეთქი. თუმცა მჯერა, ჩემს კარიერაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. თუ საინტერესო წინადადება გამოჩნდება, ხელი შემიწყონ და წასვლის საშუალება მომცენ. მჯერა, ასეც მოხდება.

- აშკარად გეტყობა, უცხოეთში წასვლის დიდი სურვილი გაქვს...

- რა თქმა უნდა, წასვლა მინდა. მთავარია, კარგი შეთავაზება წამოვიდეს. თუმცა არის ერთი სერიოზული პრობლემაც: „ზესტაფონთან" კონტრაქტი წელინადნახევარში მიმთავრდება.

- თითქმის უთამაშებელი ფეხბურთელი ფორმას როგორ ინარჩუნებ? ასეთ დროს ხომ ბურთს ჩვეულებრივზე უარესად იმორჩილებ და, ელემენტარულად, 90 წუთი ვერ გაძლებ...

- მართალია. რომ არ მოგატყუო, ფორმა დაკარგული მაქვს. სხვამ თუ არა, მე ეს სხვებზე უკეთ ვიცი. ფორმაში რომ ვიყავი, მეტსაც დავრბოდი და ბურთთანაც უკეთ ვიყავი.

- რუსეთთან გამოჩნდა, რომ ფორმა მაინც შეგინარჩუნებია...

- რაკი არ ვთამაშობ, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ გავჩერდი. „ზესტაფონშიც" ვვარჯიშობ და ფორმის შენარჩუნებას ინდივიდუალურადაც ვცდილობ.

- მართალია, ბოლო ერთი წელია სიმაღლეში მოიმატე, მაგრამ გაცილებით ტანმაღალ მცველებთან მუდმივი ბრძოლა მაინც ძალიან ძნელია. თუმცა თანატოლებისგან ფიზიკური მომზადებით გამოირჩევი. რაიმე განსაკუთრებული მეთოდით ვარჯიშობ?

- „ფიზიკას" მართლაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ. სიმაღლე ახსენე და, მგონი, თავით სულაც არ ვთამაშობ ურიგოდ. მთავარი არა ხარისხიანი ვარჯიში, არამედ სხვა რამაა. მე, უპირველესად, მოედანზე გულით და სულით გავდივარ, მონდომება არასოდეს მაკლია. აქვე, არ მინდა გამომრჩეს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ჩემი დაყენების მომენტიც. უკვე გითხარით - უთამაშებლობამ ბევრი დამაკარგვინა-მეთქი, მაგრამ მონდომება ვარჯიშებზეც არ მაკლდა. მიხარია, ახალგაზრდულის მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა ჩემში ეს მონდომება და ბრძოლის ჟინი რომ დაინახა და მენდო. თანაც, ნდობა პრინციპულ მეტოქესთან მატჩში გამომიცხადეს. ხომ იცით, რუსებთან სულ სხვა ჯიგრით ვთამაშობთ. ახლაც ასე იყო. ჯგუფიდან გასვლის შანსი რეალურად აღარ გვაქვს, მაგრამ რუსეთს რომ ვხვდებით, სხვა რა სტიმული გვინდა, ქართველები ვართ და...

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კალაძე და აურზაური ლივერპულში

კახა კალაძის შესაძლო ტრანსფერმა „ლივერპულში“ ნამდვილი აურზაური გამოიწვია, შესაძლოა ამას გუნდის ესპანელი მთავარი მწვრთნელის **რაფაელ ბენიტესის** მერსისაიდული კარიერა შეეწიროს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ რაფა ბენიტესმა „ნიუკასლთან“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე საჯაროდ გააკრიტიკა კლუბის მფლობელი ამერიკელების **ტომ ჰიკსის** და **ჯორჯ ჯილეტის** სატრანსფერო პოლიტიკა. რაფა ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ იანვარში ის კახა კალაძის შეძენას გეგმავდა 4 მილიონ ფუნტ სტერლინგად, მაგრამ მან ვერ მიაღწია თუნდაც იმას, რომ კლუბის მფლობელებთან ამ საკითხზე საუბარი გამართულიყო. ტომ ჰიკსმა რაფას უთხრა, რომ სატრანსფერო პოლიტიკაზე კლუბში 16 დეკემბერს ისაუბრებენ, ესპანელი თავკაცი კი მიიჩნევს, რომ ამ დროისთვის უკვე შეუძლებელი იქნება კალაძის ტრანსფერის გაჩარხვა. ბენიტესს მიაჩნია, როიმ ლივერპულის დაცვის ცენტრი გაძლიერებას საჭიროებს, განსაკუთრებით კი ფინელ **სემი ჰიიპას** სჭირდება შემცვლელი. ბენიტესის კრიტიკამ უკურეაქცია გამოწვია, შესაძლოა ის საერთოდ მოხსნან კიდეც. გაზეთი „ლივერპულ ექო“, რომელიც კლუბის მფლობელთა პოზიციას იზიარებს, საეჭვოდ მიიჩნევს, რომ ამ სიტუაციაში ბენიტესი შეძლებს ქართველი მცველის „ენფილდზე“ გადაყვანას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მოდებაძე: რუბინი, ჭერეკი თუ სხვა?

ირაკლი მოდებაძე უკრაინიდან წამოსვლის შემდეგ, რუსთავის „ოლიმპში“ ვარჯიშობდა. ახლა სეზონი ბევრგან დასრულდა, გუნდებმა ფეხბურთელები დასასვენებლად გაუშვეს. და სწორედ ახლა იწყება ირაკლისთვის ყველაზე ცხელი სეზონი. მან უნდა გადაწყვიტოს, სად, რომელ ქვეყანასა და გუნდში გააგრძელებს კარიერას.

შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ფეხბურთელისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ურთიერთშეთანხმებით, კონტრაქტი ვადამდე შეწყდა. ირაკლი არ აპირებდა გუნდში დარჩენას, ხელშეკრულება დეკემბერში ისედაც იწურებოდა და ორივესთვის მისაღები იყო ეს ნაბიჯი.

ირაკლი მოდებაძე

ფორვარდს დიდი შანსი აქვს, კარიერა რუსეთში გააგრძელოს: „ოფიციალურად, მე მენეჯერი არ მყავს. მამუკა ჯულელთან ვმეგობრობ და საინტერესო ვარიანტებს ის მთავაზობს. ძირითადად, რუსეთის და უკრაინის ვარიანტებია. მე რუსეთში თამაში მინდა. იქ უკვე ევროპის წამყვან ლიგებს გაუტოლდნენ პირობებით, კლასით, მაღალი დონის ფეხბურთელებიც ჩაიყვანეს. ბრაზილიის ნაკრების წევრები ჰყავთ და რა თქმა უნდა, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია იქ თამაში. ორი აზრი არაა, ყველა თავმოყვარე ფეხბურთელი ევროპაში გადასვლაზე ფიქრობს, მეც არ ვარ ამის წინააღმდეგი, მაგრამ კონკრეტული წინადადება საიდანაც იქნება, იქით წავალ. წესით, მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე მეცოდინება, რომელ გუნდში ჩავირიცხები. არაა გამორიცხული, გასინჯვასაც დავთანხმდე. ჩემს თავში დარწმუნებული ვარ და ამის არ მეშინია. ახლა ავთო ბერიძესთან ინდივიდუალურად ვემზადები, მინდა შეკრების დაწყებას მომზადებული შევხვდე. ისედაც დიდი დრო გამიცდა და ახლა დაკარგული უნდა ავინაზღაურო.“

ირაკლის არ დაუმალავს, რომ ახლა მისი მეგობარი მამუკა ჯულელი მოლაპარაკებას რუსეთის პრემიერლიგის ორ გუნდთან, ყაზანის „რუბინთან“ და გროზნოს „ტერეკთან“ ანარმოებს.

„ზუსტად მიჭირს თქმა, რომელი მათგანია უფრო რეალური. შესაძლოა, სხვა ვარიანტებიც გამოჩნდეს. ჩემი მიზანია, მაღალ დონეზე ვითამაშო და ეროვნულ ნაკრებში მიწვევას მივაღწიო“, - გვითხრა ირაკლი მოდებაძემ.

მერაბ მამულაშვილი

ფუტზალი. ამხანაგური მატჩი

ინგლისს პირველი მოვუგეთ

27 ნოემბერი. თბილისი.
სპორტკომპლექსი ქარიშხალა.
800 მაყურებელი

საქართველო-ინგლისი 4:3

1:0 ბოკერია (3), 2:0 ასათიანი (5), 2:1 ბელინგესი (8), 2:2 ჰარისონი (11), 3:2 ოსეფაშვილი (13), 4:2 ნეფარიძე (33), 4:3 ბელინგესი (40)

საქართველო: **ზაქაიძე, კუბლაშვილი, იოსებიძე, ჩალკაძე, ცნობილაძე, დარჩია, ოსეფაშვილი, კაკაშვილი, ბოკერია, ასათიანი, ნეფარიძე, გაბუჩია, მშვიდობაძე, ზუმბაძე.**

ინგლისი: ტორნტონი, უოტსონი, ალანსონი, ბელინგემი, მედისონი, კოლი, ტორიესი, ჰარისონი, დელეონი, ტიკნოტი, მადი (კაპ.), პუდლოფი, ბელინგესი.

გამოუყენებელი პენალტი: **ბელინგესი (17. მეკარე)**

გუშინ სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" ფუტზალში საქართველოსა და ინგლისის ნაკრებებმა პირველი ამხანაგური მატჩი გამართეს. ქართველებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და სასტარტო 5 წუთში უკვე ორბურთიანი ფორაც შეიქმნეს. სტუმრებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, ტაიმის დასრულებამდე **პეტრე თაბუკაშვილის** შეგირდები კვლავ დაწინაურდნენ. ჩვენი გამარჯვება უპირველესად მეკარის **ლევან ზაქაიძის** დამსახურებაა – მან სტუმრების პენალტი მოიგერია. მატჩის ბოლოო წუთზე ინგლისელებმა ერთი ბურთის მაინც მოახერხეს.

ჩვენი გუნდიდან კაპიტანი **ავთანდილ ასათიანი, არჩილ ბოკერია,** ლევან ზაქაიძე და **ბექა ნეფარიძე** სხვებზე უფრო მეტად აქტიურობდნენ, სტუმართა გუნდიდან კი **ბელინგესმა** და **ჰარისონმა** დაგვამახსოვრა თავი.

ამ გუნდების მეორე მატჩი"ქარიშხალაში" დღეს 17 საათზე გაიმართება.

დავით ცაბაძე

საქართველოს ნაკრები

კვირკველია: ისევ ინგლისი?



დავით კვირკველია

უკრაინულმა საინფორმაციო საგენტოებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელეს. მათი ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ვიცე-კაპიტანი **დავით კვირკველია** ისევ აღმოჩნდა ერთ-ერთი ინგლისური კლუბის ინტერესის ობიექტი.

ბოლო ტურის მატჩის შემდეგ „მეტალურგის“ მთავარ მწვრთნელ **ანატოლი ჩანცევს** ამის შესახებ კითხვაც დუსვეს.

„რა გეგმები გაგაჩნიათ წამყვანი მოთამაშეების კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით? მართალია თუ არა, რომ კვირკველია ინგლისში გაემგზავრა?“

ჩანცევი ქართველი ლიდერის „მეტალურგიდან“ წასვლას გამორიცხავს: „კვირკველია არსადაც არ წასულა. მან ეს წინადადება, უბრალოდ, უარყო. ამ კუთხით ყველაფერი კარგადაა და სანერვიულო არაფერია. კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ არც ერთ მოთამაშესთან მწვავედ არ დგას“, - ასეთი პასუხი გასცა ჩანცევმა ჟურნალისტებს.

თუმცა თავად კვირკველიამ ჩვენთან განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით შეიცვლის კლუბს, თუმცა კონკრეტულად ვერ ამბობს, რომელ გუნდში შეიძლება გადავიდეს და მიმდინარეობს თუ არა ვინმესთან მოლაპარაკება.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მოხმარებლის სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 755 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა ხაზიდან გუშაგლულად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ

კიჭა ბრუნდება: მათამაშე, ანჩელოტი!

ვერდერს იმედის ნაპერწკალი უღვივის, რეალი არც ისეთი სუპერიაო. რუსენბორგი კი უკვე ომახიანადაა!

A ჯგუფი

ბეშიქთაში-მარსელი

მარსელის „ოლიმპიკმა“ ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ბეშიქთაში“ 2:0 დაამარცხა. ამ ჯგუფში მდგომარეობა ძალიან დაძაბულია, რაც „ლივერპულის“ დამსახურება გახლავთ – ფავორიტად შერაცხულმა ინგლისელებმა ქულები გაანიავეს და ვითარება ამით ძალიან არიეს. ამრიგად, მეხუთე ტურის წინ, მერვედფინალში გასვლის შანსი ოთხივე გუნდს აქვს. „ბეშიქთაში“ დღეს „მარსელს“ მასპინძლობს და აუცილებლად გამარჯვება სჭირდება და თუ ჯგუფიდან ვერ გავა, თურქულმა კლუბმა ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ სამი კვირის წინ ლივერპულში მიღებული ცივი შხაპის (0:8) გამო ფანებს ბოდიში მოუხადოს. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თურქები დღეს „მარსელს“ დაამარცხებენ. ფრანგული კლუბისთვის კი, მარცხი ფაქტობრივად დაუშვებელია, რადგან ბოლო ტურში „ოლიმპიკმა“ „ლივერპულს“ უნდა უმასპინძლოს.

სავარაუდო შემადგენლობები

ბეშიქთაში: რუშთუ, ტელო, მერჩიმექი, იბრაჰიმი, თანდოგანი, ქორაი ავჩი, იოზქანი, დელგადო, ე. სისე, ბობო, იგუაინი.

მარსელი: მანდანდა, ზუბარი, უივე, ბონარი, ფატი, ზენდენი, შეირუ, მ'ბამი, ნასრი, ნიანგი, ვალბუენა.

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი).

ლიეპაია-პორტუ

„ბეშიქთაშის“ მიწასთან გასწორების შემდეგ „ლივერპული“ მერვედფინალის საგზურისთვის ბრძოლას დაუბრუნდა და **რაფა ბენიტესის** გუნდი ახლა მესამე ადგილზეა – მეორეადგილოსან „მარსელს“ 3 ქულით ჩამორჩება, ლიდერ „პორტუს“ კი, ვისაც დღეს მასპინძლობს, 4-ით. შესაბამისად, მერსისაიდელებს წაფორხილების უფლება აღარ აქვთ, თუმცა მათ კარგად იციან, რომ „პორტუს“ დამარცხება არ არის ისე იოლი, როგორც „ბეშიქთაშისა“ იყო. მაგრამ „ლივერპული“ ძალიან მონდომებული და შემართულია, ასეთ დროს კი, ბენიტესის ბიჭები ყოველთვის ძალიან სახიფათონი და დაუნდობლები არიან. პირველ ტურში ამ გუნდების ჯახი ფრედ 1:1 დასრულდა. მაგრამ „ლივერპულმა“ თავის დროზე (მეორე ტურში) შინ „მარსელთან“ წააგო და ამდენად არც „პორტუს“ გამარჯვება უნდა გამოვრიცხოთ, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ეს გუნდი მერვედფინალში გავიდა.

სავარაუდო შემადგენლობები

ლივერპული: რეინა, კარაგერი, ფინნი, ჰიიპია, არბელოა, ლუკასი (ან ბენაიუნი), სისოკო, ჯერარდი, კიუელი, კუიტი, ტორესი.

პორტუ: ჰელტონი, ბრუნო ალვეში, ჩეხი, ასუნსაო, პედრო ემანუელი, ბოსინგვა, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში, ქუარეშმა, სექტიუი, ლისანდრო ლოპესი.

მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	4	2	2	0	5-3	8
2. მარსელი	4	2	1	1	5-3	7
3. ლივერპული	4	1	1	2	10-4	4
4. ბეშიქთაში	4	1	0	3	2-12	3

B ჯგუფი

რუსენბორგი-ჩელსი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „რუსენბორგი“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. თანაც, ეს იმ დროს, როცა გუნდს ნორვეგიის ჩემპიონატში ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა (მე-5 ადგილი). ტრონდჰეიმელებმა პირველივე ტურში სერიოზული სენსაცია გამოაცხვეს, როცა ლონდონში „ჩელსისთან“ ფრეს (1:1) მიაღწიეს. მაშინ ბევრს ეგონა, რომ ეს სასნაული იყო და რომ „რუსენბორგს“ ძალიან მალე მიეჩინებოდა თავისი ადგილი, მაგრამ ასე არ მოხდა. მართალია, მეორე ტურში შინ „შალკესთან“ დამარცხდნენ, მაგრამ მერე ზედიზედ ორი თამაში მოუგეს „ვალენსიას“ და ახლა მეორე ადგილზე არიან, თანაც, საკმაოდ მყარად - მესამეადგილოსან „შალკეს“ სამი ქულით უსწრებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიულმა კლუბმა 1997/98 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოახერხა ზედიზედ ორი თამაშის მოგება. ერთი სიტყვით, რუსენბორგს ფლეი ოფში მოხვედრის შესანიშნავი შანსი აქვს. დღეს ნორვეგიელები „ჩელსის“ მასპინძლობენ და უკვე აღარ მალავენ, რომ მოედანზე მხოლოდ სამი ქულისთვის გავლენ. თუ „რუსენბორგი“ მოიგებს, ხოლო „შალკე“ კი „ვალენსიაში“ ვერ მოიგებს, ნორვეგიული გრანდი მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს.

რაც შეეხება „ჩელსის“ – ლონდონური კლუბისთვის დღეს წაგება არ შეიძლება, რადგან ბოლო ტურში „არისტოკრატები“ „ვალენსიას“ მასპინძლობენ და საქმეს ძალიან გაირთულებენ. როგორც იცით, **ავრაამ გრანტი** დღეს **დიდიე დროგბას** ვერ დაიხმარს.

სავარაუდო შემადგენლობები

რუსენბორგი: პირშფელდი, სტოორი, კვარმე, დორსინი, რიზტი, სკიელბერგი, ტეტეი, საპარა, ივერსენი, ტრაორე, კონე.

ჩელსი: კუდიჩინი, ბელეტი, ტერი, ბენ ჰაიმი, ე. კოული, რაიტ ფილიპსი, ობი მიკელი, ლემპარდი, სიდუელი, კალუ, შევჩენკო.

მსაჯი: ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია).

ვალენსია-შალკე

„ვალენსიისთვის“ ამ მატჩის დევიზი ასე გამოიყურება: ყველაფერი, ან არაფერი! თუ **რონალდ კუმანის** გუნდი კიდევ ერთხელ წაიფორხილებს და „შალკესთან“ ქულებს დაკარგავს, „ღამურები“ მერვედფინალზე ვეღარ იოცნებებენ. კუმანს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ ვინ დააყენოს კარში – **ტიმო ჰილდებრანდი** თუ **სანტიაგო კანისარესი**? ესპანეთის პირველობის ბოლო მატჩში ვალენსიელთა კარი კანისარესმა დაიცვა, მაგრამ ეს არც ისე კარგად გააკეთა, როგორც მისგან ქომაგები ელიან – „ღამურები“ „რასინგთან“ 0:1 დამარცხდნენ და გოლის დროს ვეტერანი მეკარე არც ისე კარგად გამოიყურებოდა.

„შალკესთვის“ კი, როგორც ამ გუნდის პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** ამბობს, „ძალიან ბევრ ფულს ეხება საქმე“. თუ გელზენკირხენული კლუბი მერვედფინალში გავა, 12 მილიონ ევროს მოიხვეჭს და „ხუმარები“ ამ ფულისთვისაც იბრძვიან. „ახლა ფულზე საუბარი არც ისე ლამაზია, მაგრამ მე ვალდებული ვარ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს შევახსენო იმ თანხის ოდენობა, რომელსაც მერვედფინალში გასვლის შემთხვევაში მივიღებთ – 12 მილიონი ევრო. ეს ის ფულია, რომლისთვისაც ნამდვილად ღირს სირბილი და ოფლის ღვრა. თანაც, ჩვენ გვაქვს შანსი, რომ ვიყოთ ერთადერთი გერმანული კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს დაძლევს,“ – აცხადებს შნუზენბერგი.

ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის მოტივირებულია და თავს არასდროს ზოგავს, გამოჯანმრთელდა – საუბარია საყრდენ ნახევარმცველ **ჯერმეინ ჯონსზე**, რომელიც ტრავმირებული იყო. „როცა ბურთს ვურტყამ, ტკივილს მაინც ვგრძნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. თუ არა და, ტკივილგამაყუჩებლებს მივიღებ. ფაქტი ის არის, რომ ამ თამაშში მონაწილეობა ძალიან მინდა,“ – ამბობს ჯონსი. სამაგიეროდ, **მირკო სლომკას** არ ეყოლება **კრისტიან პანდერი**, რომელმაც დღევანდელი შეხვედრისთვის სრულად გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. იმ შემთხვევაში, თუ ჯონსი მაინც ვერ ითამაშებს, **ფაბიან ერნსტთან** ერთად საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობების შესრულება **ზლატან ბაირამოვიჩს** მოუნევს.

სავარაუდო შემადგენლობები

ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, მარჩენა, ალბიოლი, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, დავიდ სილვა, ვისენტე, ანგულო, ვილია.

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ერნსტი, ჯონსი, იოზილი, რაკიტიჩი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი.

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	4	2	2	0	5-2	8
2. რუსენბორგი	4	2	1	1	5-3	7
3. შალკე	4	1	1	2	2-3	4
4. ვალენსია	4	1	0	3	2-6	3

C ჯგუფი

ვერდერი-რეალი

„რეალთან“ მატჩი „ვერდერისთვის“ უკანასკნელი შანსია. **თომას შაფის** გუნდს ოთხ თამაშში ერთი მოგება და სამი მარცხი აქვს, რის გამოც ბოლო ადგილზეა და თუ „მუსიკოსებს“ ფლეი ოფის საგზურისთვის გაბრძოლება სურთ, დღეს აუცილებლად უნდა მოიგონ. ეს კი ძალიან ძნელი იქნება, რადგან „რეალს“ ჯერ არაფერი აქვს განაღდებული და ესეც არ იყოს, „ვერდერს“ ორი ისეთი ფეხბურთელი აკლია, შეუცვლელები რომ არიან და მათ გარეშე გუნდს გუნდი რომ აღარ ჰქვია – **ტორსტენ ფრინგსი** და **დიეგო**. პირველი მათგანი ტრავმირებულია, თანაც დიდი ხნით, ბრაზილიელმა ფლეიმეიქერმა კი წინა ტურში (ლაციოსთან) წითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაცია აქვს.

მიუხედავად ამისა, ბრემენული კლუბის გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** იხტიბარს მაინც არ იტეხს. „სამაგიეროდ, სხვებს ეძლევათ იმის შანსი, რომ საკუთარი თავი წარმოაჩინონ და დაამტკიცონ, რომ ჯერ ერთი თამაშს იმსახურებენ და მეორეც: „ვერდერის“ წარმატება მხოლოდ ორ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული,“ – ამბობს შეფი. მოკლედ, „ვერდერს“ იმედის ნაპერწკალი უღვივის. „ცხადია, დიეგოსა და ფრინგსის არყოფნა ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ „რეალი“ არც ისეთი სუპერ-გრანდიოზული გუნდია, რომ თავები ახლავე ჩავქინდროთ და ვთქვათ, რომ არაფერი არ გამოვა,“ – ეს კი მთავარი მწვრთნელის, შაფის სიტყვებია.

მისი გადაწყვეტილებით, დიეგოს პოზიციაზე დღეს **დანიელ იენსენი** ითამაშებს, მის ადგილს კი, მარჯვენა ფლანგზე, ალბათ **იურიცა ვრანიეში** დაიკავებს. გამორიცხული არც ისაა, რომ შაფმა ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე პოზიციით მარჯვენა მცველი **კლემენს ფრიტცი** გაამწესოს. ასეთ შემთხვევაში, ფრიტცის ადგილზე **პეტრი პასანენს** ვიხილავთ, მარცხენა მცველად კი გამოჯანმრთელებულ **დუშკო ტოშიჩს**. მოკლედ, შაფს ამ მხრივ დიდი არჩევანი აქვს, რადგან მის გუნდში ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებსაც არაერთ პოზიციაზე შეუძლიათ ასპარეზობა. „ვერდერს“ თავდასხმაში ტრავმირებული **უგო ალმეიდა** აკლია. ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ არიან **ივან კლასნიჩი** და ახალგაზრდა **ჯონ მოსკერაც**. სამაგიეროდ, ბრუნება **ბუბაკარ სანოგო**, რომელიც გასულ უქმეებზე მწვრთნელის მიერ იყო დასჯილი.

მადრიდელთა მთავარ მწვრთნელ **ბერნდ შუსტერისთვის** ჯერ კიდევ ღიად რჩება საკითხი, ოთხიდან რომელ ან რამდენ ჰოლანდიელს ათამაშებს. **რუუდ ვან ნისტელროი** სანაკრებო ბატალიებიდან მცირე ტრავმით დაბრუნდა, მაგრამ მან ესპანეთის ჩემპიონატში ითამაშა (მურსიასთან 1:1), რაც იმას ნიშნავს, რომ ალბათ დღესაც უპრობლემოდ იასპარეზებს. **ვესლი სნეიდერმა** გასულ პარასკევს, ვარჯიშზე მიიღო ტრავმა და მისი თამაში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. **არიენ რობენი** ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ დიდი შანსია, რომ შუსტერმა მისი სასტარტო შემადგენლობაში გამწესება მაინც ვერ გარისკოს. იგივე ეხება **დრენდტესაც**. როგორც შანს, დაცვის ცენტრს ისევ **პეპე** გაამაგრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ **კრისტოფ მეტცელდერი** კვლავ სათადარიგო იქნება. ტრავმირებულია არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცეც**, რომელსაც დაცვის მარცხენა ფლანგზე ისევ **მარსელო** შეცვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდო ლიგისთვისაც მზადაა

სავარაუდო შემადგენლობები

ვერდერი: ვიზე, ფრიტცი, ნალდო, მერტეზაკერი, პასანენი, ვრანიეში, ბაუმანი, ბროვუკი, იენსენი, სანოგო, როზენბერგი.

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, მარსელო, დიარა, გუტი, გახო, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი.

მსაჯი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია).

ლაციო-ოლიმპიაკოსი

ჯგუფის მეორე მატჩში ერთმანეთს „ლაციო“ და „ოლიმპიაკოსი“ ხვდებიან და დიდი შანსია, რომ ამ შეხვედრამ ჯგუფიდან გამსვლელის ვინაობა გაარკვიოს. აღსანიშნავია, რომ განვლილი ოთხი ტურიდან, „ლაციოს“ და „ოლიმპიაკოსს“ აბსოლუტურად თანაბარი მაჩვენებლები აქვთ. თავად განსაჯეთ, მათი ბურთების შეფარდებაც ერთნაირია: 6:6. თანაც, პირველი მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. შესაბამისად, თუ დღეს რომაული კლუბი მოიგებს, თუ მერდვეფინალის საგზურს არ გაინაღდებს, ყოველ შემთხვევაში, ფლეი ოფისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს.

„ოლიმპიაკოსმა“ „რეალთან“ ორი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა, სტუმრად ვაჟკაცურად იომა და 2:4 დამარცხდა, შინ კი ფრეს მიაღწია, რის გამოც ბერძნული კლუბის ვეტერანი მეკარე **ანტონის ნიკოპოლიდისი** დარწმუნებულია, რომ მის გუნდს „ლაციოს“ დამარცხების უნარი შესწევს. „ჩვენ ამ მატჩისთვის იდეალურად მოვემზადეთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რომში მოვიგოთ. წინა შეხვედრებში დავამტკიცეთ, რომ საუკეთესო გუნდებთან ტოლ-სწორად თამაში შეგვიძლია, „ლაციო“ კი ნამდვილად არ არის ევროპაში საუკეთესო კლუბი,“ – განაცხადა 36 წლის მეკარემ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

სავარაუდო შემადგენლობები

ლაციო: ბალოტა, დე სილვესტრი, სივილია, სტენდარდი, კოლაროვი, ფირმანი, ლედესმა, მანფრედინი, მეგნი, როკი, პანდევი.

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პაკაგოგლუ, ჟეკლაკოვი, ანცასი, ტოროსიდისი, პანტოსი, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, გალეტი, ლუა ლუა, კოვაჩევიჩი.

მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	4	2	2	0	8-5	8
2. ლაციო	4	1	2	1	6-6	5
3. ოლიმპიაკოსი	4	1	2	1	6-6	5
4. ვერდერი	4	1	0	3	5-8	3

D ჯგუფი

ბენფიკა-მილანი

ლისაბონის „ბენფიკა“ ვალდებულია, დღეს მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს, წინააღმდეგ შემთხვევაში პორტუგალიური გრანდი, ისევე, როგორც შარშან, წელსაც ჯგუფში ჩარჩება. მაგრამ ლისაბონელთა მეტოქე დღეს „მილანია“ - ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული, რომელიც ჯგუფის ლიდერი გახლავთ და საკმაოდ მშვიდადაა.

ამ შეხვედრის და უშუალოდ მთელი ტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა კი **რონალდოს** დაბრუნებაა! „კიჭა“ ჩემპიონთა ლიგაში ბრუნდება! როგორც იცით, შარშან ფენომენმა „როსონერის“ წარმატებაში თავისი წვლილი ვერ შეიტანა, რადგან „რეალში“ ჰქონდა ნათამაშები. ამრიგად, ფენომენი ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში ფაქტობრივად ერთნლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება. ბრუნდება ახალი ვარცხნილობით (იხილეთ ფოტო). „ვერ წარმოიდგენთ, ისე მომენატრა ამ ტურნირზე თამაში და უნდა ვთქვა, რომ საუკეთესო ფორმისგან არც ისე შორს ვარ. ძალიან მინდა, რომ ანჩელოტი მენდოს და მთამაშოს. ვპირდები, იმედებს არ გავუცრუებ,“ – აცხადებს რონალდო. **ანჩელოტი** კი ჯერ არ ამხელს, გაამწესებს თუ არა ბრაზილიელს ძირითადში, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მას **ფილიპო ინძაგი** არ ჰყავს, ფაქტია, რომ რონალდო მოედანზე (თავიდანვე თუ მეორე ტაიმში) აუცილებლად ვიხილავთ.

ინძაგის, რომელმაც მეოთხე ტურში „შახტარს“ დუბლი შეუსრულა და ევროტურნირებზე გატანილი 62 გოლით ლეგენდარულ **გერდ მიულერს** გაუთანაბრდა, გრიპი აწუხებს. განაცხადშია **კლარენს ზეედორფი**, რომელმაც „კალიარისთან“ მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. მაგრამ ჰოლანდიელის ასპარეზობა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა. ცნობილია, რომ ვერ ითამაშებს **მასიმო ამბროზინი**, რომელმაც „კალიარისთან“ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. თუმცა ამბროზინი ჯანმრთელადაც რომ ყოფილიყო, ლისაბონში მაინც ვერ ითამაშებდა, რადგან დისკვალიფიცირებულია. გამარჯვების შემთხვევაში „მილანი“ მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს, მაგრამ შესაძლოა, „როსონერის“ ფრეც ეყოს – თუკი მეორე მატჩში ფრე არ დაფიქსირდება.

სავარაუდო შემადგენლობები

ბენფიკა: კუიმი, ლეო, ლუიზაო, ლუიშ ფელიპე, დავიდ ლუისი, კაცურანისი, პეტიტი, რუი კოშტა, დი მარია, ნუნუ გომეში, კარდოსო.

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, ბონერა (ან კალაძე), მალდინი, გატუზო, პირლო, სერჟინიო, კაკა, ჯილარდინო, რონალდო.

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია).

სელტიკი-შახტარი

„სელტიკი“ და „შახტარი“ კი, მეორე შეხვედრაში მეორე საგზურისთვის იბრძვიან და დიდი შანსია, რომ ამ მატჩმა მათ შორის არა მხოლოდ ამ შეხვედრაში, არამედ მთლიანად დუელში გამარჯვებულის ვინაობა გაარკვიოს. შეგახსენებთ, რომ „სელტიკს“ იაპონელი ნახევარმცველი **შუნსუკე ნაკამურა** ვერ დაეხმარება. გლაზგოური კლუბის ექიმები ეჭვობენ, რომ ეს უკანასკნელი ვერც ბოლო ტურის შეხვედრაში იასპარეზებს. დონეცკელთა მეკარის, **ანდრეი პიატოვის** თქმით, „შახტარის“ ფეხბურთელების განწყობა საბრძოლოა – უკრაინელები გლაზგოდან მინიმუმ ქულის წაღებას გეგმავენ.

სავარაუდო შემადგენლობები

სელტიკი: მ. ბრაუნი, კოლდუელი, მაკმანუსი, კენედი, ნეილორი, იაროშიკი, მაკგიდი, დონატი, ს. ბრაუნი, მაკდონალდი, ვენეგაორო ოფ ჰესელინკი.

შახტარი: პიატოვი, კუჩერი, რატი, გაი, ჩიგრინსკი, ლევანდოვსკი, ჟადსონი, სრნა, ლუის ადრიანო, ვილიანი, ლუკარელი.

მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მილანი	4	3	0	1	10-4	9
2. შახტარი	4	2	0	2	4-7	6
3. სელტიკი	4	2	0	2	3-4	6
4. ბენფიკა	4	1	0	3	2-4	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გაბრიელ ბატისტუტასთან

ალბისელესტეს გოლეადორი აკლია

სახელგანთქმული არგენტინელი ბომბარდირის ავსტრალიური ცხოვრება

კატარის „ალ-არაბიში“ გატარებული ორი სეზონის შემდეგ, არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გაბრიელ ბატისტუტა ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა სანამ ამას გააკეთებდა, მან ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ბევრი კლუბის მაცდურ წინადადებებზე თქვა უარი.

აგერ უკვე ორი წელია, 38 წლის გაბრიელ ომარ ბატისტუტა ავსტრალიის ქალაქ პერტში ცხოვრობს. თუ არგენტინულ გაზეთ Ole-ს დავუჯერებთ, ბომბარდირი თავს შესანიშნავად გრძნობს და სამშობლოში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ „ბოკა ხუნიორსის“ ან არგენტინის ნაკრების გაწვრთნელას შესთავაზებენ.

არ არის გამორიცხული, არგენტინელი კიდევ დიდი ხანი დარჩეს „მწვანე კონტინენტზე“. უკანასკნელი ინფორმაციების თანახმად, ბატისტუტას ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს.

- როგორ მიდის თქვენი ცხოვრება პერტში?

- ის არაფრით განსხვავდება ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებისგან. ყოველდღიური საზრუნავით ვცხოვრობ. ადრე ვდგები, შვილები კოლეჯში მიმყავს, მეუღლეს საყიდლებზე ვეხმარები, ვსწავლობ ინგლისურს, ვაგვარებ საშინაო საქმეებს. ნუ დაგავინყდებათ, რომ ჩვენ დიდი ოჯახი გვაქვს. ხოლო, როცა თავისუფალი დრო გამომიჩნდება და მუხლებიც არ მტკივა, გოლფს ვთამაშობ.

- ფეხბურთს?

- არა. ფეხებთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული პრობლემები მაქვს. თანაც, რაც უფრო ხშირად ვთამაშობ გოლფს, ამ სპორტის მით უფრო დიდი ფანატი ვხდები. თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე ორმოში ბურთსაც კი ვაგდებ.

- ე.ი. დიდ ფეხბურთში დაბრუნების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს?

- ეს მხოლოდ მწვრთნელის რანგშია შესაძლებელი.

- არგენტინის ნაკრების გაწვრთნაზე რას იტყოდით?

- ამ პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატადაც რომ წამომაყენონ, ეს უდიდესი პატივი იქნება ჩემთვის, მაგრამ ახლა, როცა არგენტინის ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, ალფიო ბასილე იდეალური ვარიანტია. კოკოს გამარჯვება შეუძლია, ქარიზმატული პიროვნებაა და ერთი გამორჩეული თვისებით არის დაჯილდოებული - ის ნაკრებში ყოველთვის საუკეთესოებს იძახებს.

- არც „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელობას დათანხმდებით?

- დროდადრო, „ბოკა“ თავისი თამაშით, ამაზე ფიქრის საშუალებას მაძლევს.

- ამის გამო, იქნებ ოდესღაც სამშობლოში დაბრუნდეთ?

- რა თქმა უნდა, ასეც შეიძლება მოხდეს. მე და ჩემი მეუღლე არგენტინიდან დაახლოებით 20 წლის წინ წავედით, მაგრამ ადრე თუ გვიან, ისევ მოვა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დრო, ოღონდ ეს უკვე მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იქნება.

- მანამდე კი, ავსტრალიის ვარიანტი ყველაზე მეტად გაწყობთ?

- დიახ, აქ ბევრი დადებითი მომენტია, რაზეც არგენტინაში მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია. აქ ადამიანები პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს, ამას მაშინაც კი ამჩნევ, როცა ქუჩაში მანქანით მიდიხარ. არავინ არ ცდილობს გზა ჩაგიჭრას და საერთოდ, აქ არიციან რა არის აგრესია... შენი პატიოსანი ცხოვრება არავის აინტერესებს, სრულიად უსაფრთხოდ გრძნობ თავს. ჩემი აზრით, მშვიდი ცხოვრებისთვის ავსტრალია იდეალური ადგილია.

- როგორ ახერხებთ დედამინის მეორე ბოლოდან არგენტინის ნაკრებზე და მთლიანად არგენტინულ ფეხბურთზე დაკვირვებას?

- როცა კოპა ამერიკა მიდიოდა, ინტერნეტში ონლაინ რეპორტაჟებსა და არგენტინულ გამოცემებს ვეცნობოდი, ვუსმენდი რადიოს, ადგილობრივი ტელევიზიით მატჩების მიმოხილვებს ვუყურებდი. გარდა ამისა, ევროპულ პრესასაც ვეცნობოდი, რადგან საინტერესო იყო ნეიტრალური აზრის გაგება.

- თქვენი აზრით, რა არ ჰყოფნით არგენტინის ნაკრებს სერიოზული წარმატების მისაღწევად?

- ჯერერთი, ფეხბურთში ყველაფერი ხდება: შენ შეიძლება 5-6 მატჩი ბრწყინვალე სტილში ჩაატარო, მაგრამ ერთადერთი მატჩის დროს არაფერი გამოგივიდეს და ხელმოცარული დარჩე. მეორე ფაქტორი ის არის, რომ ჩვენ არ გვყავს გოლეადორი, რომელიც მეტოქის საჯარიმოს ბატონ-პატრონი გახდება და მოწინააღმდეგეს მუდმივად ააწიოკებს. ჯერჯერობით, ეს ყველაზე კარგად ერნან კრესპოს გამოსდის, მაგრამ მომავალზე ფიქრიც საჭიროა...

- რომელ არგენტინელ ფორვარდს ანიჭებთ უპირატესობას?

- ისინი საკმაოდ ბევრნი არიან და 2010 წლის მუნდიალისთვის ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. შესარჩევ ციკლში სამ ფეხბურთელზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. ესენი არიან: კრესპო, ტევესი და მესი. ამავდროულად, მუდმივად უნდა დააკვირდნენ ევროპაში დიეგო მილიტოს, სავიოლას, ლავეცის, პავონეს, აგუეროსა და კლიმოვიჩის თამაშს.

- თქვენი აზრით, დღეს ლეო მესი მსოფლიოში პირველი ფორვარდია?

- მესი ძალიან ახალგაზრდაა და მისი ასაკი ჯერჯერობით გარკვეულ პრობლემებს ქმნის. მიუხედავად ამისა, ის აუცილებლად გახდება ვარსკვლავი და თავის კვალს დატოვებს ფეხბურთის ისტორიაში. უნდა განვითარდეს მისი ნიჭი, პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მესის წყალობით გაიზარდოს ნაკრების შეტევეთი ხაზის ეფექტურობა. ამისათვის, ლეომ უკეთ უნდა გაიცნოს პარტნიორები.

- ღირს თუ არა ნაკრების თამაშის რიკელმეს გარშემო ანყობა? რატომ ვერ შეძლო ასეთმა ფენომენმა ევროპაში წარმატების მიღწევა?

უთვალავი გოლის გატანის შემდეგ გაბრიელ ბატისტუტამ საცხოვრებლად შორეული ავსტრალია აირჩია

- რიკელმე შეუცვლელია სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებისას, აგრეთვე დისპეტჩერის როლში, რადგან ის პარტნიორებზე ორი წამით სწრაფად ფიქრობს, აღარაფერს ვამბობ მოწინააღმდეგეებზე. „ბოკას“ შემადგენლობაში გაბრწყინებისთვის ეს სავსებით საკმარისია. ევროპაში კი, ხშირად ეს ორწამიანი უპირატესობა ნულამდე დადის და შენ უბრალოდ დრო არ გრჩება ფიქრისთვის.

- არ გეჩვენებათ, რომ ჩვენ, არგენტინელები წარსულის ნოსტალგიით ვცხოვრობთ და ნაკლებს ვფიქრობთ მომავალზე? აღფრთოვანებული ვართ მარადონათი, მივსტირით ნაკრებიდან რობერტო აიალას წასვლას, ვწუხვართ რიკელმეზე...

- სულაც არ მეჩვენება. დიეგოს მარტოდმარტო შეეძლო ნებისმიერი მატჩის მოგება, ჯერ კიდევ მოსაძებნი გვყავს ისეთი ცენტრალური მცველი, როგორიც რობერტო აიალა იყო, რაც შეეხება რიკელმეს, მასზე წარსულ დროში საუბარი ჯერ ნაადრევია.

- და თქვენ?

- მე ვინმე პატარა ბიჭი შემცვლის და ეს ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოხდეს. მთავარი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ არის ის, რომ აღვკვეთოთ ასეთი დიდი რაოდენობით ახალგაზრდების ევროპაში გადინება. ჩემი აზრით, როცა ასეთ ადრეულ ასაკში ვუშვებთ ფეხბურთელებს, ამით ხელს ვუწყობთ პესპექტიული ფეხბურთელების გადინებას, ისინი კი, ხშირ შემთხვევაში ევროპაში ვერ იხსნებიან და თავიანთ ნიჭს ღუპავენ.

გიორგი თვალია

ამხანაგური მატჩი

ბექჰემი ჩავიდა და გაიჭანა

ავსტრალია კმაყოფილია, ახლა ჯერი ზელანდიაზეა

დევიდ ბექჰემმა სიდნეის „ტელსტრა სთედიუმზე“ საუცხოო საჯარიმო შეაგდო. 80 ათასმა მაყურებელმა ბილეთები უმთავრესად ამისთვის შეიძინა. პირველ ტაიმში „ლოს ანჯელეს გალაქსი“ მასპინძელ „სიდნეისთან“ 0:3-ს აგებდა. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე ავსტრალიელთა კარიდან 25 იარდში საჯარიმო დაინიშნა. „სიდნეიმ“ ცოცხალი კედელი აღმართა. ბექჰემმა ბურთი კედელს გადაავლო და მარცხენა მაღალ კუთხეში გაახვია. „ტელსტრა სთედიუმის“ ტრიბუნებზე მაყურებელმა იხუვლა. მიზანი მიღწეული იყო. ბექჰემმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. მისმა გალაქსიმ კი საბოლოოდ 3:5 დათმო. ეს ამერიკელთა პირველი საზღვარგარეთული მატჩი გახლდათ, ამავე დროს, ახალი მთავარი მწვრთნელის **რუუდ გულიტის** სადებიუტო მატჩიც. დებიუტი შთამბეჭდავი ვერ გამოვიდა, მაგრამ იმ საღამოს ეს არ არ იყო მთავარი. მთავარი ის გახლდათ, რომ სანახაობა შედგა. გულშემატკივრებმა ისიამოვნეს. ბექჰემმა კი გოლის გარდა, ყვითელი ბარათიც მიიღო. მეორე ტაიმის დასაწყისში მას მეტოქის ნახევარმცველი **რობი მიდლები** ეუხეშა. მიდლებიმ გაფრთხილება დაიმსახურა. ათიოდ წუთში ბექჰამმა მას სამაგიერო გადაუხადა, თუმცა თვითონვე წამოაყენა, გადაეხვია და თვალი ჩაუკრა. არბიტრმა მისი ღიმილი არად ჩააგდო და მასაც ყვითელი ბარათი აუფრიალა. ნამატჩევს დევიდმა იხუმრა: *„განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ვიცოდი, რომ მას ეს შეგნებულად გააკეთა. ამიტომ ხელსაყრელ დროს ვუცდიდი და როგორც კი საშუალება მომეცა, მეგობრულად დავუბრუნე ხურდა.“* „გალაქსიმ“ ახალი ზელანდიისაკენ აიღო გეზი. მისი მორიგი მეტოქე ველინგტონის „ფინიქსი“ იქნება. თამაში შაბათს გაიმართება. აქვე გეტყვით, რომ „გალაქსიმ“ ავსტრალიაში 20 ათასი მაისურა გაყიდა. „სიდნეიმ“ კი ავსტრალიური საკლუბო ფეხბურთის რეკორდი დაამყარა. მწვანე კონტინენტზე კლუბების მატჩს 80 ათასი მაყურებელი არასოდეს დასწრებია. ავსტრალიურ A ლიგაში, საკუთრივ „სიდნეის“ საშინაო მატჩებზე საშუალოდ 15 200 მაყურებელი დადის.

დევიდ ბექჰემი და მისი დამრიგებელი რუუდ გულიტი სიდნეისთან ნამატჩევს

შოტლანდია

მაკლიში გადადგა

ალექსმა ახალი სამსახური ბირმინგემში იშოვნა

ალექს მაკლიშმა შოტლანდიის ნაკრები დატოვა. წვრთნელმა საკლუბო ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, დღეს ის ბირმინგემ სიტის მთავარი მწვრთნელი გახდება. მაკლიშს შოტლანდიელებთან კონტრაქტი მუნდიალის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე აკავშირებდა. ხელშეკრულებაში იყო პუნქტი, რომელიც შეთანხმების გადახედვას ითვალისწინებდა. მწვრთნელმა სწორედ ამ პუნქტით ისარგებლა. შოტლანდიელებმა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი მესამე ადგილზე დაასრულეს. იტალიასთან ბოლო მატჩში მათ გამარჯვება სჭირდებოდათ, რათა ავსტრიასა და შვეიცარიაში მოხვედრილიყვნენ. საფეხბურთო ასოციაცია მაკლიშის მუშაობას დადებითად აფასებდა. მისმა პრეზიდენტმა **ჯორჯ პიტმა** სინანულით აღნიშნა, რომ მაკლიშს გულმა ინგლისისაკენ გაუწია. მისტერ ალექსი „ბირმინგემში“ **სტივ ბრუსის** ადგილს დაიკავებს. ამ უკანასკნელმა „ვიგანს“ მიაშურა. მაკლიშს გუნდის პრემიერლიგაში დატოვებას დაავალებენ. მისი დებიუტი მომავალ უქმეებზე „ტოტენჰემთან“ მატჩში შედგება.

ალექს მაკლიში

მოსალოდნელი ტრანსფერები

ბუნდესლიგა ვარსკვლავებს კარგავს?

დიეგო და ვან დერ ვაარტი ალბათ წავლენ...

რაფაელ ვან დერ ვაარტი

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო რეალური ხდება ის, რომ ბუნდესლიგა თავის ორ ვარსკვლავს, ბრაზილიელ **დიეგოსა** (ვერდერი) და ჰოლანდიელ **რაფაელ ვან დერ ვაარტს** (ჰამბურგი) ზამთარში თუ არა, ზაფხულში ნაღდად დაკარგავს. „ჰამბურგის" კაპიტანს, რომელსაც მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 18 ოფიციალურ შეხვედრაში 13 გოლი აქვს გატანილი, უამრავი მთხოვნელი ჰყავს. „ვალენსიის" შემდეგ მისით „ნიუკასლი" და „არსენალიც" დაინტერესდნენ და ფაქტია, რომ რაც დრო გავა, რაფას კიდევ უფრო მეტი მსურველი გამოუჩნდება, რადგან თუ HSV-სთან კონტრაქტი არ გააგრძელა, ზაფხულში ჩრდილოგერმანული კლუბი ვალდებული იქნება, რომ ლიდერს შეელიოს, თორემ მომდევნო სეზონის შემდეგ ვან დერ ვაარტის სანაცვლოდ ოდენ 1.5 მილიონ ევროს მიიღებს.

ვან დერ ვაარტის მრჩეველი ჩვენთვის კარგად ცნობილი **ბაირამ თუთუმლუა**, რომელიც ამბობს: *„რაფაელს ძალიან მოსწონს „ვალენსია" და როგორც გახსოვთ, ზაფხულში ამ გუნდში გადასვლაზე ოცნებობდა, მაგრამ ვითარება შეიცვალა და მისი „ვალენსიაში" ტრანსფერი გაძნელდება. სამაგიეროდ, უამრავი შეთავაზებები აქვს და შეუძლია, მომავალი გუნდი მშვიდად აირჩიოს."* „ჰამბურგის" ხელმძღვანელები რაფაელსა ახალი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში წლიურად 4 მილიონს სთავაზობენ, მაგრამ ჰოლანდიელის მოთაფლვა ასეთი თანხითაც ძალიან გაუჭირდებათ. *„ზაფხულამდე „ჰამბურგში" ვითამაშებ, ეს დღესავით ნათელია. მერე კი ვნახოთ,"* – ეს თვითონ ვან დერ ვაარტის სიტყვები გახლავთ.

დიეგო

დიეგოს „ვერდერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ევროპული გრანდები მზად არიან, მის სანაცვლოდ დიდი ფული გადაიხადონ. გასულ კვირაშიც ვწერდით, რომ დიეგო „ინტერისა" და „იუვენტუსის" სამიზნეშია. გაირკვა ისიც, რომ ბრაზილიელის გადაბირება მადრიდის „რეალსაც" სურს – „სამეფო გუნდის" მთავარი მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი** მისი ფანი ყოფილა. აი, რა განუცხადა ფეხბურთელის მამამ ესპანურ „დიარიო ასს": *„რეალისთვის" უარის თქმა ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ არა მგონია, რომ ტრანსფერი ზამთარში შედგეს, რადგან ჩემს შვილს „ვერდერთან" გარკვეული ვალდებულებები აქვს და შუა სეზონში ნაღდად არ მიატოვებს. აი, ზაფხულში კი ყველაფერი გაცილებით რეალური იქნება."*

ბრაზილიელი ტრაგედია მორყეულ არენაზე

ბრაზილიაში ტრაგედია დატრიალდა. ფონტე ნოვაში სტადიონის მეორე იარუსის ჩამონგრევის შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაშავდა. ბრაზილიაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა საყოველთაო შეშფოთებას იწვევს. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მას მერე, რაც ფიფამ 2014 წლის მუნდიალის ორგანიზება ბრაზილიას დაავალა. ექსპერტების შეფასებით, ქვეყნის 29 სტადიონი საფუძვლიან რეკონსტრუქციას ითხოვს. ამ არენების 80 პროცენტს სტრუქტურული განახლება სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონტე ნოვას მსგავსი, ან უარესი ტრაგედია ნებისმიერ მათგანზე შეიძლება მოხდეს. მუნდიალის ორგანიზატორები ამბობენ, რომ დარჩენილ შვიდი ნელინადში მათი ქვეყანა უკლებლივ ყველა პრობლემას გადაჭრის.

პიუზი, თუ მაინც კაპელო და ძოლა?

„სანმა" „ბლექბერნის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის რეალურ კანდიდატად დაასახელა. ჰიუზმა ეს-ესაა ახალი კონტრაქტი გააფორმა „ბლექბერნთან". მისი წყალობით, ის კვირაში 55 ათას გირვანქას მიიღებს. ახალგაზრდა უელსელი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი ხდება, თუმცა ინგლისის ნაკრების სათავეში ყოფნა სულ სხვა გამოწვევაა. ჰიუზის სპეკულაციებს არ გამოხმაურებია. ინგლისური პრესა კვლავ ინტენსიურად განიხილავს ფაბიო კაპელოს კანდიდატურას. „სანდი მირორის" ცნობით, იტალიელს ოთხწლიანი კონტრაქტი და წლიურად 5.5 მილიონი ევროც კი შესთავაზეს. ეს ხელფასი თითქმის 1 მილიონით ნაკლებია იმასთან შედარებით, რასაც სვენ გორან ერიქსონს უხდიდნენ. იმავე გამოცემის მტკიცებით, კაპელოს დანიშვნის შემთხვევაში, ინგლისელთა მეორე მწვრთნელი **ჯანფრანკო ძოლა** გახდება. დღესდღეობით ძოლა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცს **პიერლუიჯი კაზირაგის** ასისტენტია. კაპელომ ინგლისში მუშაობის სურვილი საჯაროდ დააფიქსირა, თუმცა იქვე დასძინა, ლონდონიდან არავინ შემხმიანებიაო.

გაგო პირლოს ნაცვლად?

ანდრეა პირლოთი „იუვენტუსი" დაინტერესდა. ამ ინფორმაციას „გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. იმავე გამოცემის მტკიცებით, „როსონერიმ" მადრიდელ ფერნანდო გაგოს დაადგა თვალი. ტრანსფერის შემთხვევაში, პირლოს გაყიდვა სავსებით შესაძლებელია. ანდრეას მიუნხენის „ბაიერნიც" აკვირდება. სეზონის ბოლოს ბავარიელები „მილანს" მოლაპარაკებების დაწყებას შესთავაზებენო. მიუნხენური გიგანტის შემადგენლობას პირლოს უახლოესი მეგობარი **ლუკა ტონი** თამაშობს. ტრანსფერის ბედი, შეიძლება, ამ გარემოებამ გადაწყვიტოს. ანდრეა პირლო 25 მილიონი ევრო ღირს. და კიდევ ერთი ინფორმაცია „მილანიდან". რუსული „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, „როსონერი" მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველ **ბრანისლავ ივანოვიჩში** 12 მილიონ ევროს იხდის. ამ ბიჭის ხელში ჩაგდება „იუვენტუსსაც" სურს, მაგრამ ტურინელებმა მხოლოდ 8 მილიონის გადახდა ისურვეს. მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ კომენტარები არ გაკეთებულა.

დორტმუნდი

თორმეტს უკლია თხუთმეტი!

ვისი ბრალია ბორუსიის ფიასკო?

დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარ მწვრთნელ **თომას დოლის** საქმე ძალიან ცუდადაა, ზუსტად ისე, როგორც ერთი წლის წინათ, როცა ის „ჰამბურგის" დამრიგებელი იყო. „ნიურნბერგთან" განცდილი მარცხის შემდეგ, რის გამოც BVB იმ ზონას მიუახლოვდა, საიდანაც გუნდები მეორე ბუნდესლიგაში ვარდებიან ხოლმე, 41 წლის სპეციალისტმა აღიარა, რომ მეტოქემ მისი გუნდი აბსოლუტურად ყველა ასპექტში დაჯაბნა - „ნიურნბერგმა" მონდომებითაც გვაჯობა და გამოჩნდა, რომ ამ თამაშის მოგება მეტოქეს უფრო უნდოდაო. ეს მარცხი „დორტმუნდისთვის" ფაქტობრივად სპორტული გაკოტრების აღიარება იყო.

ნაცვლად იმისა, რომ ზაფხულში ახალი ფეხბურთელებით კარგად გაძლიერებულმა BVB-მ მინიმუმ უეფას თასის, მაქსიმუმ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს, შავ-ყვითლებს ისევ მეორე ბუნდესლიგაზე უწევთ ფიქრი, რაც ამ გუნდს ძალიან ავნებს. მწვრთნელიც ამბობს, რომ მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, გაცილებით სერიოზული, ვიდრე შარშან იყო. არადა, „დორტმუნდს" ნელს ლაღი და რაც მთავარია, შედეგიანი ფეხბურთი უნდა ეთამაშა.

გუნდის გულშემატკივრებს კი ვერა და ვერ გაურკვევიათ, ვისი ან რისი ბრალია ეს ყოველივე? გუნდია ცუდი თუ მწვრთნელი? ფაქტი ის გახლავთ, რომ „ბორუსიის" ფეხბურთელები მოედანზე უსიცოცხლო ადამიანებივით დააბოტებენ და ისიც, რომ მწვრთნელი ყოველთვის უაზროდ ცდილობს მათი და საერთოდ გუნდის წარუმატებლობის გამართლებას. ერთი სიტყვით, დოლი ზუსტად ისე იქცევა, როგორც „ჰამბურგში" იქცეოდა და მკითხველს ეხსომება, რითაც დამთავრდა ის ისტორია. ისეთი განცხადებები, როგორიცაა მაგალითად „ყველაფერს დეტალურად გავაანალიზებთ, რათა დავინახოთ, რა გვაკლია" ან „მომდევნო მატჩში ყველაფერი სხვაგვარად იქნება" დოლს ნამდვილად აღარ გაუვა, რადგან გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** გუშინ გამართულ გუნდის ყოველწლიურ კრებაზე თქვა, თორმეტს თხუმეტი უკლიაო. ანუ, ცოტაც და მოთმინების ფიალა აივსება!

როცა მწვრთნელი ამბობს, ფეხბურთელებს მონდომება აკლიათო, ფაქტია, რომ გუნდში რაღაც ვერ არის კარგად. „ნიურნბერგთან" მარცხის შემდეგ დოლმა ისიც თქვა, ჩვენ გუნდი არ ვართო და ყველაზე ცუდი ის არის, რომ თომასი ამ დასკვნამდე მხოლოდ მე-14 ტურის შემდეგღა მივიდა. თანაც, ვინ არის გუნდის გუნდურობაზე პასუხისმგებელი, თუ არა მწვრთნელი?

როცა „დორტმუნდმა" 3:0 მოუგო, დოლი და მისი შეგირდები დისკოთეკაზე დილამდე ზეიმობდნენ და თომასიც ამბობდა, აღმასვლის პერიოდი გვენყებაო. ესეც მისი კიდევ ერთი პრობლემა: დოლი ძალიან რადიკალურია. მოიგებს და დედამიწა საკუთარი ჰგონია, წააგებს და პრესკონფერენციაზე ლამისაა, ცრემლები აღვარღვაროს ხოლმე. ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რომ თუ თომასი ამ ძალიან სახიფათო მოსახვევში კარგად ვერ შევა, აუცილებლად გააგდებენ. კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აქვს, მაგრამ ეს არ უშველის, რადგან „ბორუსიის" შეფებს მწვრთნელების ხშირი ცვლა ნამდვილად არ აღელვებთ – წინა სეზონში BVB-მ სამი მწვრთნელი გამოიცვალა.

წლის კრებაზე „ბორუსიის" ფეხბურთელებიც იყვნენ და სააქციო საზოგადოების წევრები (სულ 754) მათ გამაყრუებელი სტვენით შეხვდნენ. ვატცკემ კი, ფეხბურთელებს ამ სიტყვებით მიმართა: *„ერთადერთი, რასაც თქვენგან ვითხოვთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლაა, რადგან გვჯერა, რომ გაცილებით მეტი შეგიძლიათ. რომ არ გვჯეროდეს, ახლა აქ არ იქნებოდით. ძალიან ცუდია ისიც, რომ ზოგიერთი თქვენგანი ბოლომდე მხოლოდ ნაკრებში იხარჯება და გადამწყვეტი გოლებიც მხოლოდ ნაკრებში გააქვს!"* ამ წინადადებაში ვატცკე, რა თქმა უნდა, **მლადენ პეტრიჩს** გულისხმობდა, რომელმაც გასულ უქმეებზე ინგლისის ნაკრები დაასამარა. ნაგულისხმევი იყო თავდამსხმელი **ნელსონ ვალდესიც**, რომელიც პარაგვაის ნაკრებში ძალიან კარგად გამოიყურება, „ბორუსიაში" კი, უმეტეს შემთხვევებში აბსოლუტური ნულია.



თომას დოლი ჩაფიქრებულა...

„მე არ გეუბნებით, ნაკრებისთვის ნუ დაიხარჯებით-მეთქი, მაგრამ კლუბისთვისაც იბრძოლეთ, რადგან არ დაგავინყდეთ, რომ ხელფასს ჩვენ გიხდით!" – ასე დაასრულა ბოსმა თავისი გამოსვლა, რისთვისაც დარბაზში მყოფთა ტაში და ოვაციები დაიმსახურა. დუმდნენ მხოლოდ ფეხბურთელები, რადგან ეს სიტყვები სწორედ მათკენ იყო მიმართული.

დაბოლოს, კიდევ ერთი, ამჯერად „ბორუსიის" ფანებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია, რომელიც ხსენებულ კრებაზე გამჟღავნდა: ნახევარმცველმა **ფლორიან კრინგემ** „დორტმუნდთან" კონტრაქტი ოთხი წლით, 2012 წლამდე გააგრძელა. როგორც იცით, მის ხელშეკრულებას ვადა მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ეწურებოდა და ამის გამო, კრინგეს გადაბირება „ლევერკუზენს", „ვერდერს" და „ჰამბურგს" სურდათ. საუბრობდნენ „იუვენტუსის" დაინტერესებაზეც. 25 წლის ნახევარმცველი „ბორუსიაში" 1994 წლიდან ირიცხება. ბუნდესლიგაში 136 მატჩში 13 გოლი აქვს გატანილი.

დოლის დავრდომა! ბუნდესლიგის მწვრთნელთა მონაგარი

ქვემოთ მოცემული რეიტინგი გვიჩვენებს, რომ 2006/07 წლების სეზონიდან მოყოლებული, თომას დოლი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე უარესი მწვრთნელია – მან "ჰამბურგთან" და დორტმუნდის „ბორუსიასთან" ერთად, ამ ხნის მანძილზე 42 თამაშიდან მხოლოდ 10-ის მოგება მოახერხა. არადა, 2005/06 წლების სეზონში დოლი გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცხრილში შეყვანილია ყველა ის მწვრთნელი, რომლებმაც 2006 წლის 1 ივლისიდან თავიანთ კლუბს ბუნდესლიგაში მინიმუმ 17 მატჩში უხელმძღვანელეს. რეიტინგი მოიცავს მაჩვენებლებს 2006 წლის 1 ივლისიდან დღემდე.

მწვრთნელი	თამაში	ქულა	საშ. ქ.
ჰუბერტ სტევენსი (ჰამბურგი)	29	60	2.07
თომას შაფი (ვერდერი)	48	96	2.00
ოტმარ ჰიტცფელდი	29	57	1.97
არმინ ფეე (შტუტგარტი)	48	92	1.92
მირკო სლომკა (შალკე)	48	90	1.88
მიხაელ სკიბე (ლევერკუზენი)	48	75	1.56
ფილიპ მაგათი (ბაიერნი/ვოლფ)	33	50	1.52
ლიტერ ჰეკინგი (ალემანი/ჰანოვ)	48	68	1.42
ერნსტ მიდენდორაი (არმინია)	23	31	1.35
მარსელ კოლერი (ბოზუმი)	48	68	1.42
ბერტ ვან მარვიიკი (ბორუსია დ)	17	22	1.29
ჰანს მაიერი (ნიურნბერგი)	48	60	1.25
ფალკო გიოტცი (ჰერტა)	28	35	1.25
ფრიდჰელმ ფუნკელი (აინტრახტი)	48	58	1.21
თომას დოლი (ჰამბურგი/ბორ. დ)	42	46	1.10
თომას ფონ ჰეიზენი (არმინია)	21	23	1.10
კლაუს აუგენტალერი (ვოლფსბ.)	34	37	1.09
პეტრიკ ზანდერი (კოტბუსი)	40	43	1.08
იურგენ კლოპი (მაინცი)	34	34	1.00
მიხაელ ფრონტცეკი (ალემანია)	31	31	1.00
იუპ ჰაინკესი (ბორუსია მ)	19	16	0.84

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაულ გონსალეს ბლანკოსთან

არაგონესზე არ ვისაუბრეებ

რეალის ლეგენდა ნაკრების მწვრთნელს არაფერში ადანაშაულებს და ამბობს, სელექსიონში მხოლოდ ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებსაც დამრიგებელი მიიწვევსო...

რაულს ასაკი ჯერ არ ეტყობა

ორშაბათს, გერმანიაში გამგზავრებამდე, „რეალის“ კაპიტანი რაულ გონსალეს ბლანკო „რადიო მარკას“ სტუდიაში გამოცხადდა და სამეფო კლუბში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა. ის მრავალ თემას შეეხო, მათ შორის, შემადგენლობის მომზადების ხარისხს, გუნდის წლევანდელ მიზნებს, გასულ სეზონთან მიმართებაში გამოააშკარავებულ განსხვავებებს, მიმდინარე სეზონის პირველ ნაწილსა და სანაკრებო პერსპექტივებს...

რაულმა მისი გუნდის წარმატებულ სტარტს ხაზი გაუსვა და განმარტა: *„პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში პირველობა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ორივე ტურნირში საუკეთესო პოზიციებს ვფლობთ, თუმცა უბდა გვახსოვდეს, რომ წინ ძალიან დიდი და დამღლელი გზა გვაქვს გასავლელი. სეზონის დებიუტი თითქმის ყოველთვის სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მაგრამ წელს ჩვენ უმნიშვნელოვანესი მატჩები მოვიგეთ. ძალიან სასიხარულოა, რომ ჰაერივით საჭირო ქულებს ლამაზი ფეხბურთის თამაშით ვიპოვებთ. ვგონებ, იმ სტაბილურობას მივაღწიეთ, რომლის გარეშეც პირველობაზე ფიქრი უტოპიაა და სხვა არაფერი.“*

სამეფო კლუბის ცოცხალმა ლეგენდამ ამის შემდეგ თანაგუნდელების შესახებ ისაუბრა: *„ფეხბურთელთა ერთი ნაწილი ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს იმდენი მატჩის ჩატარებას, რამდენიც თავად სურთ, მაგრამ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ „რეალის“ სკამი საკმაოდ გრძელია. კონკურენცია იმდენად დიდია, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. მრავალი სირთულის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, სეზონის მსვლელობისას შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი აბსოლუტურად ყველას მიეცემა. როგორც კაპიტანი, ბიჭებს მოვუწოდებ, რომ ემოციებს არ აყვნენ და სიტუაციის დაძაბვას ხელი არ შეუწყონ. აქამდე საამისო პრობლემა არ შეგვქმნია. იმედია, მომავალშიც ასევე იქნება. თუ ღმერთი ისურვებს, ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებასა და ჩემპიონთა ლიგაში ბოლო დღემდე ვიასპარეზებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამაში მართლაც ყველას მოუწევს. ბუნებრივია, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ ამის გამო აყალ-მაყალი არ უნდა ავტეხოთ. მჯერა, თითოეული ჩვენგანი პირველ ყოვლისა, გუნდის ინტერესებით იხელმძღვანელებს. ყველას გვესმის, რომ წინ ურთულესი თვეები გველის. ვალდებულები ვართ, „რეალს“ ეს რთული მატჩები მოვაგებინოთ.“*

შემადგენლობაში არსებული მსგავსებებისა თუ პირიქით, განსხვავებების განხილვისას, რაულმა გასული სეზონი გაიხსენა: *„ბუნებრივია, ერთ გუნდში აბსოლუტურად თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოთამაშეები ვერ მოიყრიან თავს. ზოგი ერთ კომპონენტშია ძლიერი, ზოგი - მეორეში. ვფიქრობ, რამდენიმე კაცი მსოფლიო დონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, დანარჩენები კი მზარდი ფეხბურთელები არიან და ყველაფერი წინ აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში სამეფო კლუბის წლევანდელი შემადგენლობა უფრო ქმედუნარიანია. შარშან ჩემპიონები გავხდით, მაგრამ წელს გაცილებით უკეთ დაბალანსებული გუნდი გვყავს. ვფიქრობ, მთავარ მწვრთნელს ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზი გამოიყენოს. ერთი რამ კი უცვლელია, შარშანდელის მსგავსად, „რეალი“ წელსაც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის.“*

რაულმა მთავარი მწვრთნელის შეცვლით გამოწვეულ სასიკეთო ცვლილებებსაც არ აუარა გვერდი: *„წინა სეზონის ძალიან დიდი ნაწილი ტანჯვასა და წვალებაში გავატარეთ. ამის ერთადერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ გუნდი ბურთს ჯეროვნად ვერ აკონტროლებდა. თითქოს, რაღაც გვაკლდა. მადლობა ღმერთს, ბერნდ შუსტერი მოსვლის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ეს კაცი ბურთთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. „რეალმა“ ბურთი დაიბრუნა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბედნიერებამ დაისადგურა. როცა ბურთს ჩვენ ვაკონტროლებთ, მრავალი შესაძლებლობა გვეძლევა იმისთვის, რომ მეტოქეს საკუთარი პირობები მოვახვიოთ თავს. ბუნებრივია, მხოლოდ ბურთის ფლობით მწვერვალებს ვერ დავიპყრობთ. აუცილებელია, რომ ამ საქმეს კონკრეტული შედეგები, ანუ გოლები მოჰყვეს.“*

ჟურნალისტების კითხვას, რომელ ფორვარდთან ერთად ურჩევნია თამაში, **რონალდოსთან** თუ **ვან ნისტელროისთან**, გონსალეს ბლანკომ დიპლომატიურად უპასუხა: *„რონალდოსთან დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს. ერთმანეთის ფანტასტიკურად გვესმოდა და უამრავი გოლი გაგვქონდა. რონი არაორდინალური ფორვარდია, მას უდიდეს ინდივიდუალისტს ვუწოდებდი. ნებისმიერ წამს შეიძლება აფეთქდეს და თუნდაც ყველაზე რთული შეხვედრის ბედი მისი გუნდისთვის სასიკეთოდ გადაწყვიტოს. ბრაზილიელთან შესანიშნავი თანამშრომლობა მქონდა. ვან ნისტელროის რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ რუუდი ნაკლებად ინდივიდუალისტია, თუმცა ეს უარყოფითი თვისება სულაც არ არის. პირიქით, რაც არ უნდა მოხდეს, ჰოლანდიელი მუდამ გუნდზე ფიქრობს. საერთო ენის გამონახვა არასოდეს გაგვჭირვებია. ერთმანეთს ვუფრთხილდებით, პასებს არ ვუგვიანებთ და გოლებს ვიტანთ. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდება კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა. მოდით, ასე ვიტყვი, რონალდოსა და ვან ნისტელროის თანაბრად ვაფასებ. მე ორივესთან კომფორტულად ვგრძნობ თავს.“*

ერთ-ერთი რამ, რაშიც რაული 100 პროცენტითაა გარკვეული, სამეფო კლუბის მიზნებია: *„ორი აზრი არ არსებობს, ჩვენ წელს პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გასამარჯვებლად ვიბრძოლებთ. ბუნებრივია, სამეფო თასსაც სრული სერიოზულობით ვეკიდებით, მაგრამ ნუ დავმალავთ, რომ პრიმერა და ჩემპიონთა ლიგა გაცილებით უფრო პრესტიჟული ტურნირია. ამოცანების თვალსაზრისით ჩვენთან აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. როგორც ყოველთვის, ყველა ფრონტზე გამარჯვებას შევეცდებით.“*

რა თქმა უნდა, კაპიტანი სტუდიას პრიმერადივიზიონურ კლუბებზე საუბრის გარეშე ვერ დატოვებდა. ოდნავ უცნაურია, მაგრამ ის შედარებით მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების მქონე გუნდებს შეეხო: *„მარსელინიოს „რასინგმა“ თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ალბათ, ცოტა თუ იფიქრებდა, რომ სანტანდერელები სეზონს ამდენად კარგად დაიწყებდნენ. ისინი შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ. „რასინგი“ „რეალის“ მომდევნო მეტოქეა და ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან რთული შეხვედრის ჩატარება მოგვიწევს. აღფრთოვანებული დავრჩი მთლიანად „ხეტაფესა“ და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელობის მოთმინებით. თავიდან ამ გუნდს მწვავე პრობლემები შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ თამაშს თამაშზე აგებდნენ, პრეზიდენტსა და დირექტორატის წევრებს ლაუდრუპის გადაყენება აზრადაც არ მოსვლიათ. ისინი ხედავდნენ, რომ „ხეტაფე“ ლამაზად და სწორად მუშაობდა. უიღბლობა უსასრულოდ არ გაგრძელდა და ჩვენმა თანაქალაქელებმა ნელ-ნელა შედეგები გამოასწორეს... და, რა თქმა უნდა, „ვილიარეალი“! კლუბი, რომელიც დაუჯერებელ სეზონს ატარებს. მართალია, მათ კატასტროფული ანგარიშით (5:0) მოვუგეთ, მაგრამ ამით მანუელ პელეგრინის ბიჭების მიღწევები ვერ დაკნინდება. „ვილიარეალი“ ძალიან გამართულად და ეფექტურად ასპარეზობს.“*

სამეფო კლუბის ლიდერს ჩვენმა მეგობრებმა ბოლო დღეების სენსაციურ ინფორმაციასთან დაკავშირებითაც დაუსვეს კითხვა - რას ფიქრობს რაული ინგლისელთა იმ შეთავაზებაზე, რომელიც **ბერნდ შუსტერმა** მიიღო? პასუხი ასე ჩამოყალიბდა: *„რადგან ეს ცნობა პრესაში გაჩნდა და მასზე თავად შუსტერმაც ისაუბრა, ესე იგი, არა მორიგ ჭორთან, არამედ სიმართლესთან გვაქვს საქმე. ალბათ, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დაინტერესება მისთვის დიდი პატივია. სხვაგვარად ვერც იქნება. ბოლო წარუმატებლობის მიუხედავად, ინგლისის ეროვნული გუნდი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს გრანდად რჩება და მისი ხელმძღვანელების მიერ თანამშორმლობის სურვილის გამოთქმა მართლაც, რომ საამაყოა და სხვა არაფერი. დარწმუნებული ვარ, შუსტერი ნასიამოვნებია, მაგრამ იმედია, ის ჩვენს მიტოვებას არ გადაწყვეტს. ძალიან გამიკვირდება, წასვლა რომ ამჯობინოს. არ მგონია, საქმე აქამდე მივიდეს.“*

მომდევნო კითხვა **ფრანკ რაიკაარდს** მიეძღვნა. გონსალეს ბლანკო შეეცადა, მაქსიმალურად დელიკატური და თავაზიანი გამოჩენილიყო: *„რაიკაარდი უკვე მრავალი წელია „ბარსელონას“ წვრთნის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ამ ადამიანს სიმშვიდე ერთხელაც არ დაუკარგავს. არადა, „ბარსას“ გზა ყოველთვის ვარდის ფურცლებით არ იყო მოფენილი. კატალონიელებმა იმდენად რთული დღეებიც გამოიარეს, რომ რაიკაარდის ადგილას სხვა მოთმინებას დაკარგავდა და ნერვულ სტრესში ჩავარდებოდა. დამეთანხმებით, ჰოლანდიელს მსგავსი საშიშროება ერთხელაც არ დამუქრებია.“*

როგორც გაირკვა, რაული ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ბარსელონას“ ერთადერთ კონკურენტად არ მიიჩნევს: *„ბარსა“ წელსაც „ბარსაა“, თუმცა საფრთხეს მხოლოდ მათში როდი ვხედავ. ალბათ, იანვრამდე უნდა მოვიცადოთ, რათა გავიგოთ, შესწევს თუ არა, „ვალენსიას“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ჩემი აზრით, რონალდ კუმანს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და შედულაბებული შემადგენლობა ჰყავს. ეჭვი არ მეპარება, „ღამურები“ სწორედ პირველობას დაისახავენ მიზნად. „ესპანიოლსაც“ ძალიან სერიოზულ კოლექტივად მივიჩნევ. მართალია, „ვალენსიისგან“ განსხვავებით მათი შემადგენლობა უფრო ახალგაზრდა და გამოუცდელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კატალონიელებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება არ შეუძლიათ. „სევილია“?! აი, ანდალუსიელებთან მიმართებაში კი დარწმუნებული არ ვარ. რადგან თავადვე ამბობენ, რომ წელს ისეთივე ძლიერები არ არიან, როგორც შარშან, მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ „სევილია“ საჩემპიონო მარათონში ვეღარ ჩაებმება.“*

დასასრულისთვის „რადიო მარკას“ ჟურნალისტებმა ყველაზე გემრიელი ლუკმა მოიტოვეს, თუმცა რაულის პასუხმა ამ ლუკმას გარკვეულწილად გემო დაუკარგა. მათ სასურველი სკანდალური განცხადება ვერ მოისმინეს. ნაადრევად დაბრძენებულმა გონსალეს ბლანკომ ჩვენს კოლეგებს სრულიად მშვიდად მიუგო: *„ნაკრებში მხოლოდ ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებსაც მწვრთნელი მიიწვევს. ევროპის ჩემპიონატზე დაკარგვის იმედი არ დამიკარგავს. ამისათვის თავდაუზოგავად ვიმუშავებ, თუმცა ვაცნობიერებ, რომ ამდენი ხნით „სელექსიონს“ მიღმა ყოფნის შემდეგ დაბრუნება ძალიან გამიჭირდება. მით უმეტეს, ეროვნული გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობა შესანიშნავად გამოიყურება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ნუ მიწყენთ, მაგრამ ახლა ლუის არაგონესზე არ ვისაუბრებ. ნურავინ იფიქრებს, რომ მას რაიმეში ვადანაშაულებ. მთავარი მწვრთნელი უფლებამოსილია, ის გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც მართებულად მიაჩნია. ის არ გახლავთ ვალდებული, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება ვინმეს შეუტანხმოს. ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა ცუდად დაწყებული საკვალიფიკაციო რაუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებით დაასრულეს.“*

ილია ნიკოლაიშვილი

მორიგი სამწვრთნელო ცვლა

ემპოლიში მალეზანის ელოდებიან

ალბერტო მალეზანი სერია A-ში ბრუნდება

სერია A-ს „ემპოლი“ უმწვრთნელოდ დარჩა. **ლუიჯი კანის** კარისკენ მიუთითეს. ვაკანტურ პოსტს „ფიორენტინის“ ყოფილი თავკაცი **ალბერტო მალეზანი** უმიზნებს. ემპოლიმ გასული სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარა. მან მოულოდნელად მეშვიდე ადგილი დაიკავა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. მიმდინარე სეზონში გუნდს საქმეები ცუდად წაუვიდა. 12 ტურის შემდეგ მან მხოლოდ 10 ქულას მოუყარა თავი და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნემანია ვიდიჩთან

ჩემთვის დამარცხება შეურაცხყოფაა

მანჩესტერ იუნაიტედის სერბ მცველს არასოდეს უცდია, მეტოქისათვის ტრავმის მიყენება...

ნემანია ვიდიჩმა დიდ ფეხბურთში პირველად მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელის რანგში შეაბიჯა. მალე მისი თამაშით უამრავი ევროპული გრანდი მოიხიბლა. ყველას კი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაასწრო. სერ ალექს ფერგიუსონს ფეხბურთელის არჩევისას გუმანი ძალიან იშვიათად ღალატობს. ამჯერად ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე - ვიდიჩმა გაამართლა. დღეს ის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ცენტრალურ მცველად ითვლება. ხოლო რიო ფერდინანდთან დუეტში მას ალბათ ბადალი არ მოეძებნება მთელ დუნიაზე. გთავაზობთ ინტერვიუს რომელიც მან „სპორტ მეგეზინს“ მისცა, სადაც ის საკმაოდ საინტერესო თემებზე საუბრობს.

ნემანია ვიდიჩი ჩვეულ ამპლუაში

- პირველ რიგში განგვიმარტეთ, როგორ მოგმართოთ, მისტერ ვიდიჩ თუ ნემანია?

- მომმართეთ უბრალოდ ვიდა.

- კარგით. მაშ ასე, სეზონი ნელ-ნელა ეკავტორს უახლოვდება. ძველი გეგმები ისევ ძალაშია?

- გეგმები ძველებურად ამბიციურია - უნდა მოვიგოთ ყველაფერი. „მანჩესტერის“ ფსოქოლოგია ასეთია, რომ ყოველ თამაშში მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძვით. თუკი ვინმე სხვანაირად ფიქრობს, მაშინ მისი ადგილი არაა ტოპკლუბში. ჩვენთან, გუნდში მაღალი დონის მოთამაშეები ასპარეზობენ და ისინი ყოველ პოზიციაზე დიდ კონკურენციას ქმნიან ძირითადში მოსახვედრად. ჩემპიონობის მოგება ძალიან ძნელი იქნება, იმიტომ, რომ პრემიერლიგა ძალიან რთული ტურნირია. ამის მიუხედავად, ჩვენ ყველანაირი წინაპირობა გვაქვს გასამარჯვებლად.

- პრემიერლიგამდე თქვენ რუსეთში თამაშობდით. რამდენად ძნელი იყო ადაპტაცია ინგლისურ ფეხბურთთან?

- ძალიან ძნელი იყო. პირველ თვეებში მე საკუთარ თავს აღარ ვგავდი. მიჭირდა ერთი სწორი პასის გაკეთება და უბრალოდ ბურთის დამუშავებაც კი. საკუთარი თავის რწმენა დავკარგე და გამიჩნდა ეჭვი, რომ ინგლისის ჩემპიონატი არ იყო საჩემოდ შექმნილი. რაღაც პერიოდის შემდეგ ყველაფერი ნორმაში ჩადგა. იცით, აქ ყველაფერი სხვანაირად დამხვდა: მაღალი ტემპი, თამაშის მაღალი დონე, უამრავი მატჩი, ცოტა დრო დასასვენებლად. შეგუებისთვის რამდენიმე თვე დამჭირდა. ამის შემდეგ საკუთარი ძალების რწმენაც აღმიდგა და აი ახლა, თქვენ წინაშე ნამდვილი ნემანია ვიდიჩია.

- რას გეუბნებოდათ სერ ალექს ფერგიუსონი?

- მუდამ მხარს მიჭერდა. მას ესმოდა, რომ მე იმ დონეზე თამაშს ვერ ვახერხებდი, როგორც შემეძლო. ყოველ ნაბიჯზე მეუბნებოდა: „ნუ ნერვიულობ! ვიცი, რომ ათამაშდები ამ ჩემპიონატსა და ამ კლუბში. ყველაფერი კარგად იქნება“. ერთხელაც მართლა ავთამაშდი. ამაში მთელი სამწვრთნელო შტაბი მეხმარებოდა, მეც მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი, რომ საკუთარი პოტენციალი გამომემჟღავნებინა. თუკი ადამიანს საკუთარი თავის გწამს, თუკი კონცენტრაცია მხოლოდ სამუშაოზე გექნება, მაშინ თამაშიც უფრო და უფრო ადვილდება.

- ამბობენ, რომ თავიდან თქვენზე შეფობა რიო ფერდინადმა აიღო. მართალია?

- დიახ. ჩვენ ერთად დავდიოდით რესტორნებში და ერთად ვატარებდით თავისუფალ დროს. ამით მან ძალიან შემინყო ხელი იმაში, რომ საფუძველი ფეხქვეშ მყარად მეგრძნო. მე და მას მშვენიერი ურთიერთგაგება გვაქვს მოედნის მიღმაც, ერთნაირად ვფიქრობთ მინდორზეც. თამაშის დროს ყოველთვის რამდენიმე წამით ადრე ვიცი, თუ რას მოიმოქმედებს რიო, ასევე იცის მანაც. მეგობრობა ძალიან გვიადვილებს თამაშს.

- ცხოვრებაში ძალიან მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. რა ხდება მაშინ, როდესაც მინდორზე გამოდიხართ?

- ადამიანი ვისაც თქვენ მოედანზე ხედავთ ხოლმე და ვისაც ახლა ესაუბრებით, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. თამაშისას ძალიან აგრესიული ვარ და მთლიანად ვიხარჯები ჩემი გუნდისთვის. შეიძლება, ყოველთვის კარგად ვერ ვთამაშობ, მაგრამ ყოველთვის ყველაფერს ვდებ თამაშში. ვფიქრობ, გულშემატკივრებს ეს მოსწონთ კიდეც ჩემში. მე მუდამ აგრესიულად ვთამაშობ, მაგრამ არასოდეს ბინძურად. დამეთანხმეთ, მე არ ვარ ძვლებისმტვრეველი. არასოდეს მდომებია, ვინმესთვის ტრავმა მიმეყენებინა. უბრალოდ ყველაფერს მოსაგებად ვაკეთებ. მე შემიძლია წაგებასთან შეგუება.

- როგორი რეაქცია გაქვთ ხოლმე წაგებაზე? ირგვლივ ყველაფერს ამტვრევთ?

- არა, მაგრამ ყოველთვის ძალიან ცუდად ვხდები. ვერ ვიტანთ მარცხს. თუკი წავაგეთ, და მით უფრო, თუკი მე ცუდად ვითამაშე, სჯობს არავინ მომიახლოვდეს. ვერ ვარხერხებ საკუთარი თავის უმალ ხელში აყვანას. წაგების შემდეგ მგონია, რომ ვიღაცამ ხელი გამარტყა. ვერ ვიტანთ ამ შეგრძნებას.

- ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გათამაშებაში, „მილანთან“ თამაშის შემდეგ რას გრძნობდით?

- ამ შეკითხვით თქვენ მე მკლავთ. ამ თამაშამდე ცოტა ხნით ადრე მე უმძიმესი ტრავმა მქონდა, რომლის მკურნალობას ფორსირებულად გავდიოდი. ორი აზრი არ არსებობს, რომ ეს იყო ყველაზე ცუდი დღე ჩემს მანჩესტერულ კარიერაში. კარგია, რომ ეს დღე უკვე ისტორიაა.

- მას შემდეგ რაც თქვენ თავზე მძიმე ტრავმა მიიღეთ, იღიმოდით, ნუთუ ტკივილს ასე აღიქვამთ?

- რა თქმა უნდა არა, მაგრამ თუკი ტრავმის მიღების შემეშინდება, ასეთ შემთხვევაში ნორმალურად თამაშს ვერ შევძლებ. ძალიან ბევრი მძიმე ტრავმა მიმიღია და ეჭვი არ მეპარება, რომ რამე მძიმე კიდევ მექნება გადასატანი, მაგრამ ამაზე ფიქრი არ მაწუხებს. ეს ფეხბურთია და აქ ტრავმები ყველას გვაქვს. განსაკუთრებით მცველებს. ფეხბურთელს შიში სარგებელს ვერ მოუტანს.

- ჯერ ცოლის მოყვანამ, მერე მამობამ თუ შეგცვალათ?

- ვფიქრობ, კი. მე გავიზარდე ჩემი ლუკას დაბადების შემდეგ. მამობა უამრავ პასუხისმგებლობას მაკისრებს - ვალდებული ვარ, ხშირად ვიყო შვილთან, მეუღლესთან. ღირსეულად აღვზარდო პატარა. იმავეს თქმა შეიძლება მაშინაც, როცა ოჯახს ბავშვი ჯერ არ ჰყავს. ქორწილის შემდეგ თავს ბევრად უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობ. მე ვტკბები ცხოვრებით ჩემს ოჯახთან ერთად. ბევრად უფრო მშვიდი გავხდი, რაც მოედანზეც დიდად მეხმარება. იქნებ ამის გამოც გამომდის უკეთ თამაში?

- მოგწონთ თუ არა ინგლისი? აღიქვამთ თუ არა მას საკუთარ სახლად?

- დიახ, აქაურობა უკვე ძალიან მიყვარს. თუმცა იყო დრო, როცა ასე არ ვფიქრობდი. პირველ თვეებში ყველაფერი ძალიან რთული იყო: ცხოვრების განსხვავებული რიტმი, ახალი ადამიანები ჩემს ცხოვრებაში... მერე ყველაფერს შევეგუე და ყველაფერი მშობლიური გახდა. ერთია, რომ ამინდია ძალიან ცვალებადი. სასეირნოდ წასულს შეიძლება მოულოდნელად თავსხმა წვიმამ მოგისწროს. ამის მიუხედავადაც კი, თავს უკვე სახლში ვგრძნობ.

- მოგწონთ აქაური სამზარეულო?

- თევზი და შემწვარი კარტოფილი! აქ ყველაფერი ძალიან გემრიელია. დილაობით ძალიან მიყვარს შემწვარი ხორცი სხვადასხვა ასორტთან ერთად. მაგრამ მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ვალდებული ვარ ჩემს კვებას დიდი ყურადღება მივაქციო.

ხეტაფე vs სარაგოსა

ლეგალური გოლი უპატიოსნოდ

აბონდანსიერი თანამემამულე დალესანდროს დაუპირისპირდა

რობერტო აბონდანსიერი

„ხეტაფესა“ და „სარაგოსის“ მატჩში **ანდრეს დალესანდროს** მიერ ჩადენილი არაჯენტლმენური საქციელი მადრიდული და არაგონული კლუბების არგენტინელი ლეგიონერების დაპირისპირების მიზეზი გახდა. საქმე იმავე დალესანდროსა და **რობერტო აბონდანსიერის** შეეხება. ვითარებაში ჯეროვნად რომ გავერკვეთ, მოგახსენებთ, რომ „ხეტაფეს“ გოლკიპერმა კარი მიატოვა და მსაჯთან მივიდა. ის **ალვარეს ისკიერდოს** სთხოვდა, თამაში მანამ არ განეახლებინა, მანამ **მიქაელ ლაუდრუპი** შეცვლას არ განახორციელებდა. დალესანდრომ ამით ისარგებლა და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო. არბიტრმა გოლი ჩათვალა...

შეხვედრიდან ერთი დღის შემდეგ აბონდანსიერიმ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და თანამემამულეს სამართლიანი თამაშის პრინციპების დარღვევაში დასდო ბრალი: „გაოგნებული ვარ. *მიმაჩნია, რომ ანდრესმა ფეარ ფლეის ფილოსოფია ფეხებზე დაიკიდა. ჩვენ ესპანეთში ჩამოსული არგენტინელები ვართ. ეს განსაკუთრებული სიტუაციაა. ერთია, როცა სამშობლოში ხარ და თანამოქალაქეზე რაიმეს ამბობ. ამ შემთხვევაში, შეგიძლია, პირდაპირ ისაუბრო... მაგრამ უცხოეთში ცხოვრებისას სხვა ეტიკეტს უნდა დაემორჩილო. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ პრესკონფერენციამდე თავად დალესანდროს დავურეკე და ვესაუბრე. ამიტომ, ახლა თავისუფლად და თამამად შემიძლია, ჩემი გულისტკივილი მოგახსენოთ. მე პროფესიონალი ვარ, მაგრამ „სარაგოსასთან“ მატჩში აბსოლუტურ კრეტინად გამოვჩნდი. ყველამ ნახა, მსაჯს ველაპარაკებოდი და ამ დროს ანდრესმა გოლი გამიტანა. არ გამოვრიცხავ, ვინმემ მითხრას, დალესანდრო პრაგმატულად მოიქცა და სასაყვედუროც არაფერი უნდა გქონდეს. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ განა ჩვენ კოლეგები არ ვართ? ხომ უნდა არსებობდეს რაიმე სახის თანაგრძნობა? თანაგრძნობა, რომელმაც კაცობრიობა აქამდე მოიყვანა. ასე მხოლოდ ტურა თუ მოიქცეოდა. მიჭირს ამ სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ იძულებული ვარ, ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ. როცა თანაგრძნობა ვახსენე, სიცოდვილს არანაირად არ ვგულისხმობდი. ან რა მჭირდა შესაცოდი?! ვიმეორებ, არბიტრს ვესაუბრებოდი და დალესანდრომ ამით ისარგებლა. ცარიელ კარში გოლის გატანა დიდი ვერაფერი ვაუკაცობა იყო. ანდრესს ეს ყველაფერი პირადად ვუთხარი. არ დამიმალავს, რომ ძალიან მატკინა გული.“*

ამ ინციდენტთან დაკავშირებით მთავარმა არბიტრმა, ალვარეს ისკიერდომაც გამოთქვა მოსაზრება: „*დალესანდროს საფეხბურთო წესები არ დაურღვევია. უფლება არ მქონდა გოლი არ ჩამეთვალა. აუცილებელი არ იყო, აბონდანსიერის კარი დაეტოვა. მერე რა რომ მანამდე თამაში გაჩერებული იყო. ერთი სიტყვით, სარაგოსელს წესები არ დაურღვევია. სხვა საქმეა მორალის დაუწერელი კანონები. ამას ყველა თავისებურად აფასებს. აბონდანსიერის ძალიან კარგად მესმის, მაგრამ საფეხბურთო წესების მიხედვით, მას სრულიად ლეგალური გოლი შეუგდეს.*“

ჰელათბურთი

ცქიტიშვილს მწვრთნელი ყოველი შესვენებისას აფხიზლებს

მიუხედავად იმისა, რომ ნიკა ცქიტიშვილს „აველინოსთან“ ოდენ 8 ქულა ჰქონდა, ხოლო მისმა „ტერამომ“ 101:81 ნაგო, ქართველი ფორვარდისადმი იტალიელთა ინტერესი არ შენელებულა. „ტერამოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა პაოლო მარინის საინტერესო პუბლიკაცია სათაურით „სკიტა „ტერამოს“ ხელში იღებს“.

გთავაზობთ მარინის ნაშრომის ქართულ თარგმანს.

- ნიკოლოზ ცქიტიშვილი ტერამოელთა გუნდის ლიდერად სეზონის დასაწყისიდანვე იქცა და არაერთი გადამწყვეტი მატჩის მოგებაც მოასწრო. თუმცაღა, მწვრთნელი მასიმო ბიანკი ხშირად ჩივის, რომ სკიტას ზოგჯერ აგრესიულობა აკლია და ასათამაშებლად გამოფხიზლება სჭირდება. აი, რას ფიქრობს ამ საკითხზე თავად ცქიტიშვილი: „მინდა „ბიელასთან“ მატჩი გავიხსენო. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშე, დიდ შესვენებაზე გაგიჟებული გავედი, საკუთარ საკუთარ თავზე ვბრაზობდი. როგორც ჩანს, ემოციურმა გამოფხიზლებამ ჩემს გარჯაზეც იმოქმედა, გადამწყვეტ მომენტში თამაში საკუთარ თავზე ავიღე და „ტერამოს“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვუტანე. აქვე უნდა დავამატო, რომ, როცა საუბარია წარმატებაზე, არ უნდა დავიწყოთ, რომ მაღალ დონეზე ზედიზედ რამდენიმე მატჩს ვერც ერთი კალათბურთელი ვერ ატარებს. ბოლო ტურში ვერც მე და ვერც „ტერამომ“ სათანადო დონეზე ვერ ვითამაშეთ.“

სკიტა მწვრთნელზეც საუბრობს: „მასიმო ბიანკი ყოველთვის ცდილობს მოტივაცია შემმატოს. ამისთვის იგი თითოეული შესვენებისას ემოციურად მესაუბრება და მოედანზე გასული გაცილებით უკეთესად ვირჯები. მაგრამ, ალბათ, ჩვეულებრივი ამბავია, რომ გარკვეული დროის შემდეგ ემოციურად ვიფიტები და მწვრთნელი იძულებულია ხელახლა გამომაფხიზლოს. ეს სიტუაცია რაღაცით ელექტროჩამრთველს მაგონებს...“

ტერამოელთა ცენტრი გუნდის მომავალს იმედის თვალით უყურებს. მისი თქმით, „ტერამოს“ ფლეი ოფში მოხვედრა შეუძლია, მაგრამ ამისთვის ყოველ მატჩში მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო: „სეზონი კარგად დავიწყეთ, მაგრამ შიგადაშიგ წაგებები შემოგვერია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იტალიის ჩემპიონატი ურთულესი მარათონია და წაუგებლად სვლა წარმოუდგენელია. ჩვენი მთავარი ამოცანა საშინაო მატჩებში წაუგებელი გუნდის იმიჯის შეძენაა. თუ ტერამოდან ქულას არავის გავატანთ, მიზანსაც ადვილად მივაღწევთ.“

იტალიაში ჩამოსვლისას სკიტამ აღნიშნა, რომ აქ ძალების მოსაკრებადაა და მალე ისევ NBA-ს დაუბრუნდება. აი, ამ თემაზე დღეს რას ამბობს: „ამჟამად ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს იმაზე ფიქრს, მომავალში ამერიკაში ნავალ, თუ - აქ დავრჩები. ახლა მხოლოდ ორ საკითხზე ვფიქრობ, პირველი „ტერამოა“, რომლის წარმატება პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ჩემს გარჯაზე. ხოლო, მეორეა ჩემი თამაში, ვცდილობ კონდიციები გაიუმჯობესო და ევროპაში ვიქნები თუ ამერიკაში ყველასთვის ღირებული კალათბურთელი გავხდე.“

მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა

ლიტვა

ვაშაკიძე პუნტუკასში ათამაშდა

ბექა წიწიშვილის წამოსვლის შემდეგ ლიტვის მეორე ლიგაში ორი ქართველი კალათბურთელი დარჩა - **ნოდარ შენგელია** და **ტატო ვაშაკიძე**. ნოდარის შესახებ ამასწინათ გესაუბრეთ, ტატოზე კი ამ სეზონში პირვალად განვდით ინფორმაციას.

ვაშაკიძე გასულ სეზონში ლიტვის უმაღლეს ლიგაში „ნევეჟისის“ღირსებას იცავდა, მაგრამ საკმარისი სათამაშო დრო არ ეძლეოდა. ამიტომ მან ამ ზაფხულს კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა და ბერძნული „ოლიმპიასის“ შეკრებაზეც იყო, მაგრამ ამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება ვერ მოხერხდა და ტატო ლიტვას დაუბრუნდა. იგი მეორე ლიგურ „პუნტუკასს“ დაგვიანებით შეუერთდა, თუმცა ადაპტაცია არ გასჭირვებია და სადღეისოდ ძირითად შემადგენლობაში თამაშობს.

ტატო ვაშაკიძეს „პუნტუკასში“ 9 მატჩი აქვს ჩატარებული, მოედანზე საშუალოდ 26.3 წუთს ატარებს, 11.6 ქულას, 3.7 მოხსნასა და 3.4 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

ლიტვის ქვედა ეშელონში მატჩები ტურობრივად იმართება, გუნდები ორ დღეში ორ მატჩს ატარებენ. „პუნტუკასმა“ ბოლო შეხვედრებში ვერც ერთი გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა, ჯერ შინ „პერლასთან“ 89:91 დამარცხდა, შემდეგ სტუმრად „ტაურაგესთან“ 71:99 დათმო. პირველ მატჩში ვაშაკიძემ 26 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა, 7 პასი და 4 ჩაჭრა ჩაიწერა, მეორეში - 18 წუთში 3-3 ქულა და 4 პასი.

15 ტურის შემდეგ „პუნტუკასი“ 5 მოგებით მე-16 პოზიციაზეა(17 გუნდს შორის). ნოდარ შენგელიას „აკადემიას“ 8 მოგება აქვს და მე-8 საფეხურზეა. „აკადემიკოსებმა“ გასულ უქმეებზე ჯერ „პერლასს“ აჯობეს(93:69), შემდეგ „დელიკატესა“ შეახრამუნეს - 98:72.

„პერლასთან“ შენგელიამ მხოლოდ 4 წუთი ითამაშა და ამ მცირე დროში 2 ქულას 1 მოხსნა მიამატა. „დელიკატესთან“ ნოდარს მწვრთნელი 15 წუთით ენდო და არც შემცდარა - ქართველმა 8 ქულა და 6 მოხსნა გაიფორმა.

მთამსვლელობა

ძველი ახალი ძალა ქართულ ალპინიზმში



ბენო ქაშაკაშვილი და ზურაბ კუჭავა

 პოლიტიკური ბატალიების ფონზე, საქართველოში ყველაზე მშვიდი და უპრობლემო არჩევნები, უკვე გაიმართა. საერთაშორისო ალპინიზმის ასოციაციების კავშირის წევრ ქართულ ორგანიზაციას, საქართველოს მეალდეურობისა და აპლინიზმის ასოციაციას, ახალი პრეზიდენტი, **ზურაბ კუჭავა** ჰყავს.

ახალი პრეზიდენტი ასოციაციის წევრებს და ალპინისტურ საზოგადოებას ყოფილმა ხელმძღვანელმა **ბენო ქაშაკაშვილმა** წარუდგინა. *“ამ თანამდებობას ზურა გაცილებით უკეთ მოერგება ვიდრე მე. ამაში აბსოლიტურად დარწმუნებული ვარ და ზურასთანაც ბევრჯერ მისაუბრია. ეს არის ადამიანი, რომელიც წლებია ახალგაზრდა აპლინისტების აღზრდას ემსახურება. ამას გარდა, მიმაჩნია, რომ ახალი სისხლი, ახალი ძალა გაცილებით მეტს შესძლებს, ვიდრე მე და ჩემი მეგობრები, რომლებმაც საქართველოში ალპინიზმის განვითარებისთვის საკმაო ენერგია და რესურსი დავხარჯეთ”.* - ამ სიტყვებით ბენო ქაშაკაშვილმა, საქართველოს ალპინიზმისა და მეალდეურობის ასოციაციის უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, უფლებამოსილება ახალს გადაულოცა.

ზურაბ კუჭავა 1962 წელს დაიბადა. “ჩემს შესახებ მოსაყოლი ბევრ ვერაფერია: უნივერსიტეტი, მათემატიკა და ალპინიზმი... მორჩა, სულ ეს არის, ვერც ბავშვობაზე გეტყვით განსაკუთრებულს. თუმცა ალბათ, გაინტერესებთ, როგორ მოვხვდი მთაში...” მთა და ალპინიზმი სწორედ ის სფეროა, რომელზეც ზურაბ კუჭავას ყველასთან, დიდთან და პატარასთან, დიპლომიან და უდიპლომოსთან, სპორტსმენთან და გულშემატკივართან შეუძლია საათობით ისაუბროს.

სამა-ს ახალი პრეზიდენტი მთაში პირველად სტუდენტურ ალპინიადაზე, გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხვდა. პირველი მწვერვალი თაყაიშვილია. მის სათვალავში მრავალი საინტერესო მწვერვალი და პირველგავლაა. ზურაბ კუჭავას თაოსნობით 1996 წელს ახალგაზრდა ალპინისტურ სკოლას ჩაეყარა საუფუძველი. იმ დღიდან მოყოლებული სკოლაში ათეულობით ახლგაზრდა ალპინიზმს ეზიარა. ზოგიერთი მათგანი უკვე საერთაშორისო ასპარეზზეა გასული. ისინი, სხვადასხვა ექსედიციებში პამირის, ტიან-შანის, ჰიმალაის და კავკასიონის მწვერვალების დასალაშქრად დადიან. პირველი ქართველი გოგონები, რომლებმაც დალაშქრეს ამადაბლამი და ლენინ პიკი, ამ სკოლის აღზრდილები არიან. რაც შეეხება სკოლას, მის ანგარიშზე უკვე არის საინტერესო პირველგავლებიც...

2003 წლიდან მოყოლებული ზურაბ კუჭავას ინიციატივით და ორგანიზებით საქართველოში იმართება ტრადიციული საერთაშორისო ახალგაზრდული ალპინისტური ბანაკი, რომლებშიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი მონაწილეობს.

ახალი პრეზიდენტის თვალით დანახული ალპინიზმის განვითარების პროგრამა ძირითადად სპორტის ამ სახეობაში ახალგაზრდა თაობის მოზიდვასა და აღზრდას დაეფუძნება. ბუნებრივია, იქნება საერთაშორისო ალპინისტური ბანაკებიც და ქართველი სპორტსმენებიც უფრო ფართოდ იქნებიან წარმოდგენილები საერთაშორისო ასპარეზზე.

თამარ ჯიშკარიანი

ჭადრაკი

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი

მთავარ როლებში იგივენი...

მეცხრე ტურის დასრულების შემდეგ ქართველთაგან ოქროს მაძიებლებს არც შემატებია ვინმე და არც გამოკლებია. ვინც პირველობდა, პოზიცია შეინარჩუნა, ერთმა-ორმა კი თეორიული შანსები არ გაუშვა ხელიდან. მოგეხსენებათ, 16 წლამდელებში **ქეთი ნანალაშვილი** პირველობდა, 14 წლამდელებში კი - **ნაზი პაიკიძე**. ორივემ ყაიმით ითამაშა გუშინ და ცხრილის სათავეში დარჩა, თუმცა პაიკიძეს ერთი მოცილე ამოუდგა გვერდში, ნანალაშვილს კი ასეთი ორი ჰყავს. ცხადია, ფინიშის სწორზე დიდი როლი ენიჭება ფსიქოლოგიურ მომზადებას - ძალიან რთულია ამ ასაკის ბავშვისთვის, გაუძლო ზენოლას და აიძულო თავი, მხოლოდ თამაშზე იფიქრო და არა ამ თამაშის წარმატებით დასრულების შემდეგ მოსალოდნელ სიხარულზე და მისგან გამოწვეულ ეიფორიაზე; მარცხის შემთხვევაში იგივე გრძნობები იბადება, განსხვავებით იმისა, რომ შესაძლოა ყველაფერი დაკარგო და ამდენი ხნის ნაშრომინყალში ჩაყარო. არც ფიზიკური მზაობაა მეორეხარისხოვანი - თერთმეტი ტურის ერთ დონეზე თამაში ხუმრობა სულაც არ გახლავთ და წარმატების ფორმულაში ფიზიკურ გამძლეობა-სერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს.

პაიკიძეც და ნანალაშვილიც ჯერჯერობით აუდიან ამ სირთულეებს და იმედია, ბოლომდე გაძლებენ.

ჩემპიონობის შანსი აქვს **ლევან ბრეგაძესაც**, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა, მესამე ადგილზეა და ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერს. ასეთივე პერსპექტივა თეორიულად შერჩა 12 წლამდელებში მოთამაშე **ირაკლი ბერაძეს** - მეცხრე ტურში გამარჯვებით მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა და ერთი ქულაღა აშორებს პირველ ადგილს. დანარჩენ ასაკებში ალბათ მხოლოდ საპრიზოებს თუ შეეწვდებით, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი დარჩენილ 2 ტურში წარმატებულად ვიასპარეზებთ. ამის შესაძლებლობა ნამდვილად არის...

მიუხედავად იმისა, რომ 16 წლამდელებში **ქეთი ნანალაშვილი** ლიდერობს, სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ასაკში შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა **სოფიკო გურამიშვილმა** ტიტული დაკარგა. სოფოს აშკარად არ მისდის თამაში - მასზე კლასით და რეიტინგით შესამჩნევად დაბალ მეტოქეებთან ვერ გაიმარჯვა. მიზეზზე ვერ მოგახსენებთ, შესაძლოა, ხელის შემშლელი ობიექტური მიზეზები არსებობდეს... ჯერ არ დაუკარგავს ტიტულის დაცვის შესაძლებლობა **მარიამ დანელიას**, რომელიც 14 წლამდელებში 6.5 ქულით მეექვსე ადგილზეა. თუმცა შეგახსენებთ, რომ მარიამმა შარშან ტიტული 12 წლამდელებში მოიპოვა და ორი წლით უფროსებთან ჭიდილში ჩემპიონობა ბევრად რთულია. ის ფაქტი, რომ დანელია ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებს, ბევრის მთქმელია

ქეთი ნანალაშვილი

მეათე ტური ბოლოსწინა და ახლა მართებთ ჩვენებურებს გაათკეცებული ყურადღება.

ბოლოს კი მცირე სტატისტიკური მონაცემით დავასრულებთ მიმოხილვას: მეცხრე ტურში არც ერთი ქართუდი დერბი არ შემდგარა; ჩვენებურებმა 16 პარტიაში იმარჯვეს, 9-ში დამარცხდნენ, ხოლო ცხრაში ყაიმი დაფიქსირდა. ეს საერთო მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ჩემპიონატში.

ზვიად შათირიშვილი

ძიუდო

სეზონის მონაგარი

ყველაზე მაღლა, ზენიტში

საქართველოს ნაკრები 2007 წლის ევროპის ჩემპიონი

ძიუდოსტმათვის წლევანდელი სეზონი გამორჩეულად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან სწორედ წლეულს ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ესეც წინამორბედზე განსხვავებული და უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ – იქ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდებოდა. ძიუდოში მსოფლიო პირველობა ისედაც ორ წელიწადში ერთხელ იმართება, მაგრამ ახლა ამას საგზურების ფაქტორიც დაემატა და ტურნირიც მეტად დაფასდა. მსოფლიო ჩემპიონატის გარდა, ჩვენებმა წლეულს ევროპის პირველობებზეც იჭიდავეს – პირადშიც და გუნდურშიც და ორივეგან –უდიდესი წარმატებით. ჩვენმა ფალავნებმა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე 8 მედალი მოიპოვეს. აქედან 2 ოქროა, 4 – ვერცხლი და 2 – ბრინჯაო. ამ 8 მედლიდან 5 ევროპირველობის მონაგარია – 1 ოქრო, 3 – ვერცხლი და 1- ბრინჯაო. დანარჩენი 3 ბრაზილიაში – მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვეს და იმათგან სამივე სხვადასხვა ხარისხისაა. მოგვიანებით გუნდმა ევროპის გუნდური პირველობაც მოიგო, მაგრამ სეზონის უმთავრეს დამსახურებად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება მიგვაჩნია - 18-წლიანი ლოდინის შემდეგ, ეს **ირაკლი ცირეკიძემ** (90) გააკეთა. საჭიდაო ქვეყნად წოდებული საქართველოსთვის ის მეოთხე მსოფლიო ჩემპიონია. ქართველთაგან პირველად ეს ტიტული **თემურ ხუბულურმა** მოიპოვა. თანაც - ორჯერ, ბოლო საჩემპიონო გაელვება კი სწორედ 18 წლის წინ, 1989 წელს ბელგრადში იყო, როცა მაშინდელი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ორმა ქართველმა გაიმარჯვა - **ამირან ტოტიკაშვილმა** და **კობა კურტანიძემ**.

ევროპის პირველობას 6-8 აპრილს სერბეთის დედაქალაქმა ბელგრადმა უმასპინძლა. ეს ტურნირი ჩვენებისთვის არა უბრალოდ წარმატებული, არამედ ტრიუმფული გამოდგა – 7 ფალავანიდან უკლებლივ ყველა შვიდეულში შევიდა, ხუთმა კი მედალი მოიპოვა. დაგვეთანხმებით, ასეთ შედეგს ნებისმიერი გუნდი ინატრებდა. მით უფრო, ოქროს მედალი ისევ მოვიპოვეთ - ზედიზედ მეორედ, კონტინენტის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** (66) გახდა. სამწუხაროდ, ჩვენებურთაგან კედელაშვილი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ფინალური ორთაბრძოლა მოიგო. არადა, მის გარდა, ფინალში კიდევ სამმა ფალავანმა იჭიდავა - **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (+120), მაგრამ სამივე დამარცხდა. ბრინჯაოს მედალი კარიერაში მეხუთედ **ნესტორ ხერგიანმა** (60) მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონატზეც მედლები იგივე ფალავნებმა მოიპოვეს - ჩემპიონი ცირეკიძე გახდა, ხერგიანმა ვერცხლი ირგუნა, გუჯეჯიანი კი ზედიზედ მეორედ დაეუფლა მსოფლიოს ბრინჯაოს.

ჩვენებმა მსოფლიო პირველობაზე ლიცენზიებისთვის ბრძოლაში კიდევ უფრო იყოჩაღეს - 5 საგზური მოიპოვეს, რაც საუკეთესო მაჩვენებელი აღმოჩნდა. ტურნირის მასპინძელმა ბრაზილიელებმა, რომლებმაც 3 ოქრო და 1 ბრინჯაო მოიპოვეს, 4 ლიცენზიას დასჯერდნენ, ძიუდოს ფუძემდებელმა იაპონელებმა - მხოლოდ 3! ზემოდასახელებულ მედალოსანთა ტროიოს გარდა, ლიცენზიები მეხუთეზე გასულებმა - **დავით ქევხიშვილმა** (73) და **ლომერ ყორჟოლიანმაც** (100) მოიპოვეს. ახლა საგზური მხოლოდ ორ წონაშია საძიებელი. ამათგან 66-ში კედელაშვილის პოზიცია იმდენად მყარია, ლიცენზიას ვერაფერი დააკარგვინებს - მან ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებით საგრძნობი ფორა მიიღო, მაგრამ მოგვიანებით სარეიტინგო ქულათა მარაგი სალიცენზიო მსოფლიო თასებზე გამოსვლით კიდევ უფრო გააუმჯობესა. ბევრად რთულადაა საქმე 81-ში, სადაც სალიცენზიო ზონაში ჯერ ისევ ვრჩებით, მაგრამ აქ **გიორგი ბაინდურაშვილსაც** და **გრიგოლ შინჯიკაშვილსაც** უმძიმესი ბრძოლები ელოდებათ. თუმცა ნაკრებმა დასახული ამოცანა წარმატებით გადაჭრა - ლიცენზიების უმეტესობა წლეულსვე მოიპოვა, რაც გაისად საგანგებო გრაფიკით ანუ ბევრად ხელსაყრელ პირობებში მომზადების საშუალებას მისცემს.

ბრაზილიიდან დაბრუნებულმა ნაკრებმა ოქტომბერში კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა - მინსკში ევროპის გუნდურ პირველობაზე გაიმარჯვა. ჩვენებმა ჯერ პოლონელებს აჯობეს, მერე - რუსებს, ფინალში კი ფრანგებს აჯობეს და მესამედ გახდნენ ევროპის ჩემპიონები. ამ ტიტულს ისინი 2002-2003 წლებში ფლობდნენ, შარშან კი მესამეზე გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონიცაა და შეიძლება ითქვას, ყოველმხრივ ზენიტშია.

რაც შეეხება მსოფლიო თასებს თუ საერთაშორისო ტურნირებს, ნაკრებმა ამ რანგის ტურნირებშიც ბლომად იასპარეზა და ჯამში 37 მედალი მოიპოვა. აქედან 8 ოქროა, 5 - ვერცხლი, დანარჩენი - ბრინჯაო. ამ მონაგარს საბერძნეთში, აკროპოლის თასზე მოპოვებული 4 ჯილდო - 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაოც უნდა დავუმატოთ, ასევე, იტალიაში, ნაკრებებს შორის მოპოვებული ბრინჯაოც უნდა.

საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული მედლებიდან ყველაზე მეტი - 13 თბილისის მსოფლიო თასზე მოდის. მოგეხსენებათ, მასპინძლის სტატუსით, იქ წონაში 4-4 მონაწილით გავდივართ. ამდენად, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ფალავანი შინაურ სარბიელზე გაგვყავს და ყველაზე უკეთესი შედეგიც ამითაა განპირობებული. ამ 13 მედლიდან 4 ოქროა, 3 - ვერცხლი და 6 ბრინჯაო.

ეროვნულ ნაკრებზე საუბარი იმით დავასრულოთ, რომ სულ მალე - 1 დეკემბერს ჩვენები პოლონეთში ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატში იჭიდავებენ და, იმედია, წარმატებითაც.

უფროსებისაარ იყოს, საერთაშორისო ტატამზე დიდი წარმატებით იჭიდავეს ქართველმა ახალგაზრდებმაც. წლეულს მათთან მსოფლიო ჩემპიონატი არ ტარდებოდა, ევროპაზე კი 1 ოქრო და 2 ვერცხლი მოიპოვეს. ჩემპიონი **ვარლამ ლიპარტელიანი** (90) გახდა, **ზვიად ბაზანდარაშვილი** (73) და **ლევან მუქერია** (+100) მეორეზე გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეორეზე გავიდნენ, თუმცა მსაჯებს ბაზანდარაშვილის ფინალური შეხვედრა რუს მიხაილ მაჩინთან მიკერძოებით რომ არ განესაჯათ, პირადშიც უკეთესი შედეგი გვექნებოდა და გუნდურსაც მოიგებდნენ. წლეულს ახალგაზრდებმა საერთაშორისო ტურნირში მხოლოდ ერთხელ იჭიდავეს, ისიც ევროპის პირველობამდე, ჩეხურ ჟიცინში და უნიკალური შედეგიც მოიპოვეს - შვიდივე სპორტსმენმა მედალი მოიპოვა!

წლეულს ქაბუკებსაც მხოლოდ ევროპის პირველობა ჩაუტარდათ და იქ ჩვენებმა 5 მედალი მოიპოვეს - თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ჩემპიონი **ზებედა რეხვიაშვილი** (66) გახდა, **ზვიად კაპანაძე** (60) მეორეზე გავიდა, **ოთარ კაიდარაშვილი** (50), **გიორგი მერმანიშვილი** (73) და **ვაჟა დაბრუნდაშვილი** (+90) - მესამეზე. უცნაურია, მაგრამ რეხვიაშვილმა, კაპანაძემ, კაიდარაშვილმა და მერმანიშვილმა ევროპის ქაბუკთა ოლიმპიურ ფესტივალზეც ზუსტად იგივე სინჯის მედლები მოიპოვეს. წლეულს ამათაც მხოლოდ ერთ საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს - პოლონეთში, საიდანაც 1 ოქრო და 2 ბრინჯაო მოიპოვეს.

ჩვენმა გუნდმა 13-17 აგვისტოს წარმატებით იასპარეზა ტაილანდში, მსოფლიო უნივერსიადაზე - თითო ოქრო და ბრინჯაო. იქ ჩემპიონი **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81) გახდა, **ადამ ოქრუაშვილი** (+100) კი მესამე იყო.

ბუნებრივია, ამ წერილში საუბარი ძირითადად ვაჟთა ნაკრებზე გვინევს, რადგან ქალებს რაიმე წარმატებისთვის არც მიუღწევიათ. მათ არათუ შედეგი, უბრალოდ, თითო-ოროლა შეხვედრის მოგებაც კი სანატრელი გაუხდათ, თუმცა ერთი ბრინჯაო აქაც გამოერია, რომელიც **დუსკა ქერიმოვამ** იტალიაში, ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა. ახლა ქალთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, სახელოვანი ფალავანი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი **გიორგი თენაძე**.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

მანანა შაფაქიძე

შაფაქიძე ესპანეთში განთესეს

ესპანეთის ქალაქ კასტელონში მიმდინარეობს ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი საპრიზო ფონდით 10 ათასი დოლარი. შეჯიბრების ძირითად ბადეში გაღწევას ცდილობდა 17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი**, თუმცა მან ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ესპანელ **ლუსია სერვერა-ვასკესთან** დათმო - 6:7, 5:7. ძირითად ბადეში ორი ჩვენებურია: მერვე ნომრად განთესილი **მანანა შაფაქიძე** (623) და **სოფიო ქვაცაბაია** (697). კენჭისყრის მიხედვით მანანა შაფაქიძე „უაილდ ქარდით" მიწვეულ ესპანელ **ლაურა მირადევილიას** შეხვდება, მანანას მეტოქე 16 წლისაა. სოფიო ქავცაბაიას მეტოქე ფრანგი **ოლივია კრუშე** (806) იქნება. შეგახსენებთ, რომ შაფაქიძეც და ქვაცაბაიაც დღეისათვის კარიერაში ყველაზე მაღლა არიან რეიტინგ-ლისტში. წყვილთა თანრიგში სამივე ქართველი ძირითად ბადეშია, სხვადასხვა ჩოგბურთელებთან წყვილში. შაფაქიძე რუს **ვასილისა დავიდოვასთან** ერთად პირველ ნომრად არის განთესილი და პირველი წრისგან თავისუფალია. მათთან შეხვედრა ქვაცაბაიას და ჩეხი **ვერონიკა კოლაროვას** დუეტს მოუწევს, თუკი პირველ რაუნდს წარმატებით გაივლის. მაგდა ოქრუაშვილი უკრაინელ **ელენა ჟირნოვასთან** წყვილში ითამაშებს.

წიგნის თარო

სახელმძღვანელო სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები

(მეხუთე ნაწილი)

სპორტის თეორია

დამხმარე სახელმძღვანელო ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის სტუდენტებისთვის. მწვრთნელებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის

თბილისი
2007

გამომცემლობა „ცოდნამ", საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გამოსცა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის არსებობის დროს მისი თანამრომლების მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლების მესამე ნაწილი - „სპორტის თეორია". წიგნის რედაქტორია პროფესორი **გიული კახიძე**. ავტორები - პროფესორები: **გიგი კახიძე, მამია ტულუში, ოთარ ვახანია** და **შოთა ბუაძე**. რეცენზენტები: პროფესორი **ჯემალ ძაგანია** და ასოცირებული პროფესორი **გივი ხაჩიძე**.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, მწვრთნელებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის. იგი შეიძლება სამაგიდო გამოცემად იქცეს სპორტში მოუმშავე მწვრთნელებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისთვის. წიგნიყველასთვის მისანვდომად განხილულია ის ძირითადი საკითხები, რომელთა ცოდნა აუცილებელია სპორტში მომუშავე მწვრთნელ-პრაქტიკოსებისთვის. ამდენად, მისი გამოცემით ხსენებულმა კათედრამ საქმიანი ნაბიჯი გადადგა სპორტში მომუშავე მწვრთნელთა დასახმარებლადაც. ხშირად სახელმძღვანელოების მომზადებისას, მისი შეზღუდული ფორმატის გამო, ავტორები იძუებულნი ხდებიან საკითხები ვიწრო პლანში განიხილონ. როგორც ჩანს, აღნიშნულ ფაქტრებს ამ სახელმძღვანელოს ავტორებმაც ვერ აუარეს გვერდი და იძულებული იყვნენ არა მარტო შემცირებული ფორმით გამოეცათ, არამედ გვერდი აევლოთ სახელმძღვანელოში რიგი ისეთი საკითხების შეტანაზე, რომლებიც, ასევე მნიშვნელოვანია მწვრთნელის მოღვაწეობაში.

მიუხედავად ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ავტორებმა, მეტად დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთეს. სპორტის თეორიაში ეს სახელმძღვანელო სასიკეთოდ წაადგება არა მარტო სტუდენტობას, არამედ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს.

გურამ რატიშვილი,
პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

რეგბი

LOYALCAPITAL group

ჭვარიტი QUARTZITE

BTA Silk Road Bank

მსოფლიოს თასი 2011

პარასკევს გადაწყდება: 20 თუ 16?

IRB RUGBY WORLD CUP 2011 NEW ZEALAND

IRB პარასკევს საჯაროდ გამოაცხადებს, თუ რამდენი ნაკრები მიიღებს მონაწილეობას ახალი ზელანდიის მსოფლიო თასზე 2011 წელს, 20 თუ 16. ამაზე დიდადაა დამოკიდებული ქართული რაგბის ბედი, მსოფლიო თასზე ოთხით ნაკლები კვოტის დაწესების შემთხვევაში „ბორჯღალოსნებს" ფინალურ ეტაპზე გასვლა ,ევრად უფრო გაურთულდებათ.

IRB-ის ფორუმი გუშინ დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდება, ფორუმს ლონდონი მასპინძლობს. წლევანდელ მსოფლიო თასამდე თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასზე მონაწილე გუნდთა რაოდენობას შეამცირებდნენ, თუმცა საფრანგეთში აუტსაიდერებად მიჩნეულმა ნაკრებებმა, და მათ შორის საქართველომ, იმდენად კარგად ითამაშეს, რომ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ახლა ჩვენი და სხვა მრავალი ქვეყნის სარაგბო გუნდის და მთლიანად რაგბის შემდგომი განვითარების ბედი საბჭოს წევრი 22 კაცის ხელშია. სამდღიან ფორუმზე ამ საკითხის გარდა განიხილავენ, ერთიანი გლობალური სეზონის შემუშავების იდეას, არგენტინის და მისი დარი ქვეყნების საერთაშორისო მომავალს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გაისად მეორე ნაკრები გვეყოლება

საქართველოს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით მომავალი წლიდან საქართველოს A, ანუ მეორე ნაკრები შეიქმნება. ამ გუნდს სათავეში საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტების მთავარი მწვრთნელები, **ლევან მაისაშვილი** და **ნიკო ჭავჭავაძე** ჩაუდგებიან. ეს მწვრთნელები განვრთნიან ასევე საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრებს, რომელსაც გაისად მსოფლიო ჩემპიონატის B ჯგუფში მოუწევს ასპარეზობა.

თვრამეტწლამდელთა გაწვრთნა რაგბის კავშირმა „აკადემიის" ტრიოს - **პაატა ნარიმანაშვილს, დიმიტრი ობოლაძეს** და **ზურაბ ამონაშვილს** მიანდო. ჩვიდმეტწლამდელების თავკაცები **ბადრი ბოხუა** (უნივერსიტეტი), **სპირიდონ ლიპარტელიანი** (ყოჩები) და **ირაკლი სულთანიშვილი** (აკადემია) იქნებიან.

ამასთან, ლევან მაისაშვილს, ნიკო ჭავჭავაძეს და დიმა ობოლაძეს რაგბის კავშირი 1 დეკემბრიდან ფრანგულ კლუბ „აჟენში" მიავლენს ხუთკვირიან სტაჟირებაზე **ანრი ბრონკანთან**.

ფინალი: ყოჩები-ლელო. მოლის ცენტრში ნიკო ჭავჭავაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ ნიკო ჭავჭავაძესთან

ჩვენ ერთი ოჯახი ვართ

თბილისის „ყოჩები" საქართველოში უძველესი და მდიდარი ტრადიციების გუნდია. წლეულს ამ გუნდმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა. მეტიც, დუბლი გაახერხა და ჩემპიონობას საქართველოს თასიც მიაყოლა. „ყოჩების" ეს წარმატება მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ გუნდს ახალი თაობის მწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე თავკაცობს. ფინალური მატჩისა და კლუბის მომავლის შესახებ სწორედ მასთან ვისაუბრეთ.

- ფინალში ერთმანეთის პირისპირ ორი ღირსეული გუნდი იდგა. ორივემ თავდაუზოგავი ბრძოლით მიაღწია ფინალამდე. კარგად ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ „ლელოს". გუნდი ძირითადად ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. ისინი დიდი ხანია, ბავშვობიდან ერთად მოდიან და ეს ერთობა მუდმივად იგრძნობა თამაშისას.

„ყოჩებში" მათგან განსხვავებით გამოცდილი მოთამაშეებიც არაინ. მაგალითად კახა კობახიძე, გიორგი და დავით კაჭარავები და საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების რამდენიმე მოთამაშე. როგორც ველოდი, თამაში საინტერესო, დინამიური გამოვიდა. ვფიქრობ სწორედ აქეთ უნდა წავიდეს ქართული რაგბის გაბვითარება. თამაშში რაც შეიძლება მეტი დინამიურობა უნდა შევიტანოთ.

- მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე სხვაობა ერთი ქულა იყო. გამარჯვების მიღწევა ორივ ეგუნდს თანაბრად შეეძლო. მაინც რის ხარჯზე მოიპოვეთ გადამწყვეტი უპირატესობა?

- მიმაჩნია, რომ ჩვენი გამარჯვება უფრო ლოგიკურია. სხვაობა ანგარიშში მინიმალური იმიტომ იყო, რომ ჩვენმა დამრტყმელმა ლაშა მალაღურაძემ ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა ვერ გაიტანა. ეს კი ჯამში 14 ქულაა. არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ თამაშში ნათლად ჩანდა, რომ უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. ვფიქრობ „ყოჩებმა" გამარჯვება ღირსეულად მოიპოვეს.

-ზემოთ „ყოჩების" რამდენიმე გამოცდილი მორაგბე ახსენეთ, თუმცა, არაფერი გითქვამთ საკუთარ თავზე. უკვე მერამდენეთ მატჩის მინურულს ერთვებით თამაშში და ხშირად გარდატეხა შეგაქვთ. ფინალში სულაც გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანეთ...

- ამის შესახებ ხშირად მეკითხებიან. მეუბნებიან, რატომ თავიდანვე არ თამაშობო. ჩემთვის ძნელია ისეთ ფორმაში ვიყო, რომ თამაშში თავიდან ბოლომდე გავძლო. მატჩის ბოლოს კი იმ შემთხვევაში გამოვდივარ, თუ გუნდს უჭირს და დახმარება სჭირდება. სხვა შემთხვევაში ამას არ ვაკეთებ. თუმცა ეს ტრადიციად იქცა და როგორც გამოჩდა, ამ ტრადიციამ გაამართლა.

- „ყოჩები" საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი, ჯიგრიანი გუნდია, რომელსაც ხშირად წაგებული თამაშები შემოუბრუნებია თავისი შეუპოვრობით. საიდან აქვს გუნდს ტრადიციულად ასეთი ხასიათი, რას ეუბნებით მათ ისეთს თამაშის წინ?

- ამის მიზეზი ჩვენი კლუბის უძველესი ისტორიაა, დიდი ტრადიციები. მორაგბეებთან ლაპარაკს სწორედ ამით ვიწყებთ. ყველანი, ვისაც ჩვენს კლუბში უთამაშია, დღემდე ერთად ვართ, ერთმანეთს ვეხმარებით. გუნდის მომზადებაში კლუბის ყველა მწვრთნელი თანაბრადაა ჩართული. ყოფილი უკანახაზელები შესაბამისი ფუნქციის მორაგბეების განვრთნაში გვეხმარებიან, ძველი მორკინალები კი შერკინებას ავარჯიშებენ. მერე კი გადაწყვეტილებას, ვინ ითამაშოს და ვინ არა, მე ვიღებ.

- რა ცვლილებებია მოსალოდნელი სამომავლოდ „ყოჩებში"?

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. დღეის მდგომარეობით კლუბიდან წასვლას არავინ გეგმავს, შევსებას კი ჩვენივე კლუბის აღსაზრდელებისგან ველით. განზრახული გვაქვს ხუთი ახალგაზრდა მორაგბე დავიმატოთ. ჯერჯერობით სავარჯიშო მოედნის პრობლემა მოუგვარებელია. ვნახოთ, როგორი იქნება მომავალი წლის ბიუჯეტი და ამის მიხედვით შევეცდებით ამ ყველასათვის აქტუალური პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვას.

თუმცა, გარწმუნებთ, რომ „ყოჩები" გაისადაც ერთერთი ყველაზე მოტივირებული გუნდი იქნება და ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს.

ბესიკ ჯანგავაძე

ხელბურთი

ეროვნული ნაკრები

მზადება თბილისში იწყება

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები დღეს, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, მოსამზადებელ ეტაპს იწყებს.

თავდაპირველად, მოემზადება 23-კაციანი გუნდი, რომელშიც საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები ირიცხებიან. ერთ კვირაში კი გუნდი ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებად დაიყოფა.

როგორც იცით, ორივე ნაკრები გუნდი დეკემბრის მეორე ნახევარში თურქეთში მიემგზავრება, სადაც საკონტროლო მატჩებს გამართავთს. 20 იანვარს ქართული ხელბურთის უპირველეს გუნდს „ჩელენჯ ტროფის" ფინალი ელის ნორვეგიაში, ლუქსემბურგის წინააღმდეგ.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ **ირაკლი კეკელიძემ** უარი თქვა ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნაზე და ამ გუნდის ახალი თავკაცი რამდენიმე დღეში დაინიშნება. როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელობის კანდიდატი **გარი თურქიაა.**

ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა **იმედო ფხაკაძემ** საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე შემდეგი ხელბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: **შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე, გაგა სამყურაშვილი** (სამივე სტუ-თელავი), **კორნელი ანდრიაძე, ალექსანდრე გონჩაროვი** (ორივე თბილისი)

მოედნის მოთამაშეები: **გიორგი ქობელაშვილი, ამირან ყიფიანი, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, მამია კობახიძე, დავით ნიკოლაიშვილი, ირაკლი სხიერელი, ირაკლი ჩიქოვანი, ზურაბ მელქოშვილი, დავით საჯაია** (სტუ-თელავი), **გიორგი წივწივაძე, ირაკლი ქირია, დავით ფორაქიშვილი, ტიტე კალანდაძე, ირაკლი ღაღანიძე, ვანო ქარდავა, უჩა მაისურაძე და ავთანდილ ულენტი** (თბილისი).

როგორც მოსალოდნელი იყო, არავინ გამოუძახებიათ საქართველოს ჩემპიონატის კიდევ ორი კლუბიდან - „მამულიდან" და „ქუთაისიდან", რადგან ჩემპიონატის საუკეთესო ხელბურთელები სტუ-"თელავსა" და „თბილისში" ირიცხებიან. ისე, მართალია მეკარეების მხრივ ყველაზე ნაკლებად გვაქვს პრობლემა, მაგრამ გაფართოებულ შემადგენლობაში, შეიძლებოდა „მამულის" გოლკიპერ **ალექსანდრე ხონელიძის** გამოძახებაც. ჯერ ერთი, რომ ხონელიძე ეროვნულ ჩემპიონატში საკმაოდ სტაბილურად და დამაჯერებლად ირჯება და ამას გარდა, მაჩანჩალა კლუბის ნევრებისთვის ერთგვარი სტიმული იქნებოდა, რომ თუკი თავს გამოიჩენენ, აუტსაიდერიდანაც შეიძლება ნაკრებში მოხვედრა.

ერთი კვირის შემდეგ, როდესაც გაფართოებული შემადგენლობა ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებად დაიყოფა, არ არის გამორიცხული, რომ გუნდს დაემატოს რამდენიმე ახალი ხელბურთელი. იქამდე კი 23 ხელბურთელი სტუ-ს დარბაზში, დღეში ერთხელ ივარჯიშებს.

რაც შეეხება ლეგიონერებს, მათთან მოლაპარაკება ორიოდე დღეში დასრულდება და ამის შემდეგ გადაწყდება, ჩამოვა თუ არა ყველა ლეგიონერი თურქეთთან სათამაშოდ.ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის გარკვეული, **რომ სერგო დათუკაშვილი** ვერ ჩამოდის, რადგან 29 დეკემბერს მის კლუბს თამაში აქვს.

კობა ხატისაშვილი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲔᲠᲡᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 2:3 (OT)

0:0, 1:1, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 პარკი-3 (მარტინეკი-4), 1:1 მოდანო-7 (ჰაგმანი-4, ი. იოკინენი-6), 1:2 ჰალპერნი-5 (ზუბოვი-18, ბარნსი-7), 2:2 შატანი-6 (მ-ა. ბერჟერონი-5, ბერარი-3), 2:3 მოდანო-8 (რობიდასი-5, ზუბოვი-19).

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 3:6

0:2, 2:3, 1:1

გოლები: 0:1 გ. მიურეი-5 (სავარი-20), 0:2 სავარი-5 (ხარა-11), 0:3 მიურეი-6 (სავარი-21), 0:4 მეტროპოლიტი-5 (კობესიუ-4), 1:4 ნუბლი-7 (ლუპული-11, მ. რიჩარდსი-14), 2:4 მ. რიჩარდსი-14 (ბრიერი-17, რ. ჯონსი-8), 2:5 შეფერი-4 (ალბერტსი-2, ბოჩენსკი-3), 3:5 აპშოლი-5 (ჯ. კარტერი-5, კუკონენი-4), 3:6 კობესიუ-10 (სავარი-22, ხარა-12).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ 1:3

0:1, 1:2, 0:0

გოლები: 0:1 ჰეხტი-7 (ბ. კემპბელი-14, შპაჩეკი-6), 1:1 ოვეჩკინი-17 (ემინგერი-1), 1:2 ჰეხტი-8 (პეი-6), 1:3 პომინვილი-6 (ჰეხტი-6).

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲣᲡᲘ 3:1

1:1, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 ბროძიაკი-4 (სანდერსონი-6, გრებეშკოვი-3), 1:1 ჰეინსი-3 (პეკა-8, ვიბორნი-8), 2:1 კოლიანო-5 (რ. ნილსონი-4, პენერი-8), 3:1 ჰემსკი-8.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

გასული კვირის პირველი ვარსკვლავის სტატუსი კვლავ ფორვარდის საკუთრება გახდა. ამჯერად ეს პატივი „ფილადელფია ფლაიერზის“ ცენტრალურ თავდამსხმელ **დანიელ ბრიერს** ერგო.

„მფრინავთა“ რიგებში „ბაფალოდან“ გადასულმა ფორვარდმა სამ მატჩში 8 ქულა მოაგროვა და გასული 7 დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ბრიერის ანგარიშზე ხუთი გოლი იყო, აქედან ორი შაიბა გამარჯვებისა გახლდათ.

მეორე და მესამე ვარსკვლავებად კი, მეკარეები აღიარეს. თავდაპირველად გამოყვეს „ფინიქსის“ ახალწვეული **ილია ბრიზგალოვი,** რომელმაც **უეინ გრეტცკის** გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა. რუსი გოლკიპერი საშუალოდ 1.62 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.8 პროცენტს იგერიებდა.

ასევე სამი მატჩი მოიგო გასულ კვირას „დალას სტარზის“ მეკარემ მაიკ სმიტმა. მისი სტატისტიკური მაჩვენებლები ბუნებრივია საშუალოზე უფრო მაღალი აღმოჩნდა. ის 2.00 გოლს ანაგებს და მოგერიების 96.3 პროცენტს შეადგენდა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

	თ	მ	ნ	ᲛᲬ	ქ
1. ოტავა*	22	16	5	1	33
2. კაროლინა*	24	13	8	3	29
3. ფილადელფია*	23	13	8	2	28
4. რეინჯერსი	24	13	9	2	28
5. მონრეალი	23	12	8	3	27
6. ბოსტონი	22	12	8	2	26
7. აილენდერსი	21	12	8	1	25
8. ნიუ ჯერსი	23	11	10	2	24
9. ბაფალო	22	11	10	1	23
10. ფლორიდა	24	11	12	1	23
11. ატლანტა	23	11	12	0	22
12. ტამპა ბეი	23	10	11	2	22
13. პიტსბურგი	23	10	11	2	22
14. ტორონტო	24	8	11	5	21
15. ვაშინგტონი	24	8	15	1	17

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

	თ	მ	ნ	ᲛᲬ	ქ
1. დეტროიტი*	23	15	6	2	32
2. დალასი*	24	13	7	4	30
3. ვანკუვერი*	23	12	9	2	26
4. სტ. ლუისი	21	13	8	0	26
5. მინესოტა	23	12	9	2	26
6. ჩიკაგო	23	12	9	2	26
7. კოლაბუსი	24	11	9	4	26
8. ანაჰაიმი	24	11	9	4	26
9. კოლორადო	22	12	9	1	25
10. სან ხოსე	22	11	8	3	25
11. ნეშვილი	22	11	9	2	24
12. კალგარი	24	10	11	3	23
13. ფინიქსი	21	11	10	0	22
14. ედმონტონი	24	10	13	1	21
15. ლოს ანჯელესი	23	9	13	1	19

* - დივიზიონის ლიდერი

ᲒᲝᲚᲘ+ᲞᲐᲡᲘ

ლეკავალიე (ტ-ბეი)	38 (16+22)
კროსბი (პიტ)	33 (12+21)
კოვალჩუკი (ატლ)	33 (19+14)
ზეტერბერგი (დეტ)	32 (16+16)
ალფრედსონი (ოტა)	30 (16+14)
იგინლა (კალ)	30 (13+17)
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	30 (8+22)

ᲒᲝᲚᲔᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘ

კოვალჩუკი (ატლ)	19
ოვეჩკინი (ვაშ)	17
ზეტერბერგი (დეტ)	16
ლეკავალიე (ტ-ბეი)	16
ალფრედსონი (ოტა)	16
ნეშვი (კოლაბ)	16
ე. სტაალი (კარ)	14
მ. რიჩარდსი (ფილ)	14

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ლეკავალიე (ტ-ბეი)	22
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	22
სავარი (ბოს)	22
კროსბი (პიტ)	21
მალკინი (პიტ)	20
კულენი (კარ)	19
ზუბოვი (დალ)	19



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲠᲝᲡᲑᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲓᲝ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნულმა ლიგამ „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ გამოკითხვის საშუალედო შედეგები გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხმების რაოდენობით საგრძნობლად უსწრებს ყველას პიტსბურგელი ვუნდერკინდი **სიდნი კროსბი**. შედარებისთვის, ამ ფორვარდს წლევანდელ ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორზე, **ილია კოვალჩუკზე** სამნახევარჯერ მეტი ხმა აქვს მიღებული.

ამ ეტაპზე, ფანების გამოკითხვას შემდეგი ჰოკეისტები ლიდერობენ:

აღმოსავლეთი: თავდამსხმელები - **კროსბი** (პიტსბურგი, 94 118 მა), **ალფრედსონი** (ოტავა, 41 198); მცველები - **მარკოვი** (მონრეალი, 48 134), **ხარა** (ბოსტონი, 45 949); მეკარეები - **ლუნდკვისტი** (რეინჯერსი, 30 324), **ბროდერი** (ნიუ ჯერსი, 29 621).

დასავლეთი: თავდამსხმელები - **ზეტერბერგი** (დეტროიტი, 58 074), **იგინლა** (კალგარი, 42 552); მცველები - **ლიდსტრიომი** (დეტროიტი, 80 903), **ფანოფი** (კალგარი, 56 664), მეკარეები - **ლეკლერი** (კოლამბუსი, 37 574).

NHL 90 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნულმა ლიგამ 90-წლიანი იუბილე იზეიმა.

NHL 1917 წელს დაარსდა. ეს ლიგა ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნული ასოციაციის (NHA) მემკვიდრე გახდა და მისი პირველი პრეზიდენტი გახლდათ **ფრენკ კალდერი**. NHL-ის ოფიციალური წარდგენა მონრეალში მოხდა. თავიდან ჩემპიონატში ხუთი გუნდი ასპარეზობდა: „მონრეალ კანადიენსი“, „მონრეალ უონდერერზი“, „ოტავა სენატორზი“, „ტორონტო არენასი“ და „კვებეკ ბულდოგზი“. მაგრამ კვებეკეში მომხდარი ხანძრის გამო, „ბულდოგზმა“ პირველ სეზონში თამაშზე უარი განაცხადა, ხოლო იანვარში, ამავე მიზეზით ჩემპიონატიდან მოიხსნა „უონდერერზი“, ასე რომ, პირველი სეზონი სამმა გუნდმა ჩაამთავრა.

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნულ ლიგაში პირველი ოფიციალური მატჩი 1917 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა.

10 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲝᲕᲔᲩᲙᲘᲜᲡ

ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება „ვაშინგტონ კეპიტალზის“ ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი**. დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობა აქედანვე იწყებს ზრუნვას რუსი ფორვარდის შენარჩუნებაზე.

როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, „კეპიტალზის“ მეპატრონე **ტედ ლეონსისი** ოვეჩკინს მაქსიმალურად შესაძლებელ თანხას სთავაზობს - რუსის წლიური ხელფასი 10. 3 მილიონი დოლარი იქნება.

ცნობისთვის, „პიტსბურგ პინგვინზის“ ლიდერის, **სიდნი კროსბის** ყოველწლიური ანაზღაურება დაახლოებით 9 მილიონ დოლარს შეადგენს.

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ ᲑᲝᲣᲛᲔᲜᲡ ᲣᲮᲛᲝᲑᲡ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ცუდად მიდის ამ სეზონში „ტორონტო მეიპლ ლივზის“ საქმეები. კანადური კლუბი აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა, მე-14 ადგილზე იმყოფება.

სწორედ ამიტომ, „ტორონტოს“ ხელმძღვანელობამ მოლაპარაკებები განაახლა ლგენდარულ მწვრთნელ **სკოტი ბოუმენთან**. ამ უკანასკნელს „მეიპლ ლივზის“ პრეზიდენტის პოსტს სთავაზობენ, გარდა ამისა, ბოუმენმა ᲰᲝᲙᲔᲘᲡ საკითხებში კონსულტანტობაც უნდა შეითავსოს.

შეგახსენებთ, რომ ორი თვის წინ, ბოუმენმა უარი განაცხადა ანალოგიურ შეთავაზებაზე.

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲪᲕᲚᲔᲑᲐ?

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ მოსალოდნელი „პიტსბურგ პინგვინზის“ საწვრთნელ შტაბში. გაზეთ Ottawa Sun-ის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა მთავარი მწვრთნელის, **მიშელ ტერიენის** მუშაობის მეთოდებით. „პინგვინების“ დამრიგებელი წარუმატებელი მატჩების შემდეგ, ხშირად უყვირის და ლანძღავს თავის ᲰᲝᲙᲔᲘᲡტებს. არადა, ბოლო პერიოდში წარუმატებელი მატჩები მომრავლდა - ამ მომენტისთვის, „პიტსბურგი“ მე-13 ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში.

ჭორების მიხედვით, „პიტსბურგის“ გენერალური მენეჯერი **რეი შერო** მზად არის გარისკოს და მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზოს ყოფილ „პინგვინს“ **რენდი კენიუორტს**, რომელიც ამჟამად ამერიკის ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ლიგის (AHL) კლუბ „როჩესტერს“ ავარჯიშებს.

შეგახსენებთ, ამ სეზონში მწვრთნელები გამოიცვალეს „ატლანტამ“ და „ვაშინგტონმა“.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ ᲰᲝᲡᲐᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

„ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ ᲗᲠᲔᲨᲔᲠᲖᲘᲡ“ მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა **დონ უოდელმა** გამოაცხადა, რომ მისი გუნდი სლოვაკი **მარიან ᲰᲝᲡᲐᲡ** შენარჩუნებას აპირებს და კლუბის ერთ-ერთ ბომბარდირთან უკვე დაიწყო ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები. ᲰᲝᲡᲐᲡ მიმდინარე ხელშეკრულებას ამ სეზონის ბოლოს გასდის ვადა.

„მოლაპარაკებების დასრულებაზე ჯერ ნაადრევია საუბარი, მაგრამ გარკვეული პროგრესი მაინც შეიმჩნევა, - ამბობს უოდელი. - ვფიქრობ, ყველაფერი კარგად დასრულდება და მალე ახალი კონტრაქტის გაფორმებას ვამცნობთ საზოგადოებას“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲛᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის **სტიუ ჯექსონის** ინფორმაციით, „დალას მავერიქსის“ მთავარი მწვრთნელი **ეიმერი ჯონსონი** 25 ათასი დოლარით დაჯარიმდა. მწვრთნელის დასჯა „ინდიანასა“ და „დალასის“ მატჩის მეოთხე მეოთხედში მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა.

ჯონსონი მსაჯებმა ზედმეტი აქტიურობის გამო მოედნიდან გააძევეს, მაგრამ „დალასის“ დამრიგებელი არ დაემორჩილა არბიტრებს და შეურაცხყოფაც მიაყენა მათ.

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ ᲑᲘᲜᲣᲛᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „როიტერი“ იტყობინება, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ გადაიფიქრა თავისი ახალგაზრდა ფორვარდის, **ენდრიუ ბინუმის** გაცვლა. ამ სეზონში, 20 წლის კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 10.9 ქულას, 9.9 მოხსნასა და 1.4 დაფარებას აკეთებს.

„ჩვეულებრივ, კოლეჯის კურსდამთავრებულები NBA-ს მეოთხე-მეხუთე სეზონისთვის ეჩვევიან. ჩამოყალიბდება თუ არა ბინუმი 22 წლის ასაკში კარგ კალათბურთელად? ამ საკითხზე ზაფხულში ვიფიქრებთ, მაგრამ მას კარგი შანსი აქვს, საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი დაადასტუროს და შესაბამისად, გუნდში ადგილი შეინარჩუნოს“, - ამბობს „ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი**.

სხვათა შორის, ამ სეზონის წინ, ბინუმი NBA-ის ლეგენდების, **ქარიმ-აბდულ ჯაბარისა** და **დომინიკ უილკინსის** მეთვალყურეობის ქვეშ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

ᲐᲠᲔᲜᲐᲡᲛᲐ ᲣᲘᲖᲐᲠᲓᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

„ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲣᲘᲖᲐᲠᲓᲡᲘᲡ“ ლიდერმა **გილბერტ არენასმა** დაადასტურა, რომ არსად გადასვლას არ აპირებს და თავის ამჟამინდელ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება აქვს განზრახული.

„ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „უიზარდსთან“ ახალ კონტრაქტს გავაფორმებ. იმედი მაქვს, რომ ერთობლივი ძალისხმევით აქ კარგ გუნდს შევქმნით და ოდესღაც, ჩემი მაისური „ვაშინგტონის“ არენის თაღზეც დაიკიდება“, - აცხადებს არენასი.

ᲛᲘᲢᲩᲔᲚᲛᲐ ᲣᲘᲚᲙᲘᲜᲡᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲛ

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ აღმოჩნდა „ჩიკაგო ბულზთან“ გამარჯვება (93:78) „ტორონტო რეპტორზის“ მთავარ მწვრთნელ **სემ მიტჩელისთვის**.

კანადური კლუბის დამრიგებლის როლში, ეს მიტჩელის 114-ე მოგება გახლდათ, რითაც ამ მწვრთნელმა დაამხო ლეგენდარული **ლენი უილკინსის** საკლუბო რეკორდი.

„ჩემი რეკორდი იმას ნიშნავს, რომ კიდევ რამდენიმე წელი არ მემუქრება უმუშევრობა“, - აღნიშნა ახალ რეკორდსმენმა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ-ᲘᲣᲢᲐ 113:109

31:27, 27:25, 31:28, 24:29

ნიუ იორკი: მარბერი (28 ქ. 6 პ), რენდოლფი (25 ქ. 14 მ), კროუფორდი (22 ქ).

იუტა: ბუზერი (30 ქ. 12 მ), დ. უილიამსი (26 ქ. 5 მ. 8 პ), ბრიუერი (13 ქ. 6 მ), მილსეპი (13 ქ. 6 მ).

Გ. ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 94:103

19:29, 18:29, 24:18, 33:27

ნიუ ორლეანი: პოლი (31 ქ. 11 პ), სტოიაკოვიჩი (17 ქ), ჯესონი (14 ქ), უესტი (10 ქ. 14 მ).

მინესოტა: იარიჩი (21 ქ. 6 პ), ტელფეერი (20 ქ. 8 პ), უოკერი (17 ქ. 5 მ), ჯეფერსონი (14 ქ. 5 მ), სმიტი (10ქ).

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 98:110

28:26, 17:21, 27:38, 26:25

დალასი: ნოვიცკი-(31 ქ. 8 მ. 6 პ), ჯოშ ჰოვარდი (17 ქ), ბარეი (15 ქ), პარისი (12 ქ. 7 პ).

ვაშინგტონი: ბატლერი (35 ქ. 8 მ), ჯეიმისონი (27 ქ. + 6 მ), დანიელსი (16 ქ. 6 პ), სტივენსონი (13 ქ).

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ-ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ 74:85

27:17, 15:25, 16:17, 16:26

პორტლენდი: ოლდრიჯი (16 ქ. 5 მ), უებსტერი (13 ქ. 8 მ), აუოლო (12 ქ. 6 მ), როი (12 ქ).

ორლანდო: თურქოგლუ (21 ქ. 5 მ. 5 პ), ლუისი (20 ქ. 6 მ), დ. ჰოვარდი (9 ქ. 14 მ).

ᲡᲐᲥᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ-Ს. ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ 112:99

22:23, 30:25, 34:25, 26:26

საკრამენტო: უდრიხი (27 ქ. 5 პ), არტესტი (20 ქ. 6 მ), მილერი (17 ქ. 10 მ. 7 პ), მური (17 ქ), სალმონსი (12 ქ. 6 მ), მარტინი (10 ქ. 7 მ).

სან ანტონიო: დანკანი (15 ქ. 5 მ), ობერტო (13 ქ. 6 მ), პარკერი (12 ქ. 7 მ. 7 პ), ბოუენი (10 ქ).

Გ. ᲡᲢᲔᲘᲢᲝ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 129:114

45:37, 27:26, 31:29, 26:22

გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (32 ქ. 8 მ), ელისი (31 ქ), დევისი (28 ქ. 6 მ. 10 პ), ჰარინგტონი (14 ქ. 5 მ. 5 პ), აზუბუიკე (11 ქ. 5 მ).

ფინიქსი: ნეში (23 ქ. 13 პ), ა. სტაუდმაიერი (17 ქ. 8 მ), პილი (17 ქ. 5 მ. 5 პ), ბარბოზა (16 ქ), ბელი (14 ქ), მერიონი (10 ქ. 14 მ).

ᲙᲚᲘᲤᲔᲠᲡᲘ-ᲞᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ 71:88

24:21, 15:19, 19:19, 13:29

კლიპერსი: კამანი (22 მ. 13 მ), მაგეტი (21 ქ. 5 მ), ტომასი (15 ქ. 7 მ).

პიუსტონი: მაკგრეიდი (36 ქ. 8 მ. 6 პ), ალსტონი (17 ქ. 5 მ. 9 პ), მინი (14 ქ. 8 მ).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად „ცლივლენდ კავალიერზის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „სან ანტონიო სპურსის“ გამთამაშებელი **ტონი პარკერი** დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის რჩეული **ლებრონ ჯეიმსი** გასულ კვირას ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. 22 წლის ლებრონს სულ ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ საშუალო ორმაგი დუბლი შეესრულებინა - 36.5 ქულას მან 9.5 მოხსნა და 8.5 შედეგიანი პასი დაურთო.

„ინდიანასთან“ მოგებულ მატჩში, ჯეიმსმა ამ სეზონში მეოთხე ტრიპლ-დაბლი შეასრულა (30 ქულა, 11 მოხსნა და 10 პასი). იმის გათვალისწინებით, რომ კალათბურთელმა წინა მატჩშიც სამმაგი დუბლი მიითვალა, 2004 წლის შემდეგ ის გახდა პირველი მოთამაშე, რომელმაც ზედიზედ ორ მატჩში შეძლო ტრიპლ-დაბლის შესრულება. ბოლოს მსგავსი მიღწევა **ᲑᲝᲑ ᲡᲣᲠᲐᲡ** ჰქონდა.

გასულ კვირას, ჯეიმსმა იმითაც გამოიჩინა თავი, რომ „კლივლენდის“ ოთხივე შეხვედრაში 30-ზე მეტი ქულა დააგროვა, „მინესოტას“ კი, 45 ქულა ჩაუგდო.

რაც შეეხება ტონი პარკერს, მან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ „სან ანტონიომ“ ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. 25 წლის ფრანგი მცველის ანგარიშზეა 26.5 ქულა, 8.3 პასი და 3.0 მოხსნა.



ტონი პაკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი

ტორპი რეპუტაციის აღდგენას ეცდება

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სახელოვანი ასტრალიელი მოცურავე **იან ტორპი** წუხილით აღნიშნავს, რომ ვერასოდეს აღიდგენს დოპინგსკანდალით შელახულ რეპუტაციას, მაგრამ იმას მაინც ეცდება, რომ ამ სკანდალის მთავარ ინსპირატორს პასუხი კანონით აგებინოს.

შეგახსენებთ, რომ ეს სკანდალი გამოიწვია ფრანგულ გაზეთ "ეკიპში" გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ, რომელშიც ტორპისგან აღებული სინჯების ტესტები იყო აღწერილი. იმავე პუბლიკაციაში ისიც ეწერა, რომ სინჯებში ტესტოსტერონისა და სხვა ჰორმონების ჭარბი ოდენობა დაფიქსირდა.

მოგვიანებით კი დადგინდა, რომ ტორპი აკრძალულ პრეპარატებს არ იყენებდა. მის სინჯებში ჰორმონების ჭარბი შემცველობა კი ბუნებრივი ყოფილა. სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ საქმეში სპორტსმენის ბრალის დამამტკიცებელი საკმარისი ნივთმტკიცება არ არსებობს. ყოველივეს გამო, საქმე შეწყდა, "ავსტრალიელი ტორპედო" კი უდანაშაულოდ სცნეს.

მაგრამ, ყოველივეს მიუხედაად, ტორპი უკმაყოფილოა და ამბობს, რომ შელახულ რეპუტაციას ალბათ ბოლომდე ვეღარასოდეს აღიდგენს. *"შედნიერი ვიყავი, როცა საქმე დასრულდა, მაგრამ ალბათ გესმით, რომ რეალურად, ამ საქმის გამო, ჩემში ეჭვი ყოველთვის შეეპარებათ. ჩემი რეპუტაცია სამუდამოდ შელახულია. ამასთან შეგუება მომიწევს. რატომ? იმიტომ, რომ ჩემს უდანაშაულობას ყველა არ დაიჯერებს. რა თქმა უნდა, ვეცდები, რომ რეპუტაცია აღვიდგინო, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება"*, - ამბობს ტორპი და დასძენს, რომ აინტერესებს იმ პიროვნების ვინაობის დადგენა, რომელმაც "ეკიპს" მისი ანალიზების შესახებ

იან ტორპი

კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდა.

25 წლის ტორპმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სპორტიდან მოტივაციის არქონის გამო წავიდა. *"რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ პეკინში არ გამოვალ, მაგრამ მუდმივი ვარჯიშები ჩემთვის მომაბეზრებელი გახდა. ახლა კი კმაყოფილი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ და გარწმუნებთ, ჩემი ცხოვრების წესის შეცვლას აღარ ვაპირებ"*, - ამბობს ტორპი, ვინც სიდნეიში, მისი სახელობის საწყლოსნო კომპლექსის გახსნას დაესწრო.

მძლეოსნობა

ჯერემი უორინერი

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი, 400 მეტრზე სპრინტის ამერიკელი სპეციალისტი **ჯერემი უორინერი** მომავალ სეზონში 200 მეტრზე სპრინტშიც აპირებს გამოსვლას და იმედოვნებს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ამ დისტანციაზე გამოსვლის საშუალებაც მიეცემა. ამის თაობაზე თავად მორბენალმა განაცხადა მონაკოში გამართულ გალაზე, რომლის დროსაც, მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ გასული სეზონის გამორჩეული მძლეოსნები დაჯილდოვა.

"აშშ-ის ჩემპიონატზე, რომლის დროსაც პეკინის საგზურებიც გათამაშდება, დუბლის შესრულებას ვაპირებ. მესმის, რომ ამ დისტანციაზე ჩვენ ბევრი ძლიერი მორბენალი გვყავს და კონკურენცია უსაშველოდ დიდია. მაგრამ მჯერა, რომ საუკეთესოთა შორის მოხვედრა შემიძლია. თუმცა, 400 მეტრი ჩემთვის მაინც მთავარი დისტანცია იქნება", - ამბობს უორინერი, ვინც ოსაკაში დისტანცია 43.45 წამში გაირბინა, ეს კი ყველა დროის მესამე საუკეთესო შედეგია.

პეკინი 2008

უორინერი დუბლს აპირებს

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ყველა იმაზე ალაპარაკდა, რომ უორინერის შემდეგი დიდი მიღწევა მსოფლიო რეკორდი უნდა გახდეს. ამ დისტანციაზე რეკორდი (43.18 წამი) ლეგენდარულ ამერიკელ **მაიკლ ჯონსონს** ეკუთვნის, რომელმაც ის 1999 წლის აგვისტოში, სევილიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე დაამყარა. სხვათა შორის, სამი წლით ადრე, ჯონსონმა ატლანტას ოლიმპიადაზე (1996 წელი) 200 მეტრზე სპრინტშიც დაამყარა რეკორდი (19.32 წამი). მისი ორივე რეკორდი ახლაც ძალაშია.

თავად ჯონსონიც ხშირად იმეორებს, რომ ადრე თუ გვიან, უორინერი აუცილებლად დაამხობს 400 მეტრზე მის რეკორდს. ის ამას ოსაკაშივე ვარაუდობდა, თუმცა უორინერმა "იმედები გაუცრუა". ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკელმა ფინიშთან აშკარად დააგდო ტემპი, თორემ ვინ იცის, იქნებ რეკორდსაც შესწვდომოდა.

უორინერი ამბობს, რომ მისგან ახლა ყველა რეკორდს ელის, ეს კი მისთვის ზეწოლა კი არა, მოტივაციის დამატებითი წყაროა. ვიცი, რომ ვიღაცამ ეს დისტანცია ჩემზე სწრაფად გაირბინა. ესე იგი, ჯერაც ყველაფრისთვის არ მიმიღწევია. მინდა, ეს ბარიერიც გადავლახო და ამისათვის თავს არ დავზოგავო, - ამბობს უორინერი.



მერიონ ჯონსი

დოპინგი

ჯონსს ევანსი გამოესარჩლა

მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) გადაწყვეტილებას, ჩამოართვას ამერიკელ სპრინტერ **მერიონ ჯონსს** სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლები, არაერთაზროვანი გამოხმაურება მოჰყვა. რა თქმა უნდა, ბევრი სპეციალისტი და ვარკსლავების უმეტესობა ამ გადაწყვეტილებას ამართლებს, თუმცა არიან ისეთებიც (ცოტანი), რომლებიც ოლიმპიადის გამართვიდან შვიდი წლის შემდეგ, მედლების ჩამორთმევას უსამართლობად მიიჩნევენ. და ამას გარკვეული საფუძველი გააჩნია.

კერძოდ, ლეგენდარული ამერიკელი მორბენალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ლი ევანსი** ამბობს, რომ იმ დროს, როცა ყველამ კარგად იცის, რის ხარჯზე ახერხებდნენ აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენები მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე ოქროს მედლების დაუფლებას, ჯონსისთვის მედლების ჩამორთმევა დიდი უსამართლობაა.

"ჩემი აზრით, მერიონისთვის მედლების ჩამორთმევა სამართლიანი საქციელი არაა. აღმოსავლეთ გერმანელ სპორტსმენებს ათეულობით, ასეულობით მედალი აქვთ მოპოვებული. არადა, ყველამ კარგად იცის, რომ მათი უმეტესობა ინტენსიურად იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს. თავად განსაჯეთ, მაშინ ქალები 400 მეტრს 47.5 წამში გარბოდნენ, ახლა კი თუ იმავე დისტანციას 49.5 წამში გაირბენენ, ამით სერიოზული ტურნირის მოგება შეიძლება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოცი წლის წინ ნაჩვენები შედეგები არარეალურია – დოპინგის გარეშე ეს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამის მიუხედავად, გერმანელ სპორტსმენებს პრიზებს, მედლებს და ჯილდოებს არავინ ართმევს. მერიონი კი რატომღაც განტევების ვაცად უნდა ვაქციოთ", - სწუხს ევანსი.

ლეგენდარულმა სპორტსმენმა არ იცის, ამ შემთხვევაში რა იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი. თუმცა იმაშიც დარწმუნებულია, რომ მარტო ჯონსის დასჯით სამართლიანობა არ იზეიმებს.

"ჯონსმა დანაშაული აღიარა, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. მან ეს ზეწოლის ქვეშ გააკეთა, მას ციხით ემუქრებოდნენ და უნდა გადაეწყვიტა, რომელ გზას აირჩევდა. მეორეს მხრივ, არც ისაა ლამაზი, რომ სპორტსმენს ოლიმპიურ მედალს წლების შემდეგ ვართმევთ, სხვა სპორტსმენებს კი მის მედლებს გადავცემთ. სიდნეიში ხომ ჯონსის საპატივცემულოდ დაუკრეს აშშ-ის ჰიმნი? და კიდევ, როგორ შეიძლება სერიოზულად აღიქვა 400 მეტრზე სპრინტში მარიტა კოხის რეკორდი? იქნებ, უმჯობესი ყოფილიყო, რომ რეკორდების აღნუსხვა ახლიდან დავიწყოთ. გამოსავალი არ ჩანს, მაგრამ არც ჯონსისთვის მედლების ჩამორთმევით ეშველება საქმეს.", - დასძენს ევანსი.

ცნობისათვის, 400 მეტრზე სპრინტში აღმოსავლეთ გერმანელმა **მარიტა კოხმა** მსოფლიოს რეკორდი 1985 წლის ოქტომბერში კანბერაში (ავსტრალია) დაამყარა და ის რეკორდი ახლაც ძალაშია. იმავე ტურნირზე, გდრ-ის სპრინტერმა ქალებმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაშიც დაამყარეს რეკორდი, რომელიც ასევე ძალაშია. ქალ მძლეოსნებს ერთი უფრო ძველი რეკორდიც აქვთ – ჩეხოსლოვაკიელმა **იარმილა კრატოხვილოვამ** მიუნხენში, 1983 წლის ივლისში გამართულ ტურნირზე, 800 მეტრი წუთსა და 53.28 წამში გაირბინა.

ისე, მეხიკოს ოლიმპიადაზე (1968 წელი) ევანსმაც ფანტასტიკური შედეგებით მოიპოვა ოქროს ორი მედალი – ჯერ 400 მეტრი 43.86 წამით მოიგო, მერე კი თანაგუნდელებთან ერთად, 4X400 მეტრზე ესტაფეტა 2 წუთსა და 56.1 წამში გაირბინა. ორივე ამ შედეგით, ის ოსაკას წლევანდელ მონდიალზე ვერცხლის მედლებს აიღებდა! ოსაკაში ევანსის შედეგებს მხოლოდ ამერიკელმა **ჯერემი უორინერმა** (43.45 წამი) და აშშ-ის გუნდმა (2:55.56) აჯობეს.

მერაბ ლორთქიფანიძე

28 ნოემბერი. ოთხშაბათი

რუსთავი 2

23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლივერპული-პორტუ (LIVE).
02:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
03:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვერდერი-რეალი.

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიონი-ბარსელონა.
15:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მანჩესტერი-სპორტინგი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. დინამო-რომა.
21:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ეინდჰოვენი.
23:23 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-შალკე.

SPORT 1 (უკრაინა)

09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
11:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიონი-ბარსელონა.
14:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ინტერი-ფენერბაჰჩე.
15:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შტუტგარტი-რეინჯერსი.
17:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სევილია-არსენალი.
19:02 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კალგარი (LIVE).
21:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
22:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლივერპული-პორტუ (LIVE).
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვერდერი-რეალი.
03:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ტამპა ბეი (LIVE).
07:05 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
07:30 მძლეოსნობა.

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 მოტორბოლა. სეზონის მიმოხილვა.
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS132. კურშეველი. საფრანგეთი.
14:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. sHS140. პრაგელატო. იტალია.
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS111.7. შვეიცარია.
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. ადამ მალიში.
18:30 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
19:30 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა (LIVE).
21:00 ეფოგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
22:15 ტრამპლინიდან ხტომა. ადამ მალიში.
22:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
23:15 მულტისპორტი.
23:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:25 მულტისპორტი.
23:30 გოლფი. ჩელენჯტური.
00:30 გოლფ-კლუბი.
00:35 აფროსნობა. Rolex Middle Sea Race. მალტა.
01:05 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:10 როლო. სამეფო თასი.
01:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
01:40 მულტისპორტი.
01:45 ეფროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. ადამ მალიში.
03:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
04:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. IV ტური. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-ბოლონია (იტალია).
14:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. IV ტური. პანელინიოსი (საბერძნეთი)-დინამო (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 სუპერკროსი. იტალია.
18:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. IV ტური. სკაილანერსი (გერმანია)-ნანსი (საფრანგეთი).
19:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. IV ტური. პანელინიოსი (საბერძნეთი)-დინამო (რუსეთი).
20:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ანკარა (თურქეთი)-ნოვარა (იტალია) (LIVE).
23:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-კალიში (პოლონეთი) (LIVE).
00:30 მულტისპორტი.
01:00 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ექსტრემალური სპორტი.
03:30 ახალი ამბები.

სხვადასხვა ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

სიდნეი-ლ.ა. გალაქსი	5:3

ინგლისი

ჩემპიონატი

ბლეკბერნი-ნორვიჩი	1:3
ქოვენთრი-სანთორეი	1:1
პალი-ბრისტოლი	0:0
იფსვიჩი-საუთჰემპტონი	2:0
უენლი-ბარნლი	1:0
სტოკი-ქუინზ პარკი	3:1
უოტფორდი-ბარნლი	1:2
ჩარლტონი-შეფილდი	0:3
კრ. პალასი-პრესტონი	2:1

I ლიგა

სუონსი-პარტლეული	1:0

ინგლისის თასი

ბრენტფორდი-ლუტონი	0:2
რეადინგი-ლეიტონი	3:3, პენ. 6:5
დერბისტერი-ბრენტფორდი	1:2
ნოტინგემი-ლინკოლნი	3:1

გერმანია

რეგიონალლიგა (სამ)

პფიულენდორფი-რეიგლინგენი	1:1

ავსტრია

II დივიზიონი

პარნდორფი-აუსტრია A	0:1

ხორვატიის თასი

სიბალია-ვარგეზეა	0:2
ინკერი-პაილეკი	0:4

პოლონეთი

ლიგის თასი

რუხი-ლეგია	0:1
ლეს-ბრონლინი	2:3
ოდრა-ლეხი	2:0
ზაგლებე-პოლონია	1:0
კრაკოვია-იაგელონია	1:0
კორონა-ვიკენი	2:0

კალათბურთი

ULEB-ის თასი

ლუკოილი-კიევი	95:87
ენერგია-ბუროვი	75:80
პანელინიოსი-დინამო	76:83
შიაულაი-ბილდფორდი	87:72
ბურა ბელეკომი-ალბა	82:71
ანვილი-ანიკი	99:102 OT
ალვეკი-ლუდოგორეცი	92:88
ნიმბურკი-ოსტენდე	81:75
პაოლი ფი-ზალარი	84:83
პემოფარმი-პანზეკასტი	102:77
სრ. ზეზეზა-კლიმაკიო	99:66
ვენტსპილსი-შალონი	81:71
ასკ რიგა-პო ორტეზი	80:60
ბეშიქთაში-ოვარენსე	100:74
კიოლნი-ქელეზნიკი	89:82
საიილანერსი-ნანსი	83:84
შლეზოლსკი-ვილერბანი	78:65
ფრიბურგი-ლიუბერცსი	78:77
ერანლანდი-ბენეტონი	84:79
შარლეროა-ხირონა	71:74
ბონნა-ხუენგული	68:85
ანგეკრეკენი-გმუნდენი	74:68
ბუდეზნოსტი-პაპოელი (მ)	93:68
ვალენსია-აზოვმაში	95:77
სტრასბური-ეიფელ გაუერსი	97:85
გრან კანარია-პანიონიოსი	82:73

პოლო

რუსეთი

მეგალურგი (ნ)-ვიბიაზი	3:2
ავანგარდი-ბრაკმორი	3:4
სპბირი-ამური	2:2, პენ. 3:2
სპარტაკი-მეგალურგი (მ)	2:0

გერმანია

პამბურგი-აუგსბურგი	5:1
დუისელდორფი-კიოლნი	2:5
მანაიმი-შტრაუბინგი	3:1

სლოვაკეთი

ქეემაროკი-მარტინი	2:0
ნიტრა-ბიკისაში	5:2
სასლიცა-პოპარადი	4:2
სლოვანი-ზვოლენი	2:2, პენ. 3:2
ბრენერინი-კოშიცე	1:3

ფინეთი

ილვესი-პელიკანი	5:3
ჯაიკა-ესპეი	8:2
საიპა-ოიკერინენი	0:4
ბასკ-ლუკო	3:5
პიფა-ბაპარა	4:3
პპკ-კიეკო	1:2
ოუნიასკ�ა-ქერეპი	2:2, პენ. 3:2

ჩეხეთი

პლზენი-პარდუბიცე	2:2, დ.დ. 3:2
სლავია-ვიბკოვიცე	4:2
სპარტა-ქლინი	2:4

შვეიცარია

ციურიხი-ლანგნაუ	4:4, დ.დ. 5:4

შვედეთი

ალა-შერიფსკალ	2:4
ბრინანსი-ვორა	1:0
ლულეა-იუტგორდენი	5:2

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

E ჯგუფი

შტუტგარტი–რეინჯერსი 3:2

შტუტგარტი: შეფერი, ბეკი, ფერნანდო მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი (83. ევერტონი), ჰიტცლშპერგერი, ხედირა (46. ანტონიო), მარიკა, კაკაუ (88. ტასკი).

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, კუელიარი, პაპაარი, ემდანი, ბიზლი (49. ნეისმიტი), ფერგიუსონი, ტომსონი, მაკკალოხი (26. ადამი), დარშვეილი (82. კუზენი).

გოლები: 0:1 ადამი (27), 1:1 კაკაუ (45), 2:1 პარდო (62), 2:2 ფერგიუსონი (70), 3:2 მარიკა (85)

მაყურებელი: 51 300

არბიტრი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: შტუტგარტი

პირველი ჯარიმა: შტუტგარტი

პირველი კუთხური: რეინჯერსი

პირველი გაფრთხილება: რეინჯერსი

20 (10)	დარტყმა	8 (3)
1	გაფრთხილება	3
16	ჯარიმა	9
5	კუთხური	3
59%	ბურთის ფლობა	41%

ლიონი–ბარსელონა 2:2

ლიონი: ვერკუტრი, რევეიერი, სკილაჩი, კლებერი, გროსო, ტულალანი, ფაბიო სანტუში (68. კალსტროიმი), ჟუნინიო. გოვუ, ფრედი (60. კეიტა), ბენ არფა (82. რემი).

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა (82. მარკესი), პუიოლი, მილიტო, ალბიდალი, ტურე, ჩავი, ინიესტა, მესი, კრკიჩი, გუდიონსენი (71. რონალდინიო).

გოლები: 0:1 ინიესტა (3), 1:1 ჟუნინიო (7), 1:2 მესი (58-პენ), 2:2 ჟუნინიო (80-პენ)

მაყურებელი: 40 000

არბიტრი: სტეფანო ფარინა (იტალია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა

პირველი ჯარიმა: ბარსელონა

პირველი კუთხური: ბარსელონა

პირველი გაფრთხილება: ლიონი

10 (7)	დარტყმა	10 (5)
2	გაფრთხილება	4
22	ჯარიმა	16
1	კუთხური	3
44%	ბურთის ფლობა	56%

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	5	3	2	0	9-2	11
2. რეინჯერსი	5	2	1	2	7-6	7
3. ლიონი	5	2	1	2	8-10	7
4. შტუტგარტი	5	1	0	4	6-12	3

F ჯგუფი

დინამო–რომა 1:4

დინამო: რიბკა, დოპილკა, გავრანჩიჩი, ვაშჩუკი, ნესმაჩნი, გიოანე, გუსევი, ნინკოვიჩი (55. შაკიხი), როტანი (46. ბელკევიჩი), რინკონი (69. მილევსკი), ბანგურა.

რომა: დონი, პანუჩი, ჟუანი, ფერარი, ტონეტო, კასეტი, პისარო, დე როსი (61. ბარუსო), ტადეი (46. ესპოზიტო), ჟიული, ვუჩინიჩი (84. სისინიო).

გოლები: 0:1 ვუჩინიჩი (4), 0:2 ჟიული (32), 0:3 ვუჩინიჩი (36), 1:3 ბანგურა (63), 1:4 ვუჩინიჩი (78)

მაყურებელი: 15 000

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: დინამო

პირველი ჯარიმა: რომა

პირველი კუთხური: რომა

პირველი გაფრთხილება: დინამო

12 (4)	დარტყმა	13 (7)
1	გაფრთხილება	1
13	ჯარიმა	6
7	კუთხური	6
54%	ბურთის ფლობა	46%

მანჩესტერი–სპორტინგი 2:1

მანჩესტერი: კუშჩაკი, ო'ში, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, კრისტიანო რონალდო, ქერიკი, ფლეტჩერი (46. ტევესი), ანდერსონი, ნანი (46. გიგზი), საა (79. ჰარგრივსი).

სპორტინგი: რუი პატრისიო, აბელი, ანდერსონ პოლგა, ჰადი, ტონელი, იზმაილოვი (82. პერეირინია), ველოზო, რომანიოლი (68. ვუკჩევიჩი), მუტინიო, ლიდსონი, პუროვიჩი (82. ფარნერუდი).

გოლები: 0:1 აბელი (21), 1:1 ტევესი (61), 2:1 კრისტიანო რონალდო (90)

მაყურებელი: 67 688

არბიტრი: კლაუს ბ. ლარსენი (დანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მანჩესტერი

პირველი ჯარიმა: სპორტინგი

პირველი კუთხური: მანჩესტერი

პირველი გაფრთხილება: სპორტინგი

18 (6)	დარტყმა	7 (3)
2	გაფრთხილება	2
12	ჯარიმა	17
7	კუთხური	3
53%	ბურთის ფლობა	47%

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	5	5	0	0	12-3	15
2. რომა	5	3	1	1	10-5	10
3. სპორტინგი	5	1	1	3	6-8	4
4. დინამო	5	0	0	5	4-16	0

G ჯგუფი

ცსკა–ეინდჰოვენი 0:1

ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, რაჰიმოჩი (86. გრიგორიევი), შემბერასი, ალდონინი, დუდუ (73. ოდია), ჟირკოვი, რამონი (61. კანერი), იანჩიკი.

ეინდჰოვენი: გომეში, მარსელისი, სალსიდო, ალსიდესი, ზონვეელდი, მენდესი, რაიკოვიჩი, ბაკალი (77. კულინა), აფელაი, ფარფანი (81. კუვერმანსი), ლაზოვიჩი (84. პერესი).

გოლი: 0:1 ფარფანი (39)

მაყურებელი: 23 000

არბიტრი: მანუელ მ. გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ცსკა

პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი

პირველი კუთხური: ეინდჰოვენი

პირველი გაფრთხილება: ცსკა

19 (5)	დარტყმა	6 (3)
3	გაფრთხილება	2
21	ჯარიმა	21
3	კუთხური	1
56%	ბურთის ფლობა	44%

ინტერი–ფენერბაჰჩე 3:0

ინტერი: ფულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი (89. მატერაცი), კამბიასო, მაქსველი (72. ხიმენესი), იბრაჰიმოვიჩი (78. სუასო), კრუსი.

ფენერბაჰჩე: ვოლქანი, გიოქან გონული, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, სელჩუკი, ალექსი, აურელიო (62. აპია), ვედერსონი, დეივიდი (83. თუმერი), სემიჰი (66. ქაზმი).

გოლები: 1:0 კრუსი (55), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (66), 3:0 ხიმენესი (90)

მაყურებელი: 25 798

არბიტრი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ინტერი

პირველი ჯარიმა: ფენერბაჰჩე

პირველი კუთხური: ფენერბაჰჩე

პირველი გაფრთხილება: ფენერბაჰჩე

16 (6)	დარტყმა	11 (3)
2	გაფრთხილება	2
11	ჯარიმა	18
2	კუთხური	3
53%	ბურთის ფლობა	47%

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	5	4	0	1	11-4	12
2. ფენერბაჰჩე	5	2	2	1	5-5	8
3. ეინდჰოვენი	5	2	1	2	3-5	7
4. ცსკა	5	0	1	4	6-11	1

H ჯგუფი

სევილია–არსენალი 3:1

სევილია: პალოპი, დანიელ ალვეში, ფაციო, დრაგუტინოვიჩი, ხოსე კრესპო (64. მოსკერა), ნავასი, პოულსენი, კეიტა, კორეია (90. მარტი), ლუიშ ფაბიანო (75. კერეკოვი), კანუტე.

არსენალი: ალმუნია, ჰოიტი (66. სანია), ტურე, სენდეროსი, ტროაორე, ებუე (78. უოლკოტი), ფაბრეგასი (56. როსიცკი), ჟილბერტო, დენილსონი, ედუარდო, ბენდტნერი.

გოლები: 0:1 ედუარდო (11), 1:1 კეიტა (24), 2:1 ლუიშ ფაბიანო (34), 3:1 კანუტე (89-პენ)

მაყურებელი: 39 000

არბიტრი: ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სევილია

პირველი ჯარიმა: სევილია

პირველი კუთხური: არსენალი

პირველი გაფრთხილება: სევილია

22 (5)	დარტყმა	8 (3)
4	გაფრთხილება	2
16	ჯარიმა	14
5	კუთხური	5
51%	ბურთის ფლობა	49%

სტიაუა–სლავია 1:1

სტიაუა: საპატა, გოიანი, რადა, ემეგარა, ნესუ, პეტრე, ლოვინი (65. ბიკფალვი), ნეაგა, კროიტორიუ (76. სურდუ), ბადეა (89. კრისტოჩეა), დიკა.

სლავია: ვანიაკი, ტავარესი, სუჩი, ბრაბეცი, კრაიჩიკი, ჰუბაჩეკი, შვეცი (30. ბელაიდი), შენკერიკი, პუდილი, ვოლეშაკი (61. შურეკი), გაუჩო (77. ნესიდი).

გოლები: 1:0 ბადეა (12), 1:1 შენკერიკი (78)

მაყურებელი: 10 000

არბიტრი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სტიაუა

პირველი ჯარიმა: სლავია

პირველი კუთხური: სტიაუა

პირველი გაფრთხილება: სტიაუა

12 (5)	დარტყმა	5 (3)
1	გაფრთხილება	3
16	ჯარიმა	24
4	კუთხური	0
60%	ბურთის ფლობა	40%

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სევილია	5	4	0	1	11-7	12
2. არსენალი	5	3	1	1	12-3	10
3. სლავია	5	1	2	2	5-13	5
4. სტიაუა	5	0	1	4	3-8	1

ინტერი-ფენერბაჰჩე. კრუსისა და ედუს ორთაბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
გამუკა ჩიხლაძე
გია თევლაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრაქელიძე, გამუკა ძანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურაძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა ბელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა